საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (399)
21 - 27 ივნისი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



5 მამა დავითი (ქვლივიძე):

## რით შედიან ევროპაში, ნარკომანიითა და სოდომიით? ეს არის ქართული კულტურა?!

## ქოცებო, ნაცობა გირჩევნიათ თუ კაცობა?! 16



## გაიქეცი, მიშა, გაიქეცი! 2



როგორც სააკაშვილის ყოფილმა თანაგუნდელებმა, ისე გარკვეულმა ძალებმა დასავლეთში შეიძლება სცადონ ამ პოლიტიკური გვამის გამოყენება იმისთვის, რომ საქართველოში სიტუაცია შეცვალონ. ჰიპოთეზური კომბინაცია სააკაშვილის ექსტრადირებით მათ შესაძლებლობას მისცემს, იმ პირობითი „600 ათასის“ კონსოლიდირება მოახდინონ.

## «მუხთარლი კი არა, ნახევარი საქართველო ანამეს და, «მეშოკი» კი არა, «შავი პავიაზკაც» არავის გაუკეთებია ეთერში» 6



## რას უმზადებს საქართველოს ბედი მუხთარლი?

## რას ამზადებს აშშ ბიოლოგიურ ლაბორა-ტორიებში 10




## «სამშობლოს ემსახურეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და არა უკანასკნელ ამერიკულ დოლარამდე» 3

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ნაცმოძრაობის“ რესურსები იწურება და ის, მისგან გამოყოფილი პოლიტიკური გაერთიანებებისა და სატელიტი ჯგუფების მსგავსად, კვდომის გზას ადგას. სააკაშვილის ჩამოყვანა საქართველოში მისი ყოფილი მომხრეების გალვანიზებას მოახდენს და „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისკენ“ უბიძგებს, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლების მდგომარეობა გართულდა, აფგან მუხთარლისა და „ბირჟა მაფიის“ საქმეებმა ერთგვარი ინდიკატორის როლი შეასრულა და ნათლად აჩვენა, რამდენად გონებასუსტი, შეშინებული და არაადეკვატური მთავრობა გვყავს.**

# გაიქეცი, მიშა, გაიქეცი!

**უკრაინის გენპროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე ირწმუნება, რომ პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების თაობაზე ბიძინა ივანიშვილთან მოლაპარაკებებს მართავს. საინტერესოა, რა პოლიტიკური გათვლები დგას ამ და სხვა მსგავსი განცხადებების უკან და რა გავლენას მოახდენს ისინი ქართულ პოლიტიკაზე.**



„ყველა არხზე საუბრობენ, რომ, თუკი **სააკაშვილი** არ შეაჩერებს თავის პოლიტიკურ ოპოზიციურ საქმიანობას, საქართველოში მისი ექსტრადიცია მოხდება“, — განაცხადა **დავით საყვარელიძემ** ტელეკომპანია „ზიკ“-ის ეთერში. ეს სწორედ ის „ზიკ“-ია, რომელმაც სააკაშვილი ტელეწამყვანად მიიწვია. მას **ვიქტორ იანუკოვიჩის** კლანთან დაახლოებული ბიზნესმენები და „რეგიონების პარტიის“ ყოფილი ფუნქციონერები აკონტროლებენ. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რომ უმუშევრად დარჩენილი და პოროშენკოზე განაწყენებული სააკაშვილისთვის ტრიბუნის შეთავაზება მათ ინტერესებს შეესაბამება.

სააკაშვილი, საყვარელიძე და მათი თანამოაზრეები ამ ტელეკომპანიის ეთერში ცდილობენ, გაზარდონ უკრაინელების ინტერესი მათი პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, რომელსაც, ხმაურიანი სტარტის მიუხედავად, ჯერჯერობით არ ჰყოფნის გავლენა და რეიტინგი, უკრაინული პოლიტიკის უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდეს. **ამ კამპანიის ფარგლებში ისინი წარმოაჩენენ სააკაშვილს ფიგურად, რომელიც პოროშენკოს შიშის ზარს სცემს. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ვერსიები სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, უკრაინიდან მის გაძევებაზე, საქართველოში ექსტრადიციაზე და ა.შ.**

თავის დროზე პოროშენკომ გადაწყვიტა, გამოეყენებინა სააკაშვილის დადებითი იმიჯი უკრაინის ლიბერალურ წრეებში და მისი გავლენა საზღვარგარეთ, რომლის შესახებ ფიგურანტი გადაჭარბებულ წარმოდგენას ქმნიდა. **პოროშენკოს ესმოდა, რომ უკრაინულ პოლიტიკაში დამკვიდრებისთანავე სააკაშვილი დაიწყებდა გავლენის სფეროს სწრაფ და აგრესიულ გაფართოებას და ეს შესაძლებელს გახდიდა მის გამოყენებას არასასურველი პოლიტიკოსების თუ ოლიგარქების წინააღმდეგ.** მალევე გაირკვა, რომ სააკაშვილის გავლენა ვაშინგტონში მცირეა, ხოლო გუბერნატორის პოსტზე მისი „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. **უკრაინის გენპროკურატურის მონაცემებით, სააკაშვილის გუბერნატორობის პერიოდში, ოდესის ოლქი, კრიმინოგენული სიტუაციის თვალსაზრისით, ქვეყნის უპირობო ლიდერი გახდა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ადმინისტრაციულ რეფორმას, სააკაშვილმა, მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერი ჩააფლავა.** **ამასთანავე, იყო რაღაც საეჭვო ოპერაციები საბაჟოზე და საგანგებოდ შექმნილ ფონდში „ოდესის კეთილდღეობისთვის“ (გამოძიება გრძელდება), ხოლო დაპირისპირებაში „ოდესის პორტისპირა ქარხნის“ გარშემო, რომელიც ოლიგარქებისთვის მეტად სასურველი პრიზი იყო, სააკაშვილმა სისუსტე და არათანმიმდევრულობა გამოავლინა. წარუმატებლობის კომპენსირება მან ინტრიგების მეშვეობით სცადა; რაღაც მომენტში პოროშენკოს ეს მობეზრდა და „მარადიული ლუზერი“ პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა.**

ცხადია, დავით საყვარელიძე ცდილობს, ყოველივე მომხდარი წარმოაჩინოს, როგორც პოლიტიკური პიგმეების ბრძოლა ტიტანის წინააღმდეგ. მაგალითად, მან „ზიკ“-ის მაყურებლებს მოუთხრო, თუ როგორ უნდოდა სააკაშვილს, დაეკავებინა უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის პოსტი და ამან უკრაინულ ელიტაში მღელვარება გამოიწვია, პოროშენკო შეშინდა და სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დანიშნა და ა.შ. ყოველივე ამის სერიოზულ განხილვაზე დროის დაკარგვა, ცხადია, არ ღირს, მაგრამ ექსტრადიცია, რომელზეც საყვარელიძე საუბრობს, შეიძლება მართლაც განიხილებოდეს გარკვეული ძალების მიერ, როგორც საქართველოს დესტაბილიზაციის საშუალება. და, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სააკაშვილის თანაგუნდელები მის ზურგს უკან სახიფათო კომბინაციებს ხლართავენ.

მიხეილ სააკაშვილი პათოლოგიური მშიშარა რომ არ ყოფილიყო, საქართველოს უახლესი ისტორია, დიდი ალბათობით, სხვა გზით წავიდოდა. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, სააკაშვილი საქართველოში რომ დარჩენილიყო და დაკითხვებზე ევლო, „ნაცმოძრაობაზე“ კონტროლსაც შეინარჩუნებდა და ხელისუფლებას მალევე სერიოზულ ბრძოლას გაუმართავდა. ამ თეორიის მიხედვით, ახალი ხელისუფლება დასავლელი პარტნიორების შიშით სააკაშვილის დაპატიმრებას ვერ გაბედავდა. ვაშინგტონი და ბრიუსელი იმ პერიოდში არა მხოლოდ მის დაკავებას, არამედ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც კი ეწინააღმდეგებოდა. თუ სააკაშვილი მოახერხებდა პროკურატურის წარმოჩენას პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად (სასამართლოს მაშინ, ძირითადად, ნაციონალები აკონტროლებდნენ), რაც სავსებით შესაძლებელი იყო ამ უწყების ზოგადი უსუსურობისა და შიდა საბოტაჟის გათვალისწინებით, მისი პოზიციები გაძლიერდებოდა და „ქართული ოცნების“ დაღმასვლის დასაწყისს გაცილებით მომგებიან მდგომარეობაში შეხვდებოდა.

**ოპერაცია «სააკაშვილი გალიაში» სარისკოა, მაგრამ შეიძლება ძველ რეჟიმთან დაკავშირებული ძალების პოზიციების მკვეთრი გაუმჯობესებითა და ხელისუფლებაში დაბრუნებითაც კი დასრულდეს. ამ კონტექსტში, «ნაცმოძრაობის» ბელადი მისი მოკავშირეებისა და თანაგუნდელების მიერ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახარჯი მასალა, რომლის აზრი არავის აინტერესებს. იდეაში, მათთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის უნდა იყოს, რომ პოროშენკომ და ივანიშვილმა სააკაშვილის ექსტრადირებაში გაცილებით მეტი პლუსი დაინახონ, ვიდრე მინუსი**

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სააკაშვილი მშიშარაა და დაპატიმრების თეორიულ შესაძლებლობაზე ფიქრმა ქვეყნიდან გაქცევა აიძულა.

**უკრაინა არ გადასცემს თავის მოქალაქეებს უცხო ქვეყნებს და ეს სააკაშვილის ექსტრადიციას, ერთი შეხედვით, გამორიცხავს, მაგრამ გასული წლის ნოემბერში უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა ვადიმ რაბინოვიჩმა პროკურატურასა და შსს-ს მიმართა სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის მოთხოვნით, რადგან, მისი მტკიცებით, ის კანონდარღვევით მიანიჭეს**. რაც შეეხება თავად ფიგურანტის მოსაზრებებს ყოველივე ამის თაობაზე, 2016 წლის 12 ნოემბერს უკრაინული „მეხუთე არხის“ ეთერში მან თქვა: „პრეზიდენტ პოროშენკოზე უკეთესი აზრის ვარ, არა მგონია, ასეთი რამ გააკეთოს. წარმოიდგინეთ ჰიპოთეზური სიტუაცია, რომ პოროშენკომ აიღო და გადამცა. ერთ კვირაში თავისუფალი ვიქნები, რადგან საქართველოში 600 ათასი მხარდამჭერი მყავს, ხოლო საქართველო პატარა ქვეყანაა. და შემდეგ სამ დღეში ისევ კიევში ვიქნები. ვის სჭირდება ეს?“.

ცხადია, სააკაშვილს არ ეყოფა სითამამე იმისთვის, ციხეში, არათუ 7 დღით, 7 საათითაც რომ ჩაჯდეს, ხოლო, თუ მისი ექსტრადირების საკითხი დღის წესრიგში მართლა დადგება, უკრაინიდან მომენტალურად გაუჩინარდება. მაგრამ ის, რომ სააკაშვილისთვის მიუღებელია კომბინაცია ციხეში ჩაჯდომით და შემდგომი გათავისუფლებით მომხრეების ან დასავლელი პარტნიორების ძალისხმევის შედეგად, არ ნიშნავს, რომ ეს იდეა არავის მოსწონს. **როგორც სააკაშვილის ყოფილმა თანაგუნდელებმა, ისე გარკვეულმა ძალებმა დასავლეთში შეიძლება სცადონ ამ პოლიტიკური გვამის გამოყენება იმისთვის, რომ საქართველოში სიტუაცია შეცვალონ. ჰიპოთეზური კომბინაცია სააკაშვილის ექსტრადირებით მათ შესაძლებლობას მისცემს, იმ პირობით „600 ათასის“ კონსოლიდირება მოახდინონ.**

დასავლეთში ამ წლების განმავლობაში გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია, რომლებშიც გამოთქმული იყო წუხილი იმის გამო, რომ სააკაშვილს ქართულ პოლიტიკაში ჩართვის შესაძლებლობა არ ეძლევა. ხელისუფლება ამ სიგნალებს მკაფიო პასუხს ვერ სცემდა, რადგან თავისი მხარდამჭერების გაღიზიანების ეშინოდა. მხოლოდ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამა წლის მაისში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში გააკეთა ერთი, იმდენად ბუნდოვანი კომენტარი, რომ მის გაშიფრვას, სავარაუდოდ, ავლიპ ზურაბაშვილიც კი ვერ შეძლებდა: „პირველი პრეზიდენტი მოვკალით, მეორე გადავაყენეთ და სახლში გამოვკეტეთ, მესამე კიდევ დევნილია. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ერთდროულად ყველას პასუხისმგებლობაა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადადგა ნაბიჯები, რომლებზეც არსებობს კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს. რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის უარყოფითია ის იმიჯი, რომ სააკაშვილს საქართველოში არ შემოესვლება, მაგრამ ამას პოლიტიკოსებმაც, როგორც მმართველი ძალიდან ასევე ოპოზიციიდან, პრეზიდენტმაც, ხელისუფლებამაც უნდა მივცეთ ცივილური ფორმა, რომელიც შეურაცხყოფას არ მიაყენებს არც ქვეყანას და ის სამართლებრივი კითხვები, რომელიც არსებობს სააკაშვილთან მიმართებაში უპასუხებს ადეკვატურად“.

ზოგმა ამ განცხადების ქვეტექსტში შეიძლება დაინახოს სააკაშვილისთვის, როგორც ბრალდებულისთვის, განსაკუთრებული სტატუსის მოძებნის მცდელობა, რომელმაც შეიძლება კანონის უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფამდე მიგვიყვანოს. მაგრამ აქ მთავარია სხვა რამ — სააკაშვილი ჩამოსვლას ვერ გაბედავს, მაგრამ ზოგიერთი მისი პარტნიორი შეიძლება სრული სერიოზულობით განიხილავდეს მის ჩამოყვანას საქართველოში ექსტრადირების გზით (ამ გადაწყვეტილებისკენ პოროშენკოს, ფაქტობრივად, ორი სხვადასხვა მხრიდან უბიძგებენ) ან რაიმე სხვა პროცედურის გავლით.

**„ნაცმოძრაობის“ რესურსები იწურება და ის, მისგან გამოყოფილი პოლიტიკური გაერთიანებებისა და სატელიტი ჯგუფების მსგავსად, კვდომის გზას ადგას. სააკაშვილის ჩამოყვანა საქართველოში მისი ყოფილი მომხრეების გალვანიზებას მოახდენს და „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისკენ“ უბიძგებს, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლების მდგომარეობა გართულდა. აფგან მუხთარლისა და „ბირჟა მაფიის“ საქმეებმა ერთგვარი ინდიკატორის როლი შეასრულა და ნათლად აჩვენა, რამდენად გონებასუსტი, შეშინებული და არაადეკვატური მთავრობა გვყავს.** ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მოხდებოდა, თუ მას სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებული კრიზისის დარეგულირება მოუწევდა, როდესაც ქუჩაში არა მხოლოდ მისი მომხრეები, არამედ მოწინააღმდეგეებიც გამოვიდოდნენ და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე სავსებით რეალური გახდებოდა. 2012-13 წლებში ან უკეთესი მთავრობის პირობებში, ხელისუფლება ამ გამოწვევას, სავარაუდოდ, (არა იოლად, მაგრამ მაინც) გაუმკლავდებოდა, მაგრამ დღეს ვითარება შეცვლილია.

კვდომის პროცესი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, აკარგვინებს ძველი რეჟიმის დასავლელ პარტნიორებს იმ ინვესტიციას (ფართო გაგებით), რომელიც ახალი ქართული პოლიტიკური ელიტის შექმნაში ჩადეს. **ოპერაცია „სააკაშვილი გალიაში“ სარისკოა, მაგრამ შეიძლება ძველ რეჟიმთან დაკავშირებული ძალების პოზიციების მკვეთრი გაუმჯობესებითა და ხელისუფლებაში დაბრუნებითაც კი დასრულდეს. ამ კონტექსტში, „ნაცმოძრაობის“ ბელადი მისი მოკავშირეებისა და თანაგუნდელების მიერ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახარჯი მასალა, რომლის აზრი არავის აინტერესებს.** იდეაში, მათთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის უნდა იყოს, რომ პოროშენკომ და ივანიშვილმა სააკაშვილის ექსტრადირებაში გაცილებით მეტი პლუსი დაინახონ, ვიდრე მინუსი.

ერთ კარგ ფილში რომ იტყოდნენ... გაიქეცი, მიშა, გაიქეცი! შესაძლოა, ის ადამიანები, რომელთაც თანაგუნდელებად და საიმედო პარტნიორებად თვლი, ყველაფერს აკეთებენ, რათა თბილისში დაგაბრუნონ და ციხეში გამოგამწყვდიონ.

„დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოელი პარტნიორები თვითონ არიან ჩართული საფინანსო სექტორებში, ხშირად გვევლინებიან ბანკების მენეჯმენტში ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დამფუძნებლებად".

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სამშობლოს ემსახურეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და არა უკანასკნელ ამერიკულ დოლარამდე»

**საქართველოში პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია 20 წელზე მეტი ხნის წინათ დაარსდა. ეს ორგანიზაციები თავდაპირველად დიდი პოპულარობით სარგებლოდნენ და ხელისუფალნიც თავს იწონებდნენ ე.წ. ენ-ჯი-ოების წარმატებებით...**
**2005 წლის აპრილში საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში" ჩატარდა საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორდღიანი გამოფენა-ფორუმი. ფორუმი სამოქალაქო საზოგადოების ხელშემწყობად და დიდ მეგობრად დაასახელეს საქართველოს გარდაცვლილი პრემიერმინისტრი ზურაბ ჟვანია და მას სპეციალური ჯილდოც მიანიჭეს, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სამოქალაქო საზოგადოების მეგობრებად გამოცხადდნენ იურისტი, პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და პოლიტოლოგი გია ნოდია. მას შედეგ 12 წელი გავიდა და დღეს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოელების დაკვეთას ასრულებენ და ბევრი მათ მეხუთე კოლონად მოიხსენიებს. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ჩვენს ქვეყანაში გვესაუბრება სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა მურადაშვილი.**



— საქართველოში სამოქალაქო სექტორი მონოპოლიზებულია და ჩვენი უცხოელი „მეგობრების" ხელით იმართება. სწორედ იმ „მეგობრების", რომლებიც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი დოლარის გრანტს გზავნიან საქართველოში „საზოგადოების განვითარებისთვის, სახელმწიფოს მშენებლობაში საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად და სამოქალაქო სექტორის გასაძლიერებლად" — ეს არის ოფიციალური და დეკლარირებული ვერსია. სინამდვილეში, ამ ყველაფერს როგორი სახე აქვს ქართულ რეალობაში?

10 წელზე მეტი ვიმუშავე საქართველოს პარლამენტში სხვადასხვა პოზიციაზე. ვიყავი ორი ფრაქციის აპარატის უფროსი, ვმუშაობდი ანტიკრიზისულ საბჭოში. ადამიანები ხშირად წერილობით მიმართავენ ხოლმე დეპუტატებს დახმარებისთვის და, როგორც ფრაქციის აპარატის უფროსს, უამრავი ადამიანის გაჭირვება და უბედურება წამიკითხავს და მომისმენია.

2007-2008 წლებიდან გამოიკვეთა ტენდენცია — შემოსული წერილების ნახევარი ეხებოდა უკანონო დაკავებას, როდესაც ხდებოდა წამლის ჩადება და შემდეგ საპროცესო გარიგება. ეს რატომღაც დაკავშირებული იყო ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან. წერილების მეორე ნახევარი იპოთეკური სესხის გამო გამოსახლების პროცესებსა და ამით გამოწვეულ პრობლემებს ეხებოდა. ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ ხელისუფლებაში მყოფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უძრავ ქონებას ართმევდა და ქუჩაში ყრიდა იმ ოჯახებს, რომლებიც მათ „მატარებელში" არ ისხდნენ. პროცესი მარტივი იყო — ნაცების კოორდინატორებსა და კორპუსის წარმომადგენლებს ყველა ოჯახი ჰყავდათ აღრიცხული... **აუქციონის ჩატარების, ქონების იძულებით გასხვისებისა და აღსრულება-გამოსახლების პროცესი განსაკუთრებულად გამარტივდა და დაჩქარდა სწორედ ამ პერიოდში და ეს თავიდან ბოლომდე ნიკა მელიას დამსახურებაა. ეს ის ნიკა მელიაა, რომელმაც შემდეგ თბილისის მერობა მოინდომა, იმ თბილისელების, განსხვავებული აზრის გამო უსახლკაროდ რომ დატოვა.**

ამ პროცესებს, რა თქმა უნდა, ბანკებიც უწყობდნენ ხელს. ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანაში ბანკები იპოთეკურ სესხებზე არიან ორიენტირებული, რასაც უძრავი ქონების ამოღება მოჰყვება ხოლმე შედეგად. ვიცოდი, მალე უმძიმესი სოციალური პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებოდით... 2011 წელს დავარეგისტრირე არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი". სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში ითხოვდა უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების აღრიცხვას, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას" ეს ხელს არ აძლევდა და ყურს არავინ იბერტყავდა. გადავწყვიტეთ, ამ პრობლემის მოგვარება ჩვენს ორგანიზაციას დაეკისრებინა და საკუთარი ფინანსებით, ჩემი ხელფასიდან გაწეული ხარჯებით დავიწყეთ იმ ადამიანების აღრიცხვა, რომლებიც ამბობდნენ, რომ საცხოვრისის გარეშე დარჩნენ. ძალიან მალე მოგვაკითხა ნაციონელების წარმომადგენელმა წინადადებით, აგვერჩია რომელიმე სხვა თემა, თუნდაც მაწანწალა ბავშვების, და გრანტები გარანტირებული გვექნებოდა. მაგრამ გადავწყვიტეთ, მათი შემოთავაზება არ გაგვეთვალისწინებინა — ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ორგანიზაციამ არ უღალატა პრინციპებს. განვაგრძეთ საქმიანობა — ადამიანებს ვუწევდით უფასო იურიდიულ დახმარებას, ჩართულები ვიყავით გამოსახლების პროცესში და ვცდილობდით, ოჯახები დაგვეცვა იმ ძალადობისგან, რომელსაც სისტემა იჩენდა გამოსახლების პროცესში. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა კანონის უხეში დარღვევით დაიდო იპოთეკური ხელშეკრულებები. საქართველოში ცხოვრობს ათამდე ოჯახი, რომლებსაც ბრძოლით შეუნარჩუნდა ქონება. ეს ყველაფერი ხდებოდა 2012 წლამდე... ნაცების ბობოქრობის პერიოდში ვიცოდით, რომ უნდა გვებრძოლა გადარჩენისთვის და ვიბრძოდით.

გამოჩნდა **ბიძინა ივანიშვილი** და „ქართული ოცნება" ხელისუფლების სათავეში მოვიდა... იმ პერიოდისთვის ჩვენმა ორგანიზაციამ 10 000-მდე ოჯახი აღრიცხა, რომლებმაც მოგვაკითხეს და განაცხადეს, რომ იყვნენ საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი. „მე-9 არხის" დაფინანსებით რეჟისორმა **ნინო ნავროზაშვილმა** გადაიღო ფილმი „სახლი, რომელშიც აღარ ვცხოვრობ". ფილმის გადაღების შემდეგ დაპირება ბევრი იყო...

არჩევნებიდან 2-3 თვეში კი ყველაფერი აპრობირებული მეთოდით გაგრძელდა.

ახალმა ხელისუფლებამ სახლებიდან გამოასახლა ის ადამიანები, რომლებიც ნაცების პერიოდში ბოლომდე იდგნენ ოპოზიციურ აქციებზე, იცავდნენ თავს და ქვეყანას, ამის გამო „ნაციონალური მოძრაობა" იჭერდა მათ, უდებდა წამალს, უფორმებდა საპროცესო გარიგებას და თანხის გადასახდელად მათ საკუთარი ქონების ოპოთეკით დატვირთვა უწევდათ.

ასე გვსჯიდნენ „დემოკრატიის მამები" სიტყვის თავისუფლებისთვის და ქონებას გვართმევდნენ. **„ოცნებამ" ეს ოჯახები გამოასახლა სწორედ ისეთივე ძალადობრივი მეთოდებით, როგორითაც ასახლებდა „ნაცმოძრაობა" — უბრალოდ, გაყარა ქუჩაში, ყოველგვარი სოციალური დაცვის გარეშე.**

**10 000 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.**

2013 წელს ვცადეთ, გამოგვეცხადებინა მორატორიუმი გამოსახლებაზე და დაგვეწყო ამ პრობლემის მოგვარების პროცესი, გვქონდა კონკრეტული შეთავაზებებიც, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა.

**2013-2014 წლებში, საჯარო რეესტრის მონაცემებით, იპოთეკით დატვირთული იყო 132 835 უძრავი ქონება. გაამრავლეთ ახლა ეს რიცხვი 3-ზე და მიიღებთ პოტენციური უსახლკაროების რაოდენობას.** მეკითხებით, რა საჭიროა არასამთავრობოების მუშაობა, გიპასუხებთ, რომ სწორედ ასეთი მონაცემებისა და ფაქტების გამოსამზეურებლად.

გადავწყვიტეთ, დაგვეწყო გრანტის მოძიების პროცესი. ავიყვანეთ დაფინანსებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ჩვენი წარმომადგენელი იქნებოდა უცხოელ დონორებთან და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მივმართეთ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Usaid). წარვუდგინეთ უკვე გაწეული საქმიანობის შესახებ მასალა, დაწერილი პროექტი; შემოგვითვალეს, — ჩვენ გვყავს სანდო პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როდესაც შემოდის ახალი პროექტი, ჩვენი შინაგანაწესის მიხედვით, ეს პროექტი უნდა გავაცნოთ ჩვენს სანდო პარტნიორებს, ხომ არ მუშაობს რომელიმე მათგანი ამ პრობლემატიკაზე და, თუ ასეთი აღმოჩნდება, ვალდებული ვართ, ის დავაფინანსოთ. ქართულ რეალობაში ეს ნიშნავს იმას, რომ, **თუ იდეა და პროექტი მოეწონათ, პროექტი თავის დაფინანსებიანად გადაეცემა რომელიმე მათ სანდო პარტნიორ ორგანიზაციას.** ჩვენ შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა — 2014 წელს Usaid Georgiam დააფინანსა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (eprc) კვლევა: საქართველოში არსებული პრობლემური სესხების მართვა — ანალიზი და რეკომენდაციები. **კვლევა თავიდან ბოლომდე ეყრდნობა ჩვენი ორგანიზაციის მასალებს, ინტერვიუებს, ციფრებსა და მოხსენიებულიც ვართ. მათ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ ამის უფლება, საჯარო ინტერვიუებსა და განცხადებებს ეყრდნობოდნენ, რადგან არც ერთი მათი სანდო პარტნიორი არ მუშაობდა ამ თემაზე და ამიტომ ჩვენს კვლევებზე ააგეს თავიანთი ე.წ. კვლევა?**

**— რა ხდება დღეს არასამთავრობო სექტორში? ვინ არიან ის ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ დაფინანსებით, ვის ინტერესებს ატარებენ? რა ღირებულებებს ნერგავენ საზოგადოებაში და ვის ემსახურებიან?**

— 2012 წლის არჩევნების შემდეგ **„ნაცმოძრაობის" ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ გახსნილი ენჯეოები გარანტირებული არიან დაფინანსებით ამერიკის დონორი ორგანიზაციებიდან. შეიძლება თქვან, რომ დონორი თავის ფინანსებს, ვისაც უნდა, იმას მისცემსო, მაგრამ ეს გრანტები ხომ საქართველოს განვითარებისთვისაა გამოყოფილი?**

— დღეს საქართველოში მოქმედი, ესე იგი, დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოელი პარტნიორები თვითონ არიან ჩართული სხვადასხვა საფინანსო სექტორში, ხშირად გვევლინებიან ბანკების მენეჯმენტში ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დამფუძნებლებად. ანუ, უფრო გახსნილად რომ ვთქვათ, შემოსული გრანტები ძირითადად მხოლოდ ბუღალტერიით შემოიფარგლება. არ არსებობს რომელიმე მასშტაბური და სასარგებლო პროექტი, რომელიც მათ განახორციელეს ბოლო 15-17 წლის განმავლობაში. გრანტებით მიღებული დივიდენდები თავისუფალი ფულის სახით მიემართება სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციაში, მაღალ იპოთეკურ სესხებად გადაეცემა ჩვენს უმუშევარ საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, საცხოვრებლის გარანტიით. ძალიან მარტივია ამის კვლევა, ეს ყველაფერი საჯაროა.

**მივმართავ ყველას: სამშობლოს ემსახურეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და არა უკანასკნელ ამერიკულ დოლარამდე.**

საქართველოში 10 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. მათი უმეტესობა, სწორედ იმ უკანონო საქმიანობით არის დაკავებული, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მართლა სურთ ქვეყნის სამსახურში ყოფნა და ადამიანების სოციალური პრობლემების მოგვარება, თუმცა მათი უმეტესობა დღეს გაჩერებულია, რადგან ვერ მოიპოვეს დაფინანსება, ვერ „ჩაჯდნენ" ვერავის ინტერესში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩნდება შეკითხვა: **ვინ აფინანსებს ქართველი საზოგადოების ინტერესებს?**

«2013-2014 წლებში, საჯარო რეესტრის მონაცემებით, იპოთეკით დატვირთული იყო 132 835 უძრავი ქონება. გაამრავლეთ ახლა ეს რიცხვი 3-ზე და მიიღებთ პოტენციური უსახლკაროების რაოდენობას»

«ნაცმოძრაობის» ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ გახსნილი «ენჯეოები» გარანტირებული არიან დაფინანსებით ამერიკის დონორი ორგანიზაციებიდან. შეიძლება თქვან, რომ დონორი თავის ფინანსებს, ვისაც უნდა, იმას მისცემსო, მაგრამ ეს გრანტები ხომ საქართველოს განვითარებისთვისაა გამოყოფილი?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეს ისტერიკული რუსოფობია რაღაცით ჰგავს ანტისემიტიზმს, რომლის მიხედვით ყველაფერი, რაც ცუდი ხდებოდა მსოფლიოში, ებრაელების ბრალი იყო. ახლა თურმე ყველაფერი რუსეთის ბრალია. რუსები ნიშნავენ თურმე აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების პრეზიდენტებს და ა.შ. ერთი სიტყვით, ნეოლიბერალური მსოფლიო ებრძვის რუსეთს, რადგან ეს მართლმადიდებლი ქვეყანაა ერთადერთი ძალა, რომელიც გადაულახავ წინაღობად აღმართულა გარყვნილი დასავლეთის გზაზე.**

# დამარცხდება რუსეთი? — აღარ იარსებებს მართლმადიდებლობა. აღარ იარსებებს მართლმადიდებლობა? — აღარ იარსებებს ქართველი ერი

**ჩემს ბოლო სტატიაში 26 მაისზე ვწერდი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ვერა და ვერ იქცა ქართველთათვის მართლაც საერთო ეროვნულ დღესასწაულად, ზეიმად, რომლის მოსვლასაც გულისფანცქალით დაელოდებოდა ყველა ქართველი, ისევე, როგორც ფრანგები ელოდებიან 14 ივლისს ან ამერიკელები — 4 ივლისს. და ვინატრე, ერთი დღით ან ამერიკელი ვყოფილიყავი, ან ფრანგი, რათა განმეცადა ის, რასაც სამშობლოს დამოუკიდებლობით გამოწვეული სიამაყე და სიხარული ჰქვია.**

ვინც 12 ივნისს „რუსეთის დღისადმი“ მიძღვნილ გრანდიოზულ კონცერტს უყურა წითელ მოედანზე და ასიათასობით რუსის პატრიოტიზმით ანთებული თვალებიც იხილა, დამეთანხმება, რომ ოკეანის გაღმა წასვლისა და ერთი დღით გაამერიკელების გარეშეც შესაძლებელი ყოფილა იმის განცდა, რასაც, ვიმეორებ, ვერ ველირსე 26 მაისს, რადგან საქართველო მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი. **ჩვენს ბედს, აგერ უკვე 26 წელიწადია, ბუკიკიოები წყვეტენ — საქართველოს ხელისუფლება იმასაც კი, რამდენი კოვზი შაქარი ჩავიყაროთ ჩაიში, ბრიუსელ-სტრასბურგ-ვაშინგტონს უთანხმებს.**

რუსეთს 12 ივნისს კიდევ დავუბრუნდები, მანამდე კი პეტერბურგში გამართულ გრანდიოზულ ეკონომიკურ ფორუმზე ვიტყვი, ფორუმზე, რომელზეც **ვლადიმერ პუტინს** მარჯვნიდან ინდოეთის პრემიერი, ავსტრიის კანცლერი და მოლდოვის პრორუსული ორიენტაციის ახალარჩეული პრეზიდენტიიგორ **დოდონი** უმშვენებდნენ მხარს, ხოლო მარცხნიდან — ამერიკული ტელეკომპანია „ენ-ბი-სი“-ს პირმშვენიერი ქალბატონი **მეგინ კელი**, უკაცრავად ჟარგონისთვის და, „ეშპილკავებოდა“ რუსეთის პრეზიდენტს პროვოკაციული კითხვებით. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სანქციების წნეხში მოქცეულ რუსეთში ასობით ჩასულ ბიზნესმენს შორის უმეტესობა იყო ამერიკელი, რომლებმაც სხვებთან ერთად 2.5 ტრილიონი რუბლის კონტრაქტები გააფორმეს რუსეთის ბიზნესწრეებთან თუ სახელმწიფო კომპანიებთან. რაც შეეხება „ენ-ბი-სი“-ს ქერა ლამაზმანს, მის დაშტამპულ კითხვებს, რუსეთის პრეზიდენტი ჩვეული პირდაპირობითა და იუმორით იგერიებდა, ფორუმის დამთავრების შემდეგ კი ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომლიდანაც მხოლოდ ერთ კითხვა-პასუხზე გავამახვილებ ყურადღებას:

ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსი „ენ-ბი-სი“-ს კორესპონდენტის ნატქვამისა ასეთია: **რუსეთი ის ქვეყანაა, რომელშიც თავისუფალი აზრი იდევნება, ჟურნალისტებს ხოცავენ, სექსუალურ უმცირესობებს ჩაგრავენ, არბევენ მშვიდობიან მიტინგებსა თუ დემონსტრაციებს, მძიმე ვითარებაა პენიტენციურ სისტემაში და ა.შ. ბატონო პრეზიდენტო, რას უპასუხებთ მათ, ვინც ამ მოსაზრებებს იზიარებს?**

ვლადიმერ პუტინის პასუხის შინაარსი ასეთია: რუსეთი დემოკრატიული გზით ვითარდება, ეს უდავო ფაქტია. დასავლელი პარტნიორების კრიტიკასაც ვითვალისწინებთ, თუ ეს კრიტიკა კეთილი მოსაზრებებით ისმის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ რამეს თითქმის ვერ ვიხსენებ. **მსგავსი კრიტიკა, როგორც წესი, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის მცდელობაა; რატომ აძლევს დასავლეთი, აშშ თავს იმის უფლებას, რომ გვასწავლონ, როგორ ვიცხოვროთ?** რაც შეეხება მშვიდობიან მიტინგებს, თუ ის არასანქცირებულია, მას, უბრალოდ, შლის ჩვენი პოლიცია და, თქვენგან განსხვავებით, ხელკეტებისა თუ ცრემლმდენი აირის გარეშე. აქედან გამომდინარე, მეც მაქვს თქვენთან კონტრშეკითხვა: **სად არის მშვიდობიანი აქცია ე.წ. დაიკავე უოლ-სტრიტი?** ეს აქცია აშშ-ის პოლიციამ ხელკეტებითა და ცრემლმდენი აირის გამოყენებით დაშალა და „ფშიკ“ (ზუსტად ასე თქვა პუტინმა), თითქოს არც ყოფილა... რაც შეეხება რუსეთის ციხეებში არსებულ „მძიმე“ ვითარებას, პრეზიდენტმა ობამამ 2 საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში არათუ დახურა გუანტანამოს ციხე, რაც მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო, დღესაც გუანტანამოს ჯოჯოხეთში ბრალის წაუყენებლად იტანჯებიან აშშ-ის მიერ მისთვის საშიშად მიჩნეული დამნაშავენი. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ვინმეს ოდესმე გაუპროტესტებია აშშ-ის ზევით ჩამოთვლილი ქმედებები? ასე რომ, ჩვენ არავის შინაურ საქმეებში არ ვერევით და არც არავის მივცემთ უფლებას, ჩვენს საქმეებში ჩაერიოს, რადგან ასეთი ჩარევები, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების შეცვლის მცდელობებია.



**ვაშინგტონში ჯერ ის ქერა ლამაზმანი ჟურნალისტი დაადანაშაულეს ვლადიმერ პუტინისადმი აშკარად გამოხატულ სიმპათიაში, ხოლო შემდეგ ყველაზე «დემოკრატიული და თავისუფალი» ამერიკული მედიის ერთ-ერთმა ფლაგმანმა, ტელეკომპანია «ენ-ბი-სი»-მ ინტერვიუდან ზემონახსენები 7-წუთიანი ეპიზოდი ამოჭრა და ისე გაუშვა ეთერში**

რატომ დავუთმე ამდენი დრო და ადგილი ამ ვრცელი ინტრვიუს ერთ კითხვა-პასუხს? — იმიტომ, რომ მას დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა: **ვაშინგტონში ჯერ ის ქერა ლამაზმანი ჟურნალისტი დაადანაშაულეს ვლადიმერ პუტინისადმი აშკარად გამოხატულ სიმპათიაში, ხოლო შემდეგ ყველაზე „დემოკრატიული და თავისუფალი“ ამერიკული მედიის ერთ-ერთმა ფლაგმანმა, ტელეკომპანია „ენ-ბი-სი“-მ ინტერვიუდან ზემონახსენები 7-წუთიანი ეპიზოდი ამოჭრა და ისე გაუშვა ეთერში.**

**ასეთი რამ არ მომხდარა საბჭოთა კავშირშიც კი, არ მოხდარა, რომელიმე ქვეყნის პირველი პირის ინტერვიუ დაეჩეხათ და ისე გაეშვათ ეთერში.** ან საერთოდ არ გაუშვებდნენ, ან, თუ გაუშვებდნენ, ყოველგვარი „მაკრატლის“ გარეშე, რადგან პრეზიდენტის ინტერვიუს დაჩეხვა არა მხოლოდ დაუწერელი კანონის დარღვევაა, რასაც ზნეობა ჰქვია, არამედ იმ ქვეყნის, ერის შეურაცხყოფა, რომლის პრეზიდენტის ინტერვიუსაც ჩეხავ. **მსგავსი რამ, რაც „ენ-ბი-სი“-მ ჩაიდინა, რუსეთის ტელევიზიას რომ ჩაედინა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა აურზაური ატყდებოდა დასავლურ მედიაში?** მაგრამ არც დასავლეთში და, მით უმეტეს, აშშ-ში კრინტიც არავის დაუძრავს, მათ შორის, **დონალდ ტრამპსაც,** რომელმაც, გვახსოვს, როგორი კინწისკვრით გაყარა პრესკონფერენციიდან, მისი აზრით, არაობიექტური მედიის ჟურნალისტები, მათ შორის, ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის.

სიტყვამ მოიტანა და, დონალდ ტრამპის მიმართ გაჩენილი ოპტიმისტური მოლოდინი, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებული აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში დღეს ისე ჩანს, რომ ტრამპიც ისეთივე „უტრა-მპო“ ყარაჩოხელია, როგორც მისი წინამორბედი პრეზიდენტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

გასაგებია, რომ დონალდ ტრამპს აშშ-ის (წაიკითხე მსოფლიოს) მმართველი ნეოლიბერალური ელიტა, სისტემა ებრძვის და ებრძვის ისეთი გააფთრებით, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ე.წ. უსქესო ტუალეტების აკრძალვაც ვერ შესძლო, მაგრამ, მას სისტემასთან რომ მოუწევდა დაჯახება, ტრამპის გაპრეზიდენტებამდეც ცხადი იყო. მსოფლიოს მოლოდინი კი სწორედ ის იყო, რომ ტრამპი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, რომელიც სისტემასთან გაბედავდა შერკინებას, ისევე, როგორც თავის დროზე **ჯონ კენედიმ** და მისმა ძმამ, **რობერტ კენედიმ,** გაბედეს. ეს ყველაფერი დონალდ ტრამპმა ჩვენზე კარგად იცის და **ამიტომ არლინგტონის სასაფლაოზე კენედებივით პომპეზურ დაკრძალვას ისევ სისტემის ნაწილად ყოფნა არჩია.** ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს და ვნახოთ, ხვალ რა მოხდება...

დასავლური საინფორმაციო სააგენტოების (რომლებსაც რუსეთის სიყვარულს ვერ დააბრალებ) გამოკითხვების შედეგების მიხედვით, უკვე რამდენიმე წელიწადია, პუტინი არავის უთმობს ყველაზე გავლენიანი პიროვნების ტიტულს. ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ კი, იმავე სააგენტოების კვლევების მიხედვით, რუსეთის პრეზიდენტი ყველაზე ძლევამოსილი პიროვნების ტიტულსაც დაეუფლა. არადა, სამხედრო ექსპერტთა გათვლებით, ნატო (წაიკითხე, აშშ) სამხედრო სიმძლავრით რამდენიმეჯერ აღემატება რუსეთს — ეს სიმძლავრე ტანკების, რაკეტების, თვითმფრინავების, გემების, სუბმარინებისა და ა.შ. სიმრავლით განისაზღვრება.

მაშ, რაში გამოიხატება პუტინის (რუსეთის) ძლევამოსილება? **ვლადიმერ პუტინმა გაითვალისწინა, რა შედეგით დამთავრდა სსრკ-ისთვის ნატოსთან (აშშ-თან) შეიარაღებაში შეჯიბრება. მან უარი თქვა აშშ-თან სიმეტრიულ სამხედრო ჭიდილზე და აქცენტი მაღალტექნოლოგიურ რაკეტსაწინააღმდეგო და შეტევით ბირთვულ პოტენციალზე გააკეთა** — საკონტინენტთაშორისო და ფრთოსან რაკეტებზე, რომლებსაც ბირთვული ქობინების გადატანაც შეუძლია. ხოლო თვით რუსეთის საჰაერო სივრცე მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე ისეა დაცული, რომ, რაკეტას კი არა, ჩიტსაც გაუჭირდება შეფრენა. სწორედ ამიტომ ამბობს პუტინი, — ნებისმიერი აგრესორი საკადრის დამანგრეველ პასუხს მიიღებსო. ამას დავუმატოთ ისიც, რომ **პენტაგონის ჯარში 70 ათასამდე ლესბოსელი და გეი მსახურობს და, ვის მხარეზეა მორალური უპირატესობა, ცხადია.**

ყირიმის რუსეთთან მიერთების შემდეგ (რაც ისტორიული სამართალიანობის აღდგენა იყო და არა სხვისი ტერიტორიის ანექსია), როგორ არ ეცადნენ რუსეთის იზოლაციას – დაუწესეს ეკონომიკური სანქციები, რიოს ოლიმპიადაზე არ დაუშვეს მძლეოსანთა და ძალოსანთა ნაკრებები, მაგრამ რუსეთმა მაინც მიიღო ყველაზე პრესტი-

**რუსეთის საჰაერო სივრცე მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე ისეა დაცული, რომ, რაკეტას კი არა, ჩიტსაც გაუჭირდება შეფრენა. სწორედ ამიტომ ამბობს პუტინი, — ნებისმიერი აგრესორი საკადრის დამანგრეველ პასუხს მიიღებსო**

„რომ გაიძახიან, ჩვენი კულტურითა და ცივილიზებულობით შევალთ ევროპაშიო, ჯერ ერთი, საკითხავია, გვჭირდება თუ არა და რას მოგვიტანს დღევანდელი ევროპა; შემდეგ — რით შედიან ევროპაში, ნარკომანიით, სოდომიით? ეს არის ქართული კულტურა?! არ მინდა, დავიჯერო, რომ ქართველ ხალხს ისე დაებინდა გონება, რომ საზოგადოება ვერ არჩევს შავს თეთრისგან და ვერ ხვდება იმას, რაც ელემენტარული ჭეშმარიტებაა“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ჟული ავტორბოლის, „ფორმულა-1“-ის, ეტაპი სოჭში, იქვე ზამთრის ოლიმპიადა და ყველაზე მთავარი — მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელსაც გაისად უმასპინძლებს და ეს ყველაფერი — შესაბამის სპორტულ ფედერაციებზე დასავლეთის (აშშ) არნახული ზეწოლის მიუხედავად.

დავუბრუნდეთ 12 ივნისს მოსკოვსა და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში გამართულ „რუსეთის დღისადმი“ მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებებს. ამ დღეს აშშ-დან დაფინანსებულმა ოპოზიციამ საპროტესტო პროვოკაციული მსვლელობის მოწყობაც სცადა, მაგრამ პოლიციამ მანამდე აღკვეთა, ვიდრე ამას მოქალაქეები გააკეთებდნენ. სხვათა შორის, ამას წინათ რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ **აშშ ყოველწლიურად 70-90 მილიარდი რუბლით აფინანსებს რუსეთის ე.წ არასისტემურ ოპოზიციას.** როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

პუტინის ოპოზიციას მხარდამჭერები, ძირითადად, რუსეთის დიდ ქალაქებში ჰყავს — ე.წ. ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ ისე მცირერიცხოვანი, რომ სასაცილოა. მაგალითად, „რუსეთის დღე“ მხოლოდ მოსკოვში 3.5 მილიონმა ადამიანმა იზეიმა, ხოლო ამ ზეიმის ჩასაშლელად ოპოზიციონერმა **ალექსეი ნავალნიმ** 2-3 ათასი ადამიანის მობილიზება ძლივს შეძლო. რეგიონებში ხომ საერთოდ აღმერთებენ რუსეთის პრეზიდენტს, განსაკუთრებით, ყირიმის შემდეგ.

აშშ-ის მიერ წამოწყებული რუსოფობია კი გრძელდება — სენატორმა **მაკეინმა** განაცხადა, მსოფლიოსთვის „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებზე საშიში ვლადიმერ პუტინიაო. **ეს ისტერიკული რუსოფობია რაღაცით ჰგავს ანტისემიტიზმს, რომლის მიხედვით ყველაფერი, რაც ცუდი ხდებოდა მსოფლიოში, ებრაელების ბრალი იყო. ახლა თურმე ყველაფერი რუსეთის ბრალია. რუსები ნიშნავენ თურმე აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების პრეზიდენტებს და ა.შ.** ერთი სიტყვით, ნეოლიბერალური მსოფლიო ებრძვის რუსეთს, რადგან ეს მართლმადიდებელი ქვეყანაა ერთადერთი ძალა, რომელიც გადაულახავ წინაღობად აღმართულა გარყვნილი დასავლეთის გზაზე; იმ დასვლეთის, რომელმაც ვერაფრით შეაგნებინა „ველურ“ რუსეთს, რომ გეიაღლუმები, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებები და ა.შ. ისეთივე ჩვეულებრივ ამბად უნდა მიიღოს, როგორც მაისში წვიმა და იანვარში თოვლი. ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება ვუსურვოთ მართლმადიდებელ რუსეთს, რადგან იგი ამ ბრძოლით ქართველების საქმესაც აკეთებს!

დამარცხდება რუსეთი? — აღარ იარსებებს მართლმადიდებლობა. აღარ იარსებებს მართლმადიდებლობა? — აღარ იარსებებს ქართველი ერი.

მაგრამ უფალი არ დაუშვებს ამას, რადგან რუსეთი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება!

**დავით მხეიძე**

# მამა დავითი (ქვლივიძე): რით შედიან ევროპაში, ნარკომანიითა და სოდომიით? ეს არის ქართული კულტურა?!

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე).**

**— მამაო, 16 ივნისს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანაფის დათესვისა და მარიხუანის შეძენა-შენახვა-მოხმარებისთვის პატიმრობის გაუქმებას. საკანონმდებლო ცვლილება გამორიცხავს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას 70 გრამამდე გამომშრალი და 140 გრამამდე ნედლი მარიხუანის, აგრეთვე, 140 გრამამდე მცენარე კანაფის შეძენა-შენახვა-გადაზიდვისა და პირადი მოხმარების შემთხვევაში. რა შედეგს მოიტანს ეს საკანონმდებლო ცვლილება? ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეები ამბობენ, რომ მარიხუანას ისედაც ბევრი მოიხმარს.**

— არ არის სწორი მიდგომა, — ისედაც ბევრი ეწევა და არ უნდა აიკრძალოსო. მაშინ, საერთოდ, რა საჭიროა პოლიცია? **მათი ლოგიკით, არ უნდა დაისაჯოს მკვლელობის, ქურდობის, ყაჩაღობის, ძალადობის ჩამდენი. ამ დანაშაულებსაც ხომ სჩადის ვიღაც?**

რაც შეეხება შეკითხვას, ნარკოპოლიტიკის შემსუბუქება დაღუპავს ქვეყანას. ჩვენ ამ თემაზე ადრეც გვისაუბრია და არაერთხელ მითქვამს, რომ ეს ყველაფერი არის გარედან თავსმოხვეული პროპაგანდის შედეგი. ხელისუფლებაში მოკალათებული გარკვეული ძალები კი დავალებას გულმოდგინედ ასრულებენ... ახლა ვიღაც ამაზე ქირქილს დაიწყებს და იტყვის, — რა სისულელეა, აქ ლაპარაკია მხოლოდ „მსუბუქ ნარკოტიკზეო“... არ არსებობს მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკი, ნარკოტიკი ნარკოტიკია. თავდაპირველად ყველა იწყებს მარიხუანით და მერე გადადის სხვაზე, ამის სტატისტიკაც არსებობს. ასე რომ, ცხადია, რას მოიტანს ეს ცვლილება.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— რამდენიც უნდა იძახონ, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ქართულ დემოკრატიას სჭირდებაო, ვფიქრობ, ასე არ არის. ეს ცვლილება გამოიწვევს ნარკომანიის წახალისებას. და, **თუ დღეს საუბრობენ იმაზე, რომ ისედაც ბევრი ეწევა, აკრძალვას რა აზრი აქვსო, ხვალ ყველა მოწევს. პირდაპირ ქუჩაში მიიღებენ ნარკოტიკს ადამიანები, სკოლაში მოწევენ ბავშვები და „დაბოლილები“ ივლიან... ამას მოჰყვება სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზე გადასვლა, მერე — ოჯახიდან ნივთების გატანა, ქურდობა და სხვა მრავალი დანაშაული. ეს გვინდა?!** სწორედ ეს პროცესები გვხევს უკან. შეხედეთ სხვა ქვეყნებს, რომლებშიც, უკვე დიდი ხანია, ნარკოტიკები ლეგალიზებულია, რაიმე კარგი მოიტანა ამ ყველაფერმა?! ამის მაგალითად კოლუმბიაც და ავღანეთიც გამოდგება. საბოლოოდ, კიდევ ვიმეორებ, ეს იქნება ქვეყნის დაღუპვა და დაქცევა. ვის უნდა ეს? — საქართველოს მტრებს, მათ, ვისაც ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობა აღიზიანებს და ძალ-ღონეს არ იშურებს, ერის მეხსიერებიდან წაშალოს ყველაფერი ქართული, ტრადიციული... აი, ეს არის ამ ყველაფრის მიზანი და ამისთვის ირჯებიან, თორემ ქართული დემოკრატია მათ არ აინტერესებს.

**— თქვენ თქვით, რომ ეს ყველაფერი გარედანაა თავსმოხვეული. მოდი, დავაკონკრეტოთ: ვინ და რა ძალები დგანან ამ პროცესების მიღმა?**

— ვინ აფინანსებს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში, ვინაა მათზე გადამკვდარი? ვინ მიაღებინა წინა მოწვევის პარლამენტს „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ და ვინ კურატორობს ლგბტ-თა გამოსვლებს? დამალული ხომ არაფერია. გაიხსენეთ თუნდაც **ჯო ბაიდენის** ცნობილი განცხადება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მსოფლიოში სექსუალური უმცირესობების უფლებები დავიცვათო; ან ამერიკის საელჩო რა განცხადებებს აკეთებდა საქართველოში, როცა ხალხმა არ დაუშვა სოდომიის პროპაგანდა... აი, ეს ძალებია რეალურად ამ პროცესების მამოძრავებელი, თორემ **საქართველოს ხელისუფლებას ისევე არ ეკითხებიან არაფერს, როგორც მე და თქვენ.** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კი, თავიანთი პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ, უსიტყვოდ ასრულებენ ყველაფერს, რასაც უბრძანებენ „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის მიღებას დაავალებენ და მიიღებენ მაშინვე, ნარკოტიკების ლეგალიზება იქნება საჭირო, იმწუთას მზადაა საკანონმდებლო ინიციატივა... ნურაფერი გვიკვირს, **ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, ერთ დღეს გარყვნილების პროპაგანდა დააკანონონ, მეორე დღეს კი პატრიარქის გვერდით დადგნენ საადგომო წირვაზე.**

**— „მსუბუქი ნარკოტიკის“ დეკრიმინალიზაციას სხვა ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციაც მოჰყვება?**

— არამხოლოდ დეკრიმინალიზაცია, მალე ლეგალიზებაც მოხდება და მეტი ახალგაზრდა დაიღუპება, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. ისედაც კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს დემოგრაფიული თვალსაზრისით და, ყოველი მეორე ახალგაზრდა ნარკოდამოკიდებული რომ გახდება, ნარკომანმა ქალმა და კაცმა როგორ უნდა შექმნას ზნეობრივი ოჯახი? ან ბავშვი როგორი გაიზრდება ნარკომანების ოჯახში, მას ხომ თავიდანვე დაუმახინჯდება ცნობიერება?!

**— თუმცა ბოლო პერიოდში ტელევიზიები გაშმაგებით ეწევიან პროპაგანდას, რომ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკი ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის. პირიქით — უფრო მის „დადებით“ მხარეებზე უფრო საუბრობენ.**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. **აბა, იმას ხომ არ გეტყვიან, რომ ერისა და ქვეყნის მტრები არიან?! სოდომიაზეც იმავეს არ ამბობენ, — არც ცოდვაა და არც გადახრა, ბუნებრივი მდგომარეობააო. გარდა ამისა, რომ გაიძახიან, ჩვენი კულტურითა და ცივილიზებულობით შევალთ ევროპაშიო, ჯერ ერთი, საკითხავია, გვჭირდება თუ არა და რას მოგვიტანს დღევანდელი ევროპა; შემდეგ — რით შედიან ევროპაში, ნარკომანიით და სოდომიით? ეს არის ქართული კულტურა?! არ მინდა, დავიჯერო, რომ ქართველ ხალხს ისე დაებინდა გონება, რომ ვერ არჩევს შავს თეთრისგან და ვერ ხვდება იმას, რაც ელემენტარული ჭეშმარიტებაა...**

**— რამდენიმე დღის წინათ ათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებული მომღერლების მხარდასაჭერად. თუ კი გარედანაა თავსმოხვეული ნარკოტიკების დეკრიმინალიზების თემა, საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში რატომ არის ასეთი განწყობა?**

— თავდაპირველად, მინდა, ვთქვა, რომ არა მხოლოდ ჩემი, არამედ ბევრის აზრით, აღნიშნულ აქციაზე ადამიანთა უმრავლესობა შეიკრიბა იმ მიზნით, რომ გაეპროტესტებინა პოლიციის ძალადობრივი ქმედება. აქციის ანონსიც ეს იყო. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ ნარკომანიის პროპაგანდას, ვფიქრობ, გარკვეულწილად, დასავლური ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მსხვერპლნი არიან, მაგრამ მერწმუნეთ, როგორც კი დასრულდება ეს პროპაგანდა, ადამიანები აღარ მოიწამლებიან სიბინძურით. ამიტომაა, პირველ რიგში, სათავეები აღმოსაფხვრელი, რათა გარყვნილებას არავინ დაარქვას ნორმა, სოდომიას — ბუნებრივი მდგომარეობა, ნარკომანიას — დემოკრატია და თავისუფლება...

**— თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას ეტყვით კანონმდებლებს?**

**— მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ვალდებულნი არიან, პატივი სცენ ქართველ ერს და მის ტრადიციებს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთისგან პასუხი მოეთხოვებათ. სახარებაში წერია ასეთი იგავი: ბატონი თავის მონებს დაუტოვებს ფულს — ტალანტს. პირველს დაუტოვებს ერთ ტალანტს, მეორეს — ორს, მესამეს — ხუთს. უკან დაბრუნებულს ხუთი ტალანტის მფლობელი ათს დაახვედრებს, ორის მფლობელი — ოთხს, ხოლო ერთის მფლობელი — კვლავ ერთს. ბატონი გაკიცხავს ერთი ტალანტის მქონეს, ხოლო დანარჩენ ორს შეაქებს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეკითხება. ამიტომ მათ პატივი უნდა სცენ ჩვენს ქვეყანას, რადგან ერის შეურაცხყოფისთვის პასუხს აგებენ. შეგვიძლია, ასევე, გავიხსენოთ ბიზანტიის მაგალითი. ბიზანტიის იმპერატორმა და ეკლესიამ უღალატა ტრადიციებს, შეურაცხყო სარწმუნოება და გადარჩენის მიზნით მიიღო კათოლიკობა. შედეგად ძლევამოსილი იმპერია დაემხო, თურქებმა უღირსი ეპისკოპოსები და პატრიარქი გადააყენეს და დააწინაურეს მართლმორწმუნე მართლმადიდებელი ბერძნები. თურქებს ეშინოდათ, რომ გაკათოლიკებული ბიზანტიელები საერთო ენას გამონახავდნენ ფსევდოქრისტიანებთან და აჯანყებას მოაწყობდნენ. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და ზნეობრივად მოვიქცეთ, თორემ ღმერთი გარეშე პირების ხელით მოაგვარებს სიტუაციას და, ამ გარეშე პირებში ვინც იგულისხმება, ალბათ, ყველა ვხვდებით.

**— როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?**

— ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ნარკომანია ცოდვაა, მაგრამ, ამასთანავე, ვფიქრობ, რომ არ არის სწორი, როდესაც ადამიანი მარიხუანის მოწევის გამო რვაწლიან სასჯელს იხდის. ეს, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. სახელმწიფომ ამ პრობლემას სხვაგვარად უნდა ებრძოლოს. პირველ ჯერზე ადამიანმა საჭიროა, გადაიხადოს ჯარიმა. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა უნდა გაიზარდოს. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი არ არის დასაქმებული და გადახდისუნარიანი, შეიძლება მას დაევალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის შესრულება. მაგალითად, ქუჩების დასუფთავება, გაზონის მორწყვა, მშენებლობაზე მუშაობა და ასე შემდეგ. გარდა ამისა, შეიძლება, ზემოაღნიშნული ჯარიმა მიებას კომუნალურ გადასახადებს. ეს განაპირობებს იმას, რომ ოჯახი კიდევ უფრო მეტად ჩაერთვება ადამიანის რეაბილიტაციის პროცესში. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია ეკლესიის როლიც. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად შეეცდება ვითარების გამოსწორებას.



ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აბა, გავიხსენოთ, „რუსთავი 2“-მა, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ საინფორმაციო გამოშვებას ისე არ იწყებდა და ამთავრებდა, „პოლიტიკური მოტივით მოკლული კოლეგა“ რომ არ ეხსენებინა, „ვარდების“ შემდეგ, მთელი 9 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ მოითხოვა კოლეგის მკვლელობის პირუთვნელი გამოძიება? არა! გიორგი სანაიას ტრაგიკული მკვლელობით სპეკულირებაც მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ მის „კოლეგებსა“ და ავანტიურისტ პოლიტიკოსებს, რისთვისაც ახლა აზერბაიჯანელი „ჟურნალისტის“, აფგან მუხთარლის, ბედზე მოთქმა-გოდება სჭირდებათ.**

# მუხთარლი კი არა, ნახევარი საქართველო აწამეს და, «მეშოკი» კი არა, «შავი პავიაზკაც» არავის გაუკეთებია ეთერში

# რას უმზადებს საქართველოს ბედი მუხთარლი?

**აზერბაიჯანის მოქალაქის, ვინმე აფგან მუხთარლის შესახებ სტატიის დაწერას არ ვაპირებდი და ასე განსაჯეთ, ერთი პატარა „ფეისბუქ-პოსტიც“ კი არ დამიწერია ამ თემაზე, რადგან უმნიშვნელოდ მიმაჩნია, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან ითანამშრომლეს ქართულმა სპეცსამსახურებმა და ვის და რატომ გადასცეს იმ ქვეყნის ძებნილი მოქალაქე. მით უფრო უინტერესოა ყოველივე ეს, თუ საქართველოს პრემიერმინისტრი მართალია და აფგან მუხთარლის დაპატიმრებაში ქართული სპეცსამსახურები უბრალონი არიან.**

თუმცა, რამდენადაც უინტერესოა ეს ფაქტი და თემა, იმდენად უფრო საინტერესო ხდება ქართული მედიის, ე.წ. არასამთავრობო სექტორისა და გარკვეული ოდიოზური პერსონების შეუსაბამოდ მძაფრი და ხანგრძლივი რეაქცია ამ უინტერესო ფაქტის გამო.

მოდი, ავხსნათ: როდესაც რაიმე არც ისე მნიშვნელოვან ფაქტს ასე კვირების განმავლობაში ატრიალებს თანამედროვე ტუტუცი ქართული მედია, ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე მხილებული ავანტიურისტული ძალები ე.წ. ვარდების რევოლუციისთვის ემზადებიან.

გავიხსენოთ 2003 წლის წინა პერიოდი, ასე, დაახლოებით 2000 წლიდან რა დღეში იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“, „კმარა“, მოგვიანებით, **ზურაბ ჟვანიას** მიერ ორგანიზებული ვითომ „სტუდენტური“ ჯგუფები, ბოლოს კი **სააკაშვილის** მიერ უკვე ოფიციალურად დარეგისტრირებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამსჯელი ზონდერ-ჯგუფები.

გავიხსენოთ, როგორ არბევდნენ ისინი ბაზრობებზე იმ მოვაჭრეთა დახლებს, რომლებიც სააკაშვილის მხარდამჭერ მიტინგებზე გასვლაზე უარს აცხადებდნენ.

გავიხსენოთ პოლიციის განყოფილებებთან „პოლიციის მიერ პატიმრების ცემის გასაპროტესტებლად“ მივარდნილი **გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია** და სხვა „აქტივისტები“, რომლებიც მოგვიანებით, „ნაციონალური“ ხელისუფლების პირობებში, უკვე თვითონ მოგვევლინენ უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანების სასტიკი წამების ინიციატორებად და ტაშის დამკვრელებად.

ზოგი „მოძალადე პოლიციის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი“ კი საზოგადოებამ ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეოკადრებში მოგვიანებით, უკვე 2012 წლის შემდეგ, ამოიცნო, რადგან 2003 წელს ისინი „ცნობადი სახეები“ ჯერ არ იყვნენ. მაგალითად, ასე გაირკვა, რომ თურმე „ვარდების რევოლუციის“ იმ „გმირთა“ შორის, რომლებმაც „შევარდნაძის მოძალადე პოლიცია“ დაამარცხეს, იდგა „ნაცების“ ყველაზე ცნობილი ზონდერი და ქალთა მცემელი „მიშას პოლიციელი“ **გოგა ონიანი.** აგრეთვე, მანიაკური სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **ზურაბ ადეიშვილის,** მოადგილე **ოთო კახიძე** და სხვ.

სწორედ იმ ეპოქაში იხილა ქართველმა საზოგადოებამ და ტელემაყურებელმა პირველად საჯარო პოლიტიკური პერფორმანსები, დადგმული დებატები და ა.შ.

ჰოდა, კუკარაჩასი არ იყოს, **„ნაციონალური მოძრაობა“ მეთოდებმოძველებული მურტალოსავით იქცევა. ისევ ნაცნობი ფრაზები — პოლიციის მოძალადეობის, რუსეთის აგრესიის, საქართველოს ხელისუფლების სისუსტისა და დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.**

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ვამტკიცო, რომ ყოველივე ამის დამადასტურებელი ფაქტები ან შევარდნაძის მმართველობის პერიოდში არ არსებობდა, ან ახლა არ არსებობს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „შევარდნაძის პოლიცია“ ისეთი „ურჩხული“ არ იყო, როგორადაც ის მაშინ ხალხს წარმოუჩინეს.

ამის მაგალითად თუნდაც **კახა თარგამაძის** წინააღმდეგ აგორებული დემაგოგიაც გამოდგება. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს დაცინვით „რკინის კაცი“ შეარქვეს და საბოლოოდ სწორედ ამ ინციდენტის გამო გადადგა იგი.

„როგორ ელაპარაკება ხალხს და საზოგადოებას ეს თავხედი მინისტრი?!“ „რკინის კაცი ვარ, ვერ მომერევითო — ასე რომ მიმართავს საზოგადოებას, ის მინისტრი და ხელისუფლება უნდა გადადგეს!“ და სხვა მსგავსი პოპულისტური ფრაზებით აჭრელდა პრესა და ტელევიზია. ეს ფრაზები გაისმოდა მიტინგებზეც.

სინამდვილეში კი, კახა თარგამაძემ სიტყვებით „იცოდეთ, მე რკინის ვარ და თქვენნაირები ვერ მომერევიან“ კონკრეტულად **ზურაბ ჟვანიასა** და **მიხეილ სააკაშვილს** მიმართა და ამ ფრაზაში არანაირად, ქვეტექსტითაც კი, არ იგულისხმებოდა ხალხი და საზოგადოება.

შინაგან საქმეთა მინისტრზე გამახსენდა და ნიშანდობლივია, რომ გასულ კვირაში კიდევ ერთი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, **კობა ნარჩემაშვილის**, თემაც წამოატივტივა ქართულმა მედიამ. კერძოდ, მოკლული ჟურნალისტის, **გიორგი სანაიას**, საქმე. ჩემი დაკვირვებით, გიორგი სანაიას მკვლელობის ამბავს პერიოდულად მაშინ წამოატივტივებენ ხოლმე, როდესაც გარკვეულ ძალებს სიტუაციის მეტისმეტად დაძაბვის სურვილი უჩნდება.

ამჯერად კობა ნარჩემაშვილს, როგორც „ოცნების“ სიით გასულ პარლამენტარს, ბრალად უყენებენ გიორგი სანაიას საქმის რეალური გარემოებების „მიჩქმალვას“ და კიდევ ერთხელ ცდილობენ, ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული გამოაკერონ.

სხვათა შორის, ნარჩემაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას, როგორც 2003 წელს, ფაქტობრივად, ერთადერთ ვერშეშინებულ მინისტრს, არც ამჯერად შეეშინდა წამოსეული „არასამთავრობოების“, ჟურნალისტების და ისევ პირდაპირ განაცხადა, რომ სანაიას საქმე არ იყო პოლიტიკური მკვლელობა და ჟურნალისტი, სამწუხაროდ, პირად ურთიერთობებს შეეწირა. მისი მკვლელი კი ნამდვილად არის ის, ვინც ამ ბრალდებით ნარჩემაშვილის მინისტრობისას დააპატიმრეს, პროკურატურამაც წაუყენა ბრალი, სასამართლომაც დაუმტკიცა ბრალდება და ამ ადამიანმა მოიხადა კიდეც 13-წლიანი პატიმრობა.




მას არც შემდგომ, სააკაშვილის მთავრობის პირობებში გაუპროტესტებია, — უსამართლოდ დამსაჯესო და არც ივანიშვილის ხელისუფლება შეუწუხებია რეაბილიტაციის მოთხოვნით.

სხვათა შორის, **2003 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და აქტივისტების ერთ-ერთი ეფექტიანი სავაჭრო-სასპეკულანტო თემა სწორედ გიორგი სანაიას მკვლელობა იყო.** „რევოლუციური“ ხელისუფლება საზოგადოებას ჟურნალისტის მკვლელობის „რეალურად“ გახსნას დაჰპირდა, რადგან, როგორც „რევოლუციონერები“ გვიმტკიცებდნენ, გიორგი სანაიას ნამდვილი მკვლელი გამოვლენილი და დაკავებული არ იყო.

მაშინვე გავრცელდა ვერსიები, თითქოს სანაიას ბინის გასაღები სადღაც იპოვეს, თითქოს იმ ბინაში, რომელშიც ჟურნალისტი მოკლეს ღამით, იმ დროს, როდესაც სანაია შინ არ იყო, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ვიღაცამ შუქი დაინახა ანთებული და ასე შემდეგ. ლაპარაკობდნენ პანკისის ხეობაში არსებული ვითარების ამსახველ ვიდეოკასეტაზეც, რომელიც თითქოს ჟურნალისტს ჰქონდა...

თუმცა არც ერთი ამ „საეჭვო გარემოების“ რეალური მტკიცებულება არავის წარმოუდგენია და არც არავის უნახავს.

მოკლედ, „ვარდების ხელისუფლება“ ისე დამაჯერებლად საუბრობდა სანაიას საქმეში არსებულ ისეთ დეტალებზე, რომლებსაც შევარდნაძე-ნარჩემაშვილის გამოძიება თითქოს განგებ არ აქცევდა ყურადღებას და არ იძიებდა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი 100 პროცენტით დარწმუნდა — სააკაშვილ-მერაბიშვილის გამოძიება გიორგი სანაიას „ნამდვილ მკვლელს“ რამდენიმე თვეში გამოავლენს, „უსამართლოდ დასჯილს“ ციხიდან გაუშვებენ და ჟურნალისტის მკვლელობის გამოძიებას საბოლოოდ დაასრულებენო.

9 წლის განმავლობაში ვინმეს გსმენიათ, ნაცებს ერთხელ მაინც ეხსენებინოს გიორგი სანაია, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ?

ლოგიკურად ჩნდება კითხვა: **რას გააკეთებდა სააკაშვილი, ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო აფგან მუხთარლის გარშემო დატრიალებული ამბების დროს?** დავიჯეროთ, რომ მიშა მამასისხლად გადაიკიდებდა **ილჰამ ალიევს**, რომელსაც ლამის თვეში სამჯერ სტუმრობდა ხოლმე ბაქოში, ხოლო თბილისში ჩამოსულს, მუდამ განსაკუთრებული პატივით ხვდებოდა?

სააკაშვილი ნუთუ უარს ეტყოდა მისი პირადი მტრისა და აზერბაიჯანში დესტაბილიზაციის მოსურნე აფგან მუხთარლის გადაცემაზე იმ ილჰამ ალიევს, რომლის მამის სახელობის შევარდნაძის მიერ გახსნილი სანაპირო არ იკმარა თბილისში და, თავის მხრივ, ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერი და ბიუსტი დაამატა?

რა თქმა უნდა, არა! სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში აფგან მუხთარლი არა მხოლოდ გაკოჭილი, არამედ კაი ნაცემ-ნაბეგვი, ნაწამები და ცოცხალ-მკვდარიც კი შეიძლება გადაეცათ ალიევისთვის. და, ვითომ მაშინაც ჩამოიცვამდნენ შავ ტომარას თავზე ქართული მედიის „კორიფე“ ან მისი მხარდამჭერი „ენჯეოები“?

როგორ გეკადრებათ! **მუხთარლი კი არა, ნახევარი საქართველო აწამეს და, „მეშოკი“ კი არა, „შავი პავიაზკაც“ არავის გაუკეთებია ეთერში.**

აბა, გავიხსენოთ, „რუსთავი 2“-მა, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ საინფორმაციო გამოშვებას ისე არ იწყებდა და ამთავრებდა, „პოლიტიკური მოტივებით მოკლული კოლეგა“ რომ არ ეხსენებინა, „ვარდების“ შემდეგ, მთელი 9 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ მოითხოვა კოლეგის მკვლელობის პირუთვნელი გამოძიება?

არა! **გიორგი სანაიას ტრაგიკული მკვლელობით სპეკულირებაც მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ მის „კოლეგებსა“ და ავანტიურისტ პოლიტიკოსებს, რისთვისაც ახლა აზერბაიჯანელი „ჟურნალისტის“, აფგან მუხთარლის, ბედზე მოთქმა-გოდება სჭირდებათ.**

და კიდევ — ყურადსაღებია ისიც, რომ უკვე დაიწყეს აპელირება „ევროპასთან უვიზო რეჟიმის“ თემაზეც (მართალია, ეს, უვიზო რეჟიმი კი არა, გამარტივებული სავიზო რეჟიმია, მაგრამ ჩვენი „პროევროპელები“ მაინც დიდი სიამაყოთ უწოდებენ მას „უვიზოს“).

ანუ, **უკვე დაიწყეს ჩვენი შეშინება იმით, რომ აფგან მუხთარლის გამო, შესაძლოა, ევროპასთან საქართველოს მოქალაქეების თავისუფალ და შეუზღუდავ მიმოსვლას საფრთხე შეექმნას. გვახსოვს, „ვარდების რევლუციის“ წინაც სწორედ ასე გვაშინებდნენ, რომ, თუკი „ძირმომპალ შევარდნაძეს“ არ ჩამოვაგდებდით, მაშინ ჩვენი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გარანტორები — ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები —ზურგს შეგვაქცევდნენ და ჩვენს ბედკრულ ქვეყანას „საშინელი და საზიზღარი რუსეთი“ გადაყლაპავდა...**

საინტერესოა, ეს „უვიზო ევროპა“ მხოლოდ იმისთვის გვარგუნეს, რომ ამით ყოველდღე გვაშანტაჟონ და ჩვენს უშუალო მეზობელ სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის დამნაშავეებზე ელემენტარული მოლაპარაკებებიც ველარ ვაწარმოოთ იმის შიშით, რომ ევროპიდან გამოაგვაბუნძულებენ?

საზოგადოდ, **როგორც შინაური „ენჯეოებისა“ და მედია-პანიკიორების ასეთი შეუსაბამო გაქტიურება, აგრეთვე, ევრო-ამერიკული სიგნალები უკვე იმის საფუძველს იძლევა, რომ მალე საქართველოში კვლავ მოხდება რაღაც ძირეული თუ მოჩვენებითი პოლიტიკური კატაკლიზმები.**

აქამდე რაც მოხდა, იმან რომ კარგი არაფერი მოგვიტანა, ფაქტია და, ნეტავ, ამჟამად რაღას უმზადებს საქართველოს ბედი მუხთარლი?

ისევ და ისევ, 2003 წელთან შედარებით ძალიან გაზრდილი, აზრზე მოსული და პოლიტიკურად უკვე გაცილებით კარგად გათვითცნობიერებული ქართველი საზოგადოების იმედი დავიტოვოთ, რომ ისე მარტივად აღარ აჰყვება მედია-პერფორმანსებსა თუ პოლიტიკურ საცირკო წარმოდგენებს.

**როგორც შინაური «ენჯეოებისა» და მედია-პანიკიორების ასეთი შეუსაბამო გაქტიურება, აგრეთვე, ევრო-ამერიკული სიგნალები უკვე იმის საფუძველს იძლევა, რომ მალე საქართველოში კვლავ მოხდება რაღაც ძირეული თუ მოჩვენებითი პოლიტიკური კატაკლიზმები**

**მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მმართველ ელიტას ძალაუფლების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება, ანუ, დიდი ალბათობით, მათი ძალაუფლების ციკლი მომავალ არჩევნებზე უნდა დასრულდეს. ეს იციან ამერიკელებმა და ამიტომაც შეეცდებიან ახალი პოლიტიკური ძალის მომზადებას. პოლიტიკური სისტემის ფუნქციობის მოცემულ ეტაპზე ახალი მოძრაობით პოლიტიკურ სცენაზე გამოსულ უსუფაშვილს დაამატებენ ირაკლი ალასანიასაც და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე შეეცდებიან, შექმნან მძლავრი, პროდასავლური ოპოზიციური ფრთა.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დავით უსუფაშვილი და ამერიკელთა ახალ პოლიტიკურ წრეზე ტრიალი

**საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური სისტემა ფუნქციობას იწყებს 1995 წლის აგვისტოდან, როდესაც საქართველოს იმჟამინდელმა პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. მოცემული პერიოდიდან საქართველოში იწყება სახელმწიფო სტრუქტურებისა და იმ პოლიტიკური სუბიექტების ფორმირება, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ პოზიციებს იკავებდნენ პოლიტიკური სივრცის იერარქიულ საფეხურზე.**



დაახლოებით ანალოგიური პოლიტიკური თამაშის გაგრძელების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს დავით უსუფაშვილის მიერ 16 ივნისს ახალი პოლიტიკური გაერთიანება „შენების მოძრაობის“ დაფუძნება. **დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნება, სავარაუდოდ, საქართველოს პოლიტიკური სისტემის მაკონტროლებელი ორგანოს — ამერიკის საელჩოსა და ზემდგომი კურატორების მხრიდან ახალ პოლიტიკურ წრეზე ბრუნვის დაწყების მცდელობას უნდა მივაწეროთ.** თუ რატომ სურთ პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის დღეს არსებული ვარიანტის „გადაფორმატება“ 2020 წლისთვის ელიტების ცირკულაციის ახლებური, მათთვის მისაღები მოდელით, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების გაანალიზებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება სოციუმის ნაციონალურ ხასიათზე, მის ღირებულებით ორიენტირებასა და მენტალობაზე. ამის შემდეგ შეიძლება პოლიტიკურ პროცესებში გარკვევა და დასკვნების გაკეთება.

დასავლურ სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალური მოწყობის, სულ ცოტა, ორ საზოგადოებრივ ტიპს: პირველს მიეკუთვნება საზოგადოების დასავლური, ლიბერალურ-მატერიალისტური მოდელი, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალისტურ ღირებულებით ორიენტაციას. ეკონომიკურად განვითარებულ და სოციალურად დაცულ საზოგადოებებში, პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით, პოლიტიკურ აქტიურობასა და პასიურობას შორის ბალანსი დაცულია. სამოქალაქო პოლიტიკური აქტიურობის პასიურობაში და, პირიქით, გადასვლა ხდება ნელ-ნელა, ეტაპობრივად, ისე, რომ, როგორც მმართველი ელიტის ჩანაცვლება-განახლების პროცესი და, საზოგადოდ, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ფუნქციობა მიმდინარეობს შედარებით უმტკივნეულოდ და გაუთვალისწინებელი პოლიტიკური ექსცესების გარეშე.

რაც შეეხება სოციალური მოწყობის **მეორე ტიპს**, იგი წარმოადგენს აღმოსავლურ, ტრადიციულ-პატრიარქალურ საზოგადოებრივ მოდელს, რომელშიც, პოლიტიკური კულტურის ორიენტაციის მხრივ, ჭარბობს „ქვეშევრდომული“ აზროვნების სტილი. ამ ტიპის საზოგადოებებში პოლიტიკურ აქტიურობასა და პასიურობას შორის ბალანსი დარღვეულია, ამიტომ ელექტორატის პოლიტიკური პასიურობის პერიოდი რამდენიმე წელს მოიცავს. ეს პროცესი სხვადასხვა ტრადიციულ საზოგადოებაში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს.

**ქართველი საზოგადოება, რომელიც დასავლური საზოგადოებისგან განსხვავდება კოლექტიური ბუნებითა და პატრიარქალურობით, აქცენტს ძლიერ, ქარიზმულ ლიდერზე აკეთებს, ამიტომ საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო 22 წლის განმავლობაში, თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ფორმირებიდან დღემდე, საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობასა და პოლიტიკურ პასიურობას შორის დისბალანსი, პერიოდული ციკლურობის თვალსაზრისით, მოიცავს 8-9 წელს. სწორედ ამ პოლიტიკური ციკლების დასრულებას ახლავს მმართველი კლასის ჩანაცვლება, წრეზე ელიტის ბრუნვის პრინციპების სრული დაცვით. ეს ხან რევოლუციური გადატრიალებით ხდება, ხან — ნახევრადგადატრიალებით. ერთი სიტყვით, ნეგატიური მუხტი გროვდება და ამას რვა-ცხრა წელიწადი სჭირდება, ამიტომ 2020 წელი იქნება პოლიტიკური სისტემის კორექტირებისა და მასში ცვლილების შეტანის წელი, რისთვისაც მზადება ცოტა ადრე დაიწყო.**

ბოლო წლებში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებიდან გამომდინარე, ყურადღება შეიძლება შევაჩეროთ პოლიტიკური მოვლენების განვითარების ორ სავარაუდო სცენარზე, რომელთა განხორციელებასაც შეეცდება ამერიკული მხარე.

**პირველი სცენარის** მიხედვით, მმართველი პოლიტიკური კლასი მთელი ქვეყნის მასშტაბით სერიოზული რეიტინგული დაცემისა და გაკოტრების პროცესს განიცდის. ეს იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობამ ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილში იმედგაცრუება გამოიწვია მრავალი მიზეზის გამო. მან ვერ მოაგვარა ის საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად ნდობა გამოუცხადა ქართველი საზოგადოების უმრავლესობამ 2012 წლიდან დღემდე; მან ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფა. მეტიც — სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პარამეტრებით ქვეყანა რეგრესს განიცდის. რაც მთავარია, მან ვერ გადაწყვიტა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი და მისმა მმართველობამ უფრო მეტად დააშორა საქართველო თავის ძირძველ ტერიტორიებს. აი ეს არის ის მიზეზები, რომლებმაც საზოგადოების უდიდეს ნაწილში მმართველი ძალისადმი უნდობლობა გააღრმავა და რომლებმაც გამოიწვია სკეფსისი და ნიჰილიზმი პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ეს პროცესი, დიდი-დიდი, წელიწადში მმართველი კლასის ლეგიტიმურობის კრიზისს საგრძნობლად გაზრდის.

პოლიტიკური კლასის ლეგიტიმურობის კრიზისი ყოველთვის იწვევს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციასა და რყევებს.

აქედან გამომდინარე, ამერიკელების უშუალო მონაწილეობით ფორმირებული პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, უახლესი ისტორიული ფაქტების თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაზე განსაზოგადოებლად და მათ მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების შეფასებაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ: **მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მმართველ ელიტას ძალაუფლების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება, ანუ, დიდი ალბათობით, მათი ძალაუფლების ციკლი მომავალ არჩევნებზე უნდა დასრულდეს.** ეს იციან ამერიკელებმა და ამიტომაც შეეცდებიან ახალი პოლიტიკური ძალის მომზადებას. პოლიტიკური სისტემის ფუნქციობის მოცემულ ეტაპზე **ახალი მოძრაობით პოლიტიკურ სცენაზე გამოსულ უსუფაშვილს დაამატებენ ირაკლი ალასანიასაც და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე შეეცდებიან, შექმნან მძლავრი, პროდასავლური ოპოზიციური ფრთა.** უსუფაშვილმა და კიდევ სხვა პოლიტიკურად აქტიურმა პროდასავლურმა პერსონებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ განაცხადეს ახალი, სრულიად პროამერიკული, ოპოზიციური პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე. არ არის გამორიცხული, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის შედეგად წარმოქმნილი პატარ-პატარა პოლიტიკური პარტიების აქტიური წევრებიც გადავიდნენ ზემოთ დასახელებულ მოძრაობაში და მათი მეშვეობითაც ხელი შეუწყონ გაკოტრების გზაზე მდგარი პროდასავლური ოპოზიციური ფლანგის გამსხვილება-გაძლიერების პროცესს. საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილის გადასვლა „შენების მოძრაობაში“ იმიტომაც მოხდება, რომ ახალი კონსტიტუციით ბლოკების შექმნა იკრძალება, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ნამსხვრევებზე აღმოცენებული პარტიები ისე გაკოტრებული არიან, რომ დამოუკიდებლად ძალიან გაუჭირდებათ მინიმალური საპარლამენტო ბარიერის გადალახვა.

**პირველი სცენარის განხორციელების შემთხვევაში (რომელიც გულისხმობს „ქართული ოცნების“ ჩანაცვლებას „შენების მოძრაობით“), ისევ დაიწყება ახალი 8-9-წლიანი პოლიტიკური ციკლი უკვე „შენების მოძრაობის“ მმართველობით, რომელიც კიდევ რამდენიმე წლით გადაავადებს პატრიოტული ძალების მოსვლას ხელისუფლებაში, რაც ამერიკელების ინტერესებში სრულიად ჯდება.**

მეორე პოლიტიკური სცენარის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო რეალურია, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ლიბერალურ-ინდივიდუალისტური და პროდასავლური ელექტორატის დიდი ნაწილი, რომელიც განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“, პირობითად გადაინაცვლებს უსუფაშვილის მოძრაობის მიმართულებით, თუმცა ახალი მოძრაობის ლიდერის ანტიეროვნული, მკვეთრად ლიბერალურ-ინდივიდუალისტური პოზიციების, ამასთანავე, ლიდერისთვის აუცილებელი ქარიზმის უქონლობის პირობებში, სავარაუდოდ, არჩევნებში გამარჯვება ძალიან გაუჭირდება, თუმცა ხმების მნიშვნელოვან ნაწილს წაართმევს მმართველ პარტიას. ორ მძლავრ პროდასავლურ პარტიას შორის არჩევნებზე ხმების მოსაპოვებლად ბრძოლის პროცესი ხმებს საგრძნობლად გაფანტავს.

ამიტომ ამერიკელთა გათვლაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ, თუ უსუფაშვილის მეთაურობით ახალი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს „ქართული ოცნების“ ჩანაცვლებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე აღზევებას, იგი მაინც გაუკეთებს მნიშვნელოვან საქმეს ამერიკელ კურატორებს. კერძოდ, პოლიტიკურ სისტემაში ჩამკეტი პარტიის ფუნქციას შეასრულებს 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით პარლამენტში მძლავრი ოპოზიციური პროდასვლური ფრაქციის ფორმირებით, რითაც ისედაც დახურულ პოლიტიკურ სისტემას კიდევ უფრო მეტად დახურავს ალტერნატიული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა და ეროვნულ-კონსერვატორულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკური პარტიის არ არსებობის პირობებში.

უნდა ითქვას, რომ პოლიტოლოგიაში პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისა და მის შიგნით პოლიტიკური ელიტების შევსება-განახლების ან როტაციის კუთხით ორი ტიპის პოლიტიკურ სისტემას გამოყოფენ: ღიასა და დახურულს. დახურული, თავის მხრივ, იყოფა ორ ტიპად: ერთი მხრივ, როდესაც სისტემა დახურულია, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად, და მეორე, როდესაც იგი ღიაა ფორმალურად, მაგრამ დახურულია ფაქტობრივად. ბოლო წლების პოლიტიკური ისტორია კი ცხადყოფს, რომ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში არის მეორე მოდელი, ანუ იურიდიულად პოლიტიკური სისტემა ღიაა, დემოკრატიულია, მაგრამ დე ფაქტო დახურულია, ანუ არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს ავლენს.

ამერიკელები და მათ მიერ გაკონტროლებული ქართული პოლიტიკური კლასი საქართველოში ანგლო-საქსურ ქვეყნებში არსებული ანალოგის გადმოტანას შეეცდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, სადაც ორი პროდასავლური პოლიტიკური ძალა ახდენდა საპარლამენტო ცხოვრების მონოპოლიას — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. მომავალ საპარლამენტო არჩევნებზეც მათი განზრახვა ორი პოლუსის შექმნა იქნება, ორივე, რა თქმა უნდა, მართული იქნება ვაშინგტონიდან. შეიქმნება ისეთი სიტუაცია და ისეთი ტიპის დემოკრატიული სისტემა, რომელიც პოლიტიკის ცნობილმა ამერიკელმა თეორეტიკოსმა **ჯოზეფ შუმპეტერმა** ასე დაახასიათა: „დემოკრატია წარმოადგენს ინსტიტუციურ პროცედურას (მექანიზმს), რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუმთა მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღწევას, ელექტორატის ხმების მოსაპოვებლად კონკურენტული ბრძოლის გზით“. როდესაც პოლიტიკურ სისტემაში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები იბრძვიან ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, თუ ამ კონცეფციას მივუსადაგებთ ქართულ პოლიტიკურ რეალობას, ეს ორი პოლიტიკური სუბიექტი დაიწყებს ბრძოლას ქართველი ამომრჩევლის ხმების მოსაპოვებლად.

სავარაუდოდ, **მოცემული პოლიტიკური სვლებით მოხდება სისტემის დახურვა ალტერნატიულ პოლიტიკურ პოზიციაზე მდგარი პარტიული სუბიექტებისთვის. ეს კი 8-წლიანი მმართველობის განმავლობაში ბევრ უბედურებას მოუტანს ქართულ სახელმწიფოს და გააღრმავებს დეზინტეგრაციულ პროცესებს საქართველოში.**

როგორც უნდა შეფუთონ ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია და დღეს არსებული პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია საზოგადოების უმრავლესობის დაკვეთად, ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ პოლიტიკურ სივრცეში ფუნქციონირებადი პროდასავლური პოლიტიკური ძალების ალტერნატიული მსოფლმხედველობის მქონე პარტიაზე მოთხოვნა დღითიდღე მატულობს ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში.

თუმცა ამ ეტაპზე საუბარი ჯერ ნაადრევია და, ალბათ, ერთ წელიწადში პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე უფრო მეტად გამოიკვეთება პოლიტიკური ძალების კონფიგურაციის ახალი კონტურები.

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველში მხოლოდ პირუტყვული სურვილი ჩანს, ნებისმიერ ფასად ფულის შოვნის სურვილი. ხელისუფლება ათიათასობით პრემიას იწერს თავისთვის, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ერთადერთი შემოსავალი 180-ლარიანი პენსიაა. იწერენ თანამდებობის პირები პრემიას და თვლიან, რომ ეკუთვნით. მათ ვეტყვი: — ეი, პირუტყვებო, თქვენ დიდი ერის შთამომავლები ხართ!“**

# გურამ პეტრიაშვილი: საქართველოს გარდა, ყველა ქვეყნის ინტერესს იცავს ხელისუფლება, მაგრამ არ მიკვირს, რადგან ყველა შევარდნაძის მოყვანილია, ეს ის ხალხია, რომელმაც ზვიადი მოკლა

**მას შემდეგ, რაც რეპერთა ჯგუფ „ბირჟა მაფიას“ გასათავისუფლებლად თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მობილური ტელეფონებით განათებული ხალხმრავალი მიტინგები მოეწყო, სოციალურ ქსელში გამოჩნდა 1989 წლის 9 აპრილის სანთლით განათებული სისხლიანი ღამის ფოტოები წარწერით — რა დაგვემართა ბოლო 27 წელიწადში? ვდგავართ თუ არა გადაგვარების ზღვარზე, ვკარგავთ თუ არა იდენტობას და ეროვნულ თვითმყოფადობას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ბატონი გურამ პეტრიაშვილი გვესაუბრება.**



— 1989 წლის 9 აპრილს ამაყი ვიყავი, რადგან დავამტკიცეთ, რომ ვართ თავისუფლებისთვის მებრძოლი და თავისუფლების ღირსი ერი.

დღეს 2017 წლის ივნისია და ამაყი აღარ ვარ, მრცხვენია, რომ ქართველი ვარ, რადგან ჩვენ აღარ ვართ ერი და საამაყოც აღარაფერი გვაქვს. **ქართველში მხოლოდ პირუტყვული სურვილი ჩანს, ნებისმიერ ფასად ფულის შოვნის სურვილი. „ჩინოვნიკები“ ათიათასობით პრემიას იწერენ თავისთვის, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ერთადერთი შემოსავალი 180-ლარიანი პენსიაა.** იწერენ თანამდებობის პირები პრემიას და თვლიან, რომ ეკუთვნით. მათ ვეტყვი: — ეი, პირუტყვებო, თქვენ დიდი ერის შთამომავლები ხართ! ცუდი დრო დაგვიდგა, ზნედაცემულები გავხდით. ხელისუფლების სათავეში **სააკაშვილი** გვყავდა, რომელზეც **ოტია იოსელიანი** ამბობდა: ასეთ პერსონაჟს ისტორია არ იცნობსო, რასაც ვეთანხმები. სააკაშვილს სინდისი არ ჰქონდა, მას არც გაუგია სინდისის არსებობა. **გორში რაღაც რომ მოელანდა და ცხვირით მიწა თხარა, მის ადგილას ნებისმიერი ადამიანი, ასეთი რამ რომ დამართნოდა, თავს მოიკლავდა სირცხვილით.**

სააკაშვილი „დედიკოს ბიჭი“ იყო, დედიკო მას სხვადასხვა წრეებზე დაატარებდა. თურმე ბავშვობაში ხეზე ვერ ამძვრალა და ის ხე მოუჭრევინებია. ვიცნობ დედიკოს ბიჭებს, მათგან ბავშვობა გვქონდა გამწარებული. მაგალითად, „დედიკოს ბიჭს“ ყოველთვის ჰქონდა ბურთი, მაგრამ არ იცოდა ფეხბურთის თამაში და გახურებული თამაშის დროს ხელს დაავლებდა და შინ გარბოდა... „დედიკოს ბიჭს“ შეუძლია, ხალხის დასანახავად დაიწყოს წითელი ვაშლის ჭამა. მოკლედ, მრავალი უკეთური თვისების მქონენი არიან. სააკაშვილიც ასეთი იყო. ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები უკეთესები და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებულები არიან, განსაკუთრებით ჰგვანან ერთმანეთს ფულის სიყვარულში.

სამარცხვინოა განათლების მინისტრი **ჯეჯელავა**, მაგრამ ის არ ვიცი, რომელი უფრო სამარცხვინოა — ჯეჯელავა თუ სანტექნიკოსი **ლომაია**, რომელმაც სიტყვა „ბავშვი“ ვერ დაწერა... თუმცა, გასაკვირი რაღაა, როცა **თეა თუთბერიძე** დირექტორების დირექტორად იყო დანიშნული.

საქართველო ძალიან უცნაური ქვეყანაა, აქ რომ არ მოხდება, ისეთი არაფერია, ეს ხომ სიურპრიზების ქვეყანაა?!

რამდენიმე წლის წინათ ვერავინ დამაჯერებდა, რომ საზღვარგარეთ გაზრდილი პატარა გოგონა, არაჩვეულებრივი მომღერალი, **ჰამლეტ გონაშვილის** სიმღერას ტკბილად იმღერებდა, გორის ქალთა ანსამბლს მსოფლიოს გააცნობდა და შემდეგ განაცხადებდა, მილიონ დოლარს შემოვიტან ვარძიის აღორძინების ფონდშიო. ეს პატარა გოგოა **ქეთი მელუა**, რომელსაც, ალბათ, მშობლებმა ასწავლეს სამშობლოს სიყვარული. აი, როდესაც ასეთ რამეს წავაწყდები, ვფიქრობ, რომ საქართველო მართლაც სიურპრიზების ქვეყანაა. ან, როგორ შეიძლება, არ გავიხსენოთ და არ ვიამაყოთ სიურპრიზით, რომელიც 23 წლის ბიჭმა მოგვიწყო და ლელთ ღუნიას პირით გვითხრა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“ და ქვეყნის მოწყობის გეგმა დაგვიდო... განა დიდი სასწაული არ არის „ვეფხისტყაოსანი“?

თუ ქართველს ღმერთი არ სწამს, ყველაფერს იკადრებს, მაგრამ, თუ სწამს, საოცრებების ჩადენა შეუძლია. უკვალოდ არაფერი იკარგება.

**— ამჟამინდელი ხელისუფლება ხალხმა მოიყვანა, მაგრამ, ბევრის აზრით, ხელისუფლებაში არ არიან ეროვნული ადამიანები. რატომ ხდება ასე? წლებია, ამ ქვეყანაში არჩევნები ტარდება და ყველა არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების ლიდერები ზვიად გამსახურდიას სახელის ხსენებით ქულებს იწერენ, მაგრამ შემდეგ ავიწყდებათ...**

— რა ეროვნული, რას ამბობთ?! **ამ პარლამენტში სამოქალაქო ომის გამჩაღებლები სხედან.** ზვიადის გზა ყველას მოსწონს, მაგრამ მათ არ გამოუვათ, **ესენი ვერ შეძლებენ სამშობლოსთვის სიკვდილს, როგორც ეს ზვიადმა გააკეთა.** ზვიადს თავის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ მოკვდა საქართველოსთვის.

**ზვიადის მთავრობაში არ იქმნებოდა კანონი, რომელიც ხალხზე ორიენტირებული არ იყო. შევარდნაძემ ერთხელ თქვა, ზვიადი იქცევა ისე, თითქოს, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყანა აღარ არსებობსო. თვითონ კი ისე იქცეოდა, თითქოს საქართველო არ იყო. დღესაც ასეა, საქართველოს გარდა, ყველა ქვეყნის ინტერესს იცავს ხელისუფლება, მაგრამ არ მიკვირს, რადგან ყველა შევარდნაძის მოყვანილია. ეს ის ხალხია, რომელმაც ზვიადი მოკლა.**

**— თქვენ ამბობდით: ბალახს შევჭამთ, ოღონდ დამოუკიდებლები ვიყოთო... დღეს „ბალახის ჭამა“ არ გვაკლია, მაგრამ დამოუკიდებლები არ ვართ... როგორი იქნებოდა საქართველო, თქვენ რომ ხელისუფლებაში დარჩენილიყავით?**

— ერი ძალას იკრებს და, როდესაც ძალას მოიკრებს, სასწაულების ჩადენა შეუძლია... ჩვენ, როგორც ჩანს, არ შეგვიძლია, ყოველდღე ჩუმად ვაკეთოთ ჩვენი საქმე. ამიტომ ვერაფერი შევქმენით, სამარცხვინო, მათხოვარი ერი ვართ. ვითომ ყველაფერი გვაქვს, ფეხს ვუწყობთ ცივილიზაციას, მაგრამ ჩვენი, საკუთარი არაფერი გაგვაჩნია.

ჩვენი მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობას **გივი თაქთაქიშვილი** ხელმძღვანელობდა. მან ერთხელ მითხრა, ყოველდღე მოდიან ადამიანები და ისეთი საინტერესო წინადადებები მოაქვთ, გადარეული ვარ, თუ შევძელით მათი პროექტების დაფინანსება, მალე ძლიერი ქვეყანა გვექნებაო. ამ საუბრის შემდეგ **ნოდარ ჭითანავა** მოვიდა ჩემთან. მე ფანჯრიდან ვუყურებდი მიტინგს, რომელსაც „ინტელიგენცია“ ატარებდა. ნოდარმა მითხრა, თუ ესენი მუშაობას დაგვაცდიან, ექვს თვეში უდიდეს წარმატებას მივაღწევთო. ასე რომ, ბევრ რამეს სწორად ვაკეთებდით, მაგრამ სხვის დასანახავად არ ვაკეთებდით, ხალხზე ვზუნავდით. სამწუხაროდ, არ დაგვცალდა. უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა რომ ტარდებოდა, იმ დღეს უნდოდა ჩვენი დარბევა **ჯაბა იოსელიანს**, მაგრამ ვიღაცამ ურჩია, ჯერ დააცადე, ვინ დაგიჯერებს, შეცდომებს უშვებენ და ამიტომ მოიშორეთო.

**— ვინ იდგა ჯაბა იოსელიანის უკან?**

— **ხელისუფლების სათავეში რომ მოვედით, საქართველოში უკვე იყვნენ და მუშაობდნენ ყველა ქვეყნის ჯაშუშები. დღემდე არაფერი შეცვლილა, დღემდე ცდილობენ ჩვენს განადგურებას, მაგრამ მინდა იმედი დავიტოვო, რომ ეს არ გამოუვათ.**

სკოლებში ხშირად მიწვევენ, რამდენიმე შეხვედრა მქონდა ბოლო პერიოდში. ვხედავ ბავშვებს, რომლებიც გულწრფელები, ალალები, მართლები არიან. უამრავი წესიერი პედაგოგიც არის. ამ ქვეყანაში არიან ადამიანები, სპეციალისტები, რომლებიც ვერ შეცვალეს ვერც შევარდნაძემ, ვერც მიშამ... იმ პატარა ბავშვებიდან, ყველა თუ არა, ნახევარი მაინც ხომ გამოვა კარგი ქართველი?

რა არ ჩაიდინა მიშამ, ყველაფერი რომ გაენადგურებინა. **ისევ ლომაია მახსენდება, დაფაზე სიტყვა „ბავშვი“ სამი მცდელობითაც რომ ვერ დაწერა. იმწუთას ვინმე რომ მისულიყო და ლომაიასთვის ავტომატის ჯერი მიეშვა, მადლი იქნებოდა. ის ნაძირალა ხომ დასახვრეტი იყო და ახლა ეს ჯეჯელავა, ნაძირალა, უტვინო, რომელიც, იცით, როგორ მოკვდება? — ქონი გადაუვა ტვინზე და მოკლავს. სულელი! ქართულს აქილიკებს და ამბობს, „ადამიანი ოზობა“ მაგარიაო, არ ახსენებს „პეპი გრძელი წინდას“, „კარლსონს“... არ იცის, რა არის ბავშვებისთვის ფასეული. მწერლები არ იცის, რომლებმაც ახალგაზრდებს ცხოვრება უნდა ასწავლონ.** ამის მიუხედავად, საქართველოში მაინც არიან სპეციალისტები, რომლებიც ბავშვებს სწორად, ეროვნულ ფასეულობებზე ზრდიან.

**— საქართველო დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა?**

— მაშინ, როდესაც ხმის ჩახლეჩამდე გავყვიროდით, თავისუფლება გვინდაო, ერთი „ბატონი“ გვყავდა. დღეს კი, რამდენი სახელმწიფოც არის, იმდენი „ბატონი“ გვყავს. მამაკაცს მამაკაცი რომ უყვარს, ეს არ მომწონს და ხმამაღლა თქმას მიკრძალავენ, იმიტომ, რომ ამერიკას, საფრანგეთს, ჰოლანდიას ეწყინება, ვიზალიბერალიზაციას არ მომცემენ... ყველა „ენ-ჯი-ო“ გვაკონტროლებს, ყველა მითითებებს გვაძლევს. პუტინს აგინებენ, არადა, იმ კაცს თავისი ქვეყანა უყვარს, რომ მიხვდა „ენ-ჯი-ოები“ ცუდ გავლენას ახდენდნენ, აკრძალა. დამოუკიდებლობა მაგას ჰქვია... არა, ბატონებო, ჩვენ დამოუკიდებლები არ ვართ.

**— შევძლებთ, გავთავისუფლდეთ ხელისუფლებისგან, რომელიც ეროვნულ საქმეს არ აკეთებს?**

— ვერ გეტყვით. ახლა რომ მითხრას ვინმემ, ხელ-ფეხშეკრული შევარდნაძე რომ მოეყვანათ, დახვრეტდიო, ვერ შევძლებდი ამის გაკეთებას, ვერც სააკაშვილს მოვკლავდი და ვერც ივანიშვილის სიკვდილს მოვაწერ ხელს.

ჩვენ თვითონ ვაფუჭებთ ადამიანებს, რეკლამას ვუწევთ ფულიანებს, ვუბიძგებთ გაღორებისკენ. ერთმანეთს ვაჯიბრებთ, მაგრამ, რისთვის გვჭირდება ეს, არ ვიცი.

ხელისუფლების ყველა შტომ ქართული მიწის გაყიდვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ, ვინც მიწას ყიდის, უნდა იცოდეს, რომ მოვა დრო, როდესაც მიწას დავიბრუნებთ, როგორც ეს გასაბჭოებისას მოხდა. ქართული მიწა უცხოელებზე არ უნდა გაიყიდოს!

ტყუილის თქმა არ შემიძლია, ახლა რასაც გეტყვით, გულწრფელად ვამბობ: ერთ მშვენიერ დღეს თუ მივხვდი, რომ ყველაფერი დაინგრა და აღარაფერი გვეშველება, ჩემს თავს ვეტყვი — თუ ყველაფერი დასრულდა, თავს რატომ არ იკლავ, გინდა, დაინგრეს და შენ გადარჩე? არა, თავი უნდა მოიკლა! **არ მივსულვარ ჯერ იქამდე, რომ ვთქვა — დავილუპეთ-მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატს ავიღებ და, სანამ თავს მოვიკლავ, სხვას წავიმძღვარებ წინ.**

ეროვნული მოძრაობა არ მომკვდარა, ის ირაციონალური იყო, ჩვეულებრივი ადამიანები არ იყვნენ... თქვენ არ იცით, როგორ დავარქვით ლენინის ქუჩას მერაბ კოსტავას სახელი. ერთ დღეს დავგეგმეთ, ყველანი შევიკრიბეთ რუსთაველის ძეგლთან, მივედით, ფირნიშები უკვე დამზადებული გვქონდა, კიბეც მივიტანეთ, ჩვენი ხელით ვხსნიდით ძველ წარწერებს და ვამაგრებდით ახალს, მერაბ კოსტავას სახელით. ასე სპონტანურად ხდებოდა ყველაფერი. ხალხი ყველაფრისთვის მზად იყო. „ჩინოვნიკებს“ არც დადგენილება მიუღიათ, არც წინააღმდეგობა გაუწევიათ. ეს ლამაზი ქმედება იყო.

...ტანკები მოგვადგნენ, დაჩეხვას გვიპირებდნენ, მოახლოებულ სიკვდილს ყველა გრძნობდა და უცებ სამმა უსინათლო ქალმა ჩვენი ნიჭიერი პოეტის ლექსი დასჭექა: „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს...“. ეს არ შეიძლება, მოკვდეს. ხანდახან ქუჩაში მივდივარ და უცბად „დენი მირტყამს“, წინ მიმავალ სათნო ქალბატონსაც იგივე განცდა აქვს, მერე გაიგებ, რომ ის ეროვნული მოძრაობის წევრი ყოფილა. ასეთი ბევრია. ეს არ კვდება.

ილია ამბობდა: „თუ დაგიმტკიცებენ, დაიჯერებ, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც დამტკიცების გარეშე იჯერებ“. ვერავის დავუმტკიცებ, როგორ გადავრჩებით, მაგრამ, როდესაც გადარჩენაზე ვლაპარაკობ, მინდა, ის ნათელი, რაც არსებობს, ვახსენო ხოლმე...

ყველას გვახსოვს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერის, **ლევან ბებურიშვილის**, ძალიან საინტერესო, იმედის მომცემი წიგნი „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“. ახლახან ლეილა ცომაიას გაზეთ „განმათავისუფლებელში“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება და, უკვე 10 წელზე მეტია, შემოწირულობებით სულდგმულობს, დაიბეჭდა სტუდენტ **გიორგი არქანიას** ძალიან საჭირო, საინტერესო და ბრძნული წერილი „მითები ზვიად გამსახურდიას შესახებ“. სანამ ასეთი ახალგაზრდები იქნებიან (და სულ იქნებიან), აუცილებლად გადავრჩებით. გამოდის უნიკალური ნაშრომები წარსულზეც და აწმყოზეც; არიან ადამიანები, რომლებიც არაფერს კარგავენ...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„მესმის, რომ მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ, უფრო სწორად, რამდენიმე ლიდერი დავასვენეთ, მაგრამ 54:0 მაინც მეტისმეტია. არ მეგონა, ამ ანგარიშით თუ წააგებდნენ, გული დამწყდა... ძალიან ცუდია. ეროვნულ ჩემპიონატს რაც შეეხება, ვერ ვხედავ განსხვავებას იმ დროს, როცა მე ვთამაშობდი აქ, და ამჟამინდელ პირველობას შორის. რომ გითხრათ, დონე ძალიან მომატებულია-მეთქი, ასე არ ჩანს, რაც არის, ეს არის, მაგრამ განსხვავება, იცით, რაშია? ჩვენ ვცდილობდით, ტოპკლუბებში წავსულიყავით, ვიცდიდით, სანამ ნორმალური კლუბი არ გამოგვეხმაურებოდა. ახლა კი ძალიან სუსტ კლუბებში მიდიან ბიჭები, რაც ძალიან ცუდია“.

**რეპლიკა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უის გავეყარეთ და ვაისს შევეყარეთ?

## 54:0-ს რომ წააგებ და მერე ამბობ, გულშემატკივარი რატომ არ მოდისო, ნამუსი ხომ უნდა გქონდეს?!

**რამდენიმე ნომრის წინ ვწერდით იმ მძიმე ვითარებაზე, რომელიც ქართულ სპორტშია, უფრო კონკრეტულად, ფეხბურთისა და რაგბის თემას შევეხეთ. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გულშემატკივრების ნაწილმა ლამის სამშობლოს მტრად გამოგვაცხადა. არადა, ვწერდით, რომ, როგორც საფეხბურთო, ისე სარაგბო ნაკრებებში თაობათა ჩანაცვლების პროცესი ძალიან მტკივნეული იქნებოდა, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე სპორტის სახეობაში, ახალი ნიჭიერი თაობა არ ჩანს და ეს არასწორი მიდგომის ბრალია. ის, რომ მაშინ მართალი ვიყავით, კიდევ ერთხელ დადასტურდა და გეტყვით რატომ.**



**როცა გაირკვა, რომ სახელმწიფო პროგრამით ფეხბურთის ფედერაცია სამას მილიონ ლარზე მეტს მიიღებდა და ეს ფული სპორტის ამ სახეობის განვითარებას მოხმარდებოდა, გაგვიხარდა, მაგრამ ჯერ იყო და, კლუბებს დაპირებული თანხები შეუმცირეს; ახლა კი, რაც მისცეს, იმასაც ართმევენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ახალი სტადიონების აშენება, ანუ ინფრასტრუქტურის შექმნა არ არის გათვალისწინებული. პრობლემებზე ხმამაღლა საუბარიც პატრიოტიზმია, მეგობრებო, იმაზე მეტი პატრიოტიზმი, ვიდრე დამარცხებული ნაკრების ტრიბუნებიდან გინება...**

დავიწყოთ ფეხბურთით.

როცა გაირკვა, რომ სახელმწიფო პროგრამით ფეხბურთის ფედერაცია სამას მილიონ ლარზე მეტს მიიღებდა და ეს ფული სპორტის ამ სახეობის განვითარებას მოხმარდებოდა, გაგვიხარდა, მაგრამ ჯერ იყო და, კლუბებს დაპირებული თანხები შეუმცირეს, ახლა კი, რაც მისცეს, იმასაც ართმევენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ახალი სტადიონების აშენება, ანუ ინფრასტრუქტურის შექმნა არ არის გათვალისწინებული. აი, რას ამბობს ამ ყველაფერზე სპორტის მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი:**

„2017 წელს კლუბი საბაზისოდ მილიონ ლარს იღებდა. 100-ათასიანი სპონსორის მოზიდვის შემთხვევაში, სტიმულირების ფონდიდან ერთი ამდენი კიდევ ემატებოდა, ანუ 100-ით 200 ათასს შოულობდა. სტიმულირების ფონდიდან დასარიცხი ფულის მაქსიმუმი 500 ათას ლარს შეადგენდა. 2018 წლიდან საბაზისო თანხა 900 ათასი გახდება, სამაგიეროდ, სტიმულირების ფონდი 600 ათასამდე გაიზრდება. ამან კლუბები ეტაპობრივად კომერციულ კალაპოტში უნდა გადაიყვანოს. როგორ შოულობენ კლუბები ევროპაში ფულს? — ტრანსფერებით, სატელევიზიო უფლებებით, სპონსორებით, ბილეთებისა და ატრიბუტიკის ვაჭრობით... ჩვენი მიზანია, ამისკენ წავიდეთ. ამიტომაა აუცილებელი, რომ გარანტირებული თანხები შემცირდეს, კლუბების ბიუჯეტებში კი მათი მოზიდული შემოსავლების წილი გაიზარდოს...“

ვეთანხმებით მინისტრს, რომ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება აუცილებელია, მაგრამ რატომ არ შენდება ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო? აი, რა პასუხი აქვს ამაზე ბატონ ტარიელს:

**„ეს პროექტი ფონდის აქტივობებში არ წერია, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა, ინფრასტრუქტურის სამინისტრო და რეგიონები უახლოეს 5 წელიწადში 100 მილიონ ლარამდე საფეხბურთო ინფრასტრუქტურის აშენებას აპირებს...“**

ინფორმაციულობა კარგია, მაგრამ... ქაღალდზე ჯერ არ არის დაგეგმილი და დატანილი ის, რომ სახელმწიფო 100 მილიონის დახარჯვას აპირებს; ხეჩიკაშვილს კი ვინმე ამას სუფრასთან თუ მოუყვა და მანაც დაიჯერა, ვერ გეტყვით.

აი, რას ამბობს მინისტრის მიერ გავრცელებულ „სასიხარულო“ ინფორმაციაზე ქობულეთის „შუქურას“ დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **რევაზ ჩელებაძე:**

**„ისედაც მიზერული დაფინანსება გვქონდა და ამასაც გვაკლებენ? საბაზისო დაფინანსება არათუ უნდა შეემცირებინათ, უნდა გაეზარდათ. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ორიოდე კერძო კლუბის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ქართული ფეხბურთის. ახლა სპონსორს თუ ვერ მოვძებნით, ისევ უნდა ვიწვალოთ? ბიზნესი ქართული ფეხბურთით როგორ დაინტერესდება?! ახლა ჩვენი საკლუბო ფეხბურთი სუსტია, ჩვენი ფეხბურთელები ტოპლიგებში აღარ თამაშობენ... ერთი ლევან მჭედლიძე იყო და მისი გუნდიც გავარდა სერია A-დან. კლუბები და ნაკრებები ვერაფერს აღწევენ და ასეთ მდგომარეობაში ჩვენს ფეხბურთში ინვესტირებას რომელი ბიზნესმენი გადაწყვეტს?“**

ახლა საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებულ ორ მატჩზეც ვთქვათ. სენტ კიტსისა და ნევისის (თურმე არსებობს ასეთი ქვეყანა და მისი მოსახლეობა „დინამოს“ სტადიონს ვერ შეავსებს, 42 ათასზე ცოტა მეტია) ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 ვძლიეთ, მოლდოვას ეროვნულ გუნდს კი ოფიციალურ შეხვედრაში 2:2 დავუზავდით. სენტ კიტსზე, აბა, რა უნდა გითხრათ, ჩვენთან მატჩამდე ერთი კვირით ადრე მეზობელ სომხეთში ითამაშეს და 0:5 დამარცხდნენ. აი, მოლდოვას რაც შეეხება, კიშინიოვში მოსაგებად წავედით ვითომ, მაგრამ პირველი ნახევრის შემდეგ ორი ბურთით ვაგებდით და მეორე ნახევარში ქულას გამოვრჩით. არ ვაპირებთ იმაზე ლაპარაკს, რომ დიდი ხმაურით მოყვანილ უცხოელ მწვრთნელ **ვლადიმერ ვაისს** ჯერჯერობით ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ მოუგია, და რომ **„უის გავეყარეთ და ვაისს“** შევეყარეთ, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მოლდოვას ძირითად შემადგენლობაში ეროვნული ჩემპიონატიდან ექვსი ფეხბურთელი თამაშობდა, ჩვენი პირველობიდან ძირითადში — არც ერთი. ანუ, მოლდოვური გუნდების — „შერიფის“, „დაჩიას“ და „მისლამის“ — ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში ის ფეხბურთელები დაგვიჩაგრეს, რომლებიც ლეგიონერებად ითვლებიან და მოლდოვის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე უკეთეს კლუბებში თამაშობენ. ჩვენც ამას ვამტკიცებდით, რომ ახალი თაობა არ მოდის, თორემ როგორ შეიძლება, ქვეყნის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ოთხასამდე ფეხბურთელიდან ერთიც არ იმსახურებდეს ეროვნული ნაკრების ძირითადში თამაშს?! ვყოფილვართ მართლები?!

ახლა რაგბიზე გადავიდეთ. იმის მიუხედავად, რომ რაგბიში არსებულ პრობლემებზე **მამუკა გორგოძის** სიტყვებიც მოვიყვანეთ, მაინც გაგვაკრიტიკეს, აქაოდა, რაგბი ყვავის და თქვენ ქვეყნის მტრები ხართო. არადა, ამ შემთხვევაშიც აქცენტს ახალგაზრდა მორაგბეების პრობლემასა და ეროვნული ჩემპიონატის დაბალ დონეზე ვაკეთებდით.

მოგეხსენებათ, საქართველოში მსოფლიოს 20 წლამდელ მორაგბეთა ჩემპიონატი მიმდინარეობს და მასში საქართველოც მონაწილეობს. პრინციპში, რაღა მიმდინარეობს, პირველობა კვირას დასრულდა, მანამდე კი საქართველოს ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის სამი, პლეი-ოფის კი ორი მატჩი ითამაშა. არგენტინასთან 37:26 დავმარცხდით, სამხრეთ აფრიკასთან — 38:14, ხოლო ჯგუფის ბოლო მატჩში საფრანგეთთან 54:0 გავნადგურდით. ახლა მეტყვით, საფრანგეთთან მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ, ძალები დავზოგეთო, მაგრამ...

**„მესმის, რომ მეორე შემადგენლობით ვითამაშეთ, უფრო სწორად, რამდენიმე ლიდერი დავასვენეთ, მაგრამ 54:0 მაინც მეტისმეტია. არ მეგონა, ამ ანგარიშით თუ წააგებდნენ, გული დამწყდა... ძალიან ცუდია. ეროვნულ ჩემპიონატს რაც შეეხება, ვერ ვხედავ განსხვავებას იმ დროს, როცა მე ვთამაშობდი აქ, და ამჟამინდელ პირველობას შორის. რომ გითხრათ, დონე ძალიან მომატებულია-მეთქი, ასე არ ჩანს, რაც არის, ეს არის, მაგრამ განსხვავება იცით, რაშია? ჩვენ ვცდილობდით, ტოპ-კლუბებში წავსულიყავით, ვიცდიდით, სანამ ნორმალური კლუბი არ გამოგვეხმაურებოდა. ახლა კი ძალიან სუსტ კლუბებში მიდიან ბიჭები, რაც ძალიან ცუდია. რაღაცნაირად უნდა დარეგულირდეს ის, რომ ახალგაზრდა მოთამაშეები სუსტ კლუბებში არ წავიდნენ, აქ აიმაღლონ კვალიფიკაცია და მერე ძლიერ გუნდებს მიაშურონ“,**

— ეს განცხადებაც საქართველოს, ყველა დროის თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს, **მამუკა გორგოძეს**, ეკუთვნის.

არადა, კარგად გვახსოვს, ჩემპიონატის დაწყებამდე შანსებზე საუბრისას როგორ ღიმილით აცხადებდნენ, მეტოქეებს სიურპრიზს ვთავაზობთ და სტადიონზე მოსული გულშემატკივარი არ ინანებსო. მერე და მერე უფრო აწუწუნდნენ, გულშემატკივარი არ დადისო და... **54:0-ს რომ წააგებ და მერე ამბობ, გულშემატკივარი რატომ არ მოდისო, ნამუსი ხომ უნდა გქონდეს?!** ისიც ხომ არ გავიწყდებათ, რომ 20 წლამდელთა ჩემპიონატზე მაყურებელზე მეტი სხვადასხვა კლუბის სკაუტი რომ არის ჩამოსული ახალი მორაგბეების შესათვალიერებლად და ინგლისურმა მედიამ რომ დაწერა, ჩვენი გუნდის შვიდ მოთამაშეს უკვე ახალმა კლუბებმა შესთავაზეს კონტრაქტებიო? ანალოგიური ვითარებაა საფრანგეთის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა მორაგბეთა მიმართაც, ანუ რეალურად 20 წლამდელთა ჩემპიონატი დიდი ბაზარია, სადაც ახალ მოთამაშეებს არჩევენ, მომავალს აშენებენ და, 54:0-ს რომ წააგებს, იმ ნაკრების რომელიმე მორაგბეზე დაფიქრდება ნორმალური სკაუტი? ახლა მეტყვით, სამაგიეროდ, პლეი-ოფის მატჩში დავამარცხეთ არგენტინა და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთო, მაგრამ, თუ მომავალშიც 54:0 უნდა წავაგოთ, არ გვინდა. გამოცდილებას ვიძენთ ამ მატჩებითო, რომ გვიმტკიცებთ, მასე ფეხბურთში სომხეთთან 5:0 წააგო სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრებმა, ჩვენთან კიდევ — 3:0 და ახლა არ მითხრათ, ან ერთი, ან მეორე ნაკრებისგან სენტ კიტსელებმა გამოცდილება შეიძინეს და შემდგომში უფრო კარგად ითამაშებენო...

კიდევ ერთხელ ვიტყვით: **პრობლემებზე საჯაროდ საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის მტრები ვართ. პირიქით, იმას ვამბობთ, რომ პრობლემა არსებობს და მას მოგვარება სჭირდება. ამ თემაზე ხმამაღლა თუ არა, კულუარებში ნამდვილად საუბრობენ სპორტის ამ სახეობების ლეგენდები და, თუ მათ არ სურთ ხმამაღლა საუბარი, შედეგები ხომ ყვირის... აქეთ მოლდოვას ჩემპიონატის ფეხბურთელებთან ნათამაშები 2:2 და იქით კიდევ საფრანგეთთან წაგებული 54:0. პრობლემებზე ხმამაღლა საუბარიც პატრიოტიზმია, მეგობრებო, იმაზე გაცილებით მეტი პატრიოტიზმი, ვიდრე დამარცხებული ნაკრების ტრიბუნებიდან გინება...**

**ბესო ბარბაქაძე**

ექსპერიმენტების პოლიგონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო ექსპერიმენტების ჩატარების პოლიგონად არის შერჩეული. ყველაზე შემაშფოთებელია ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების კვლევები. აშშ-ს, ფაქტობრივად, აქვს შესაძლებლობა, საკუთარ საზღვრებს მიღმა ჩაატაროს სახიფათო ცდები საკუთარი მოქალაქეების ინფიცირების რისკის გარეშე. კონტროლდება თუ არა ამგვარი კვლევების უსაფრთხოება ჩვენი მოქალაქეების მიმართ – ეს გაურკვეველია.**

# შეუნარი საფრთხე

## — რას ამზადებს აშშ ბიოლოგიურ ლაბორატორიებში

**რამდენიმე დღის წინათ მეზობელ სომხეთში პრესკონფერენცია გამართეს საზოგადოებრივი კლუბის — „ხალხის ხმის“ — წარმომადგენლებმა და განაცხადეს, რომ აშშ-ის ბიოლაბორატორიებს სომხეთში, მიუხედავად დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანებისა, ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებასთან საერთო არაფერი აქვთ.**

„აშშ-ის რეფერენს-ლაბორატორიები გახსნილია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში. ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ამ დაწესებულებების მიზანი შინაური ცხოველების ჯანმრთელობის გარანტიების უზრუნველყოფა, სარემონტო სამუშაოების დაფინანსება და ისეთი თანამედროვე ლაბორატორიების შექმნაა, რომლებითაც გაძლიერდება მთავრობის მონიტორინგის შესაძლებლობები ადამიანის ჯანმრთელობისთვის შესაძლო საფრთხეებზე. მაგრამ ეს ლაბორატორიები ორმაგი დანიშნულებისაა, რადგან დაფინანსებულია სამხედროების მიერ, ხოლო საქმიანობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ლაბორატორიების შესანახავად აშშ უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, მაგალითად, უკრაინაში 175 მლნ დახარჯეს, საქართველოში — 150 მლნ, ყაზახეთში — 130 მლნ. სომხეთში ასეთი ლაბორატორია მოქმედებს ერევანში, აგრეთვე, გიუმრისა და იჯევანში (სომხეთში სამივე ლაბორატორია 2016 წელს გაიხსნა — ნ.კ.). ეჭვის შეტანაც არ შეიძლება იმაში, რომ აშშ-ს, კერძოდ, პენტაგონს, რომელიც დიდძალ ფულს ხარჯავს ბიოლაბორატორიების ქსელის შესაქმნელად, პოლიტიკური და სამხედრო მიზნები აქვს. **ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ასეთი ლაბორატორიების ამუშავების შემდეგ მსოფლიოში შეინიშნება სხვადასხვა ვირუსისა და დაავადების შემთხვევათა მკვეთრი მატება**“, — განაცხადა ექსპერტმა **არმან გუკასიანმა.**

„საქართველოს გამოცდილების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი ლაბორატორიების ასაშენებლად დახარჯული თანხა მრავალჯერ აღემატება სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად გამოყოფილ ფინანსებს. და ამ ფაქტმა შეუძლებელია, ეჭვი არ გააჩინოს, რადგან **არსებობს საფრთხე, რომ პათოგენები, რომლებიც ინახება ამ ლაბორატორიებში, მომავალში შეიძლება გამოიყენონ ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად იმ გენოტიპისა და ბიოლოგიური თავისებურებების საფუძველზე, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხალხისა და რეგიონისთვის. დაუშვებელია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ობიექტებს აკონტროლებდეს და ინახავდეს უცხო სახელმწიფო.** პენტაგონმა სომხეთში უკვე დახარჯა 18 მლნ დოლარი ასეთი ლაბორატორიების შესაქმნელად. და, თუ ლაბორატორიას აფინანსებს სამხედრო უწყება, შესაბამისად, ამოცანებიც სამხედრო იქნება“, — განაცხადა კლუბის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა **ცოვინარ კოსტანიანმა.**

აღსანიშნავია, რომ **საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ხმის“ ორგანიზებით, 15 ივნისს ერევანში საპროტესტო აქცია გაიმართა აშშ-ის საელჩოსთან. აქციის მონაწილეებმა, რომლებიც შიშობენ, რომ ამ ბიოლაბორატორიებს პენტაგონმა სამხედრო მიზნები დაუსახა, მოთხოვნების სია გადასცეს აშშ-ის ელჩს სომხეთში — რიჩარდ მილსს.**

2010 წლიდან დღემდე აშშ-ის ე.წ. რეფერენს-ლაბორატორიები გაიხსნა უკრაინაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში, ყაზახეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში. მსოფლიოში კი **ასეთი ლაბორატორიების რაოდენობამ 20-დან 400-მდე მოიმატა.**

საქართველოში ბიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც რობერტ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის სახელით არის ცნობილი, 2011 წლის 18 მარტს გაიხსნა.

საქართველომ ბიოლოგიური განიარაღების შესახებ ხელშეკრულებას 1997 წელს მოაწერა ხელი. საქართველოსთან აშშ-ის აქტიური თანამშრომლობის ფაზა 2001 წლიდან დაიწყო, როცა აშშ-მა, ტერორისტების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის შესაძლო გამოყენების მოტივით, სხვა ქვეყნებში შტამებისა და ვირუსების შენახვის ადგილებისა და კვლევებზე კონტროლის დასამყარებლად მუშაობა გააქტიურა. საქართველო, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ინახებოდა შტამები და იყვნენ მათზე მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტები, განიხილებოდა, როგორც ტერორისტების შეღწევის სამიზნე ქვეყანა და მასზეც გავრცელდა სენატორ **რიჩარდ ლუგარის** მიერ 1991 წელს შემუშავებული ბიოლოგიური საფრთხის შემცირების საერთაშორისო პროგრამა. 2004 წლის სექტემბერში მიღწეული იქნა შეთანხმება თბილისის მახლობლად, ალექსეევკის დასახლებაში, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეფერალური ლაბორატორიის შექმნის შესახებ“.

საქართველოში ამერიკული ბიოლაბორატორია 2011 წლის 18 მარტს გაიხსნა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა **ენდრიუ ვებერი** — აშშ-ის თავდაცვის მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის დარგში; აშშ-ის იმჟამინდელი ელჩი საქართველოში — **ჯონ ბასი**, საქართველოს მთავრობის იმჟამინდელი თავმჯდომარე **ნიკა გილაური.**

**„საქართველოში ამ ლაბორატორიის მშენებლობა გეოგრაფიული მდებარეობითა და აუცილებლობით იყო განპირობებული“,** — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა საქართველოში — ჯონ ბასმა.

ლაბორატორიის დირექტორად დაინიშნა **ანა ჟვანია**, რომელიც საქართველოს მთავრობაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო 2008 წლის თებერვლამდე დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა. 2012 წლის 12 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ეწვია სენატორი **რიჩარდ ლუგარი, მიხეილ სააკაშვილმა** მისთვის დამახასიათებელი




მანერით ლაბორატორიის გახსნა წარმოაჩინა, როგორც „სტრატეგიული მნიშვნელობის“ მოვლენა. ცენტრის დათვალიერების შემდეგ მან განაცხადა: „ამ დონის ინვესტიცია საბჭოთა დროს რუსეთს საქართველოში არ ჩაუდია“. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა ილუზიის შესაქმნელად, რომ აშშ-ის უშუალო დახმარებითა და ინვესტიციით საქართველოში დაარსდა სამხედრო დანიშნულების მძლავრი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების აგრესიული ქმედებების განეიტრალებას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ შტამების საცავის უშუალოდ სამხედრო აეროდრომთან განლაგება დამკვირვებლებში წარმოშობდა ეჭვს ამ პროექტის სამხედრო დანიშნულებაზე.

პირველი, ვინც ლუგარის ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეზე დაიწყო ლაპარაკი, გახლდათ ამერიკელი ჟურნალისტი, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი **ჯეფრი სილვერმანი.** აი რა განაცხადა მან 2015 წლის ნოემბერში „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში: **„ლუგარის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობს თბილისის გარეუბანში, აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ცდიან ადგილობრივ მოსახლეობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ჯილეხს, ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და, თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველო აღიგვება დედამიწის პირისგან...**

**ქუთაისში გაცილებით მეტი ბიოაგენტია დასაწყობებული, მაგრამ მეტი ყურადღება ექცევა თბილისის ბიოლაბორატორიას. ასევე, მოქმედია ე.წ. მცენარეთა ლაბორატორია ქობულეთში... 2 წლის წინათ ლუგარის ლაბორატორიაში ინფიცირებული პერსონალი საიდუმლოდ გადაიყვანეს „არამიანცის“ საავადმყოფოში სამკურნალოდ და თანხაც გადაიხადეს მედიასაშუალებებისთვის ინფორმაციის დამალვის მიზნით. ლაბორატორია უნდა განადგურებულიყო 2011 წელს, როდესაც გამოვააშკარავე ეს ამბავი, მაგრამ მაინც გრძელდება არალეგალური კვლევები“.**

ჯეფრი სილვერმანის ნათქვამს ადასტურებს ალექსეევკის მკვიდრი, რომელმაც 2016 წლის თებერვალში „საქართველო და მსოფლიოს“ განუცხადა, რომ 2012 წელს მის კორპუსში, ნაქირავებ ბინაში მცხოვრები ამერიკული ბიოლაბორატორიის 4 თანამშრომელი, ფილიპინელები, მოიწამლა, მათგან 2 გარდაიცვალა. დასახლება ალექსეევკის მკვიდრნი კი უჩივიან თავის ტკივილს, მაღალ წნევას, საშინელ სუნს, რომლის გამოც ზაფხულში ფანჯრებს ვერ აღებენ, და ამ ყველაფერს ბიოლაბორატორიის ამოქმედებას აბრალებენ.

საქართველოში ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიის ამოქმედება თავიდანვე იწვევდა საზოგადოების შეშფოთებას. ამ თემაზე 2016 წლის ივლისში გლობალური კვლევების ცენტრმა საექსპერტო კვლევაც წარმოადგინა. გთავაზობთ ამონარიდებს ამ კვლევიდან.

„ორ წელზე მეტ ხანს, 2011 წლის მარტიდან 2013 წლის მაისამდე, ლუგარის ლაბორატორიას დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი ჰქონდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული აშშ-ის არმიის **უოლტერ რიდის** სახელობის კვლევით ინსტიტუტთან, ამასთანავე, ამერიკულ სამხედრო პერიოდიკაში იგი მოიხსენიებოდა, როგორც **„უცხოეთში მოქმედი კვლევითი ქვედანაყოფი“.**

ამ პერიოდში ლაბორატორიის საქმიანობა იდუმალების ბურუსით იყო მოცული და პრაქტიკულად არ არსებობდა საჯარო პუბლიკაციები მისი სამეცნიერო სპეციალიზაციის მიხედვით. ეს წარმოშობდა ჭორებს ლაბორატორიაში ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნის, მსოფლიოდან საქართველოში დაავადებათა გამომწვევი შტამების შემოტანის, პირუტყვზე ცდების ჩატარების შესახებ და ა.შ. ბევრი ასეთი ინფორმაცია ქართულ მედიაშიც გამოქვეყნდა.

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ლაბორატორიას დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი ჩამოართვა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტრუქტურას — დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს — დაუქვემდებარა. ლაბორატორიაში მუშაობს 90 ადამიანი, მათგან 20 — უცხოელი. საინჟინრო პერსონალს ხელფასს აშშ უხდიდა. შენარჩუნებულია საგრანტო დაფინანსება უცხოეთიდან სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განსახორციელებლად, გრძელდება კონტაქტები უოლტერ რიდის სახელობის არმიის კვლევით ინსტიტუტთან (აშშ).

ეს შეშფოთებას იწვევს, რადგან **იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო ექსპერიმენტების ჩატარების პოლიგონად არის შერჩეული.** ყველაზე შემაშფოთებელია ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების კვლევები. **აშშ-ს, ფაქტობრივად, აქვს შესაძლებლობა, საკუთარ საზღვრებს მიღმა ჩაატაროს სახიფათო ცდები, საკუთარი მოქალაქეების ინფიცირების რისკის გარეშე. კონტროლდება თუ არა ამგვარი კვლევების უსაფრთხოება ჩვენი მოქალაქეების მიმართ — ეს გაურკვეველია.**

ამერიკული ბაქტეროროლოგიური ცენტრების მომრავლება კავკასიასა და საქართველოში მკვეთრად ზრდის სახიფათო ვირუსების მათი წიაღიდან გასვლის რისკს, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობას.

ამ მოსაზრებას არ იზიარებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი **ამირან გამყრელიძე**, რომელიც ამტკიცებს, რომ ლაბორატორიის საქმიანობა მოცემულ მომენტში აბსოლუტურად გახსნილია და ლაბორატორია უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოების ინსტრუმენტი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის წყალობითაც საქართველო ინარჩუნებს და აძლიერებს კომპეტენციას ჯანდაცვისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში. ამირან გამყრელიძის არგუმენტებს, გარკვეულწილად, შეიძლება, დაეთანხმო, მაგრამ არც იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობა ივარგებს, რომ, **რაც უფრო იმატებს ექსპერიმენტული მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების რაოდენობა, მით მეტია თანამშრომელთა ინფიცირებისა და შემდგომ დაავადების ლაბორატორიის მიღმა გავრცელების რისკი. თუ ასეთი რამ მოხდა ისეთი დაავადების გამომწვევის შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად, შავი ჭირი, შედეგები პატარა საქართველოსთვის კატასტროფული იქნება.** სხვადასხვა გენეზისის ბოლო კატასტროფების ანალიზი მოწმობს, რომ მათში უზარმაზარ როლს ე.წ. ადამიანური ფაქტორი თამაშობს. დაზღვეულია კი ამგვარი შეცდომებისგან საქართველოს მოსახლეობა? სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ამერიკული ლაბორატორიების თანამშრომელთა ინფიცირების შემთხვევები ისეთი საშიში დაავადებებით, როგორიცაა სალმონელოზი, ტულარემია, შავი ჭირი, ებოლას ვირუსი და ა.შ. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ იმ ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების რაოდენობის მატება, რომლებიც საშიში დაავადებების გამომწვევებს იკვლევს, ზრდის საქართველოს ტერიტორიაზე ეპიდემიის აფეთქების ალბათობას. **ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, ბიოლოგიურ ლაბორატორიებში, შესაძლოა,** ▶

**კომპეტენტური ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, რა ხდებოდა ლუგარის ლაბორატორიაში 2011-2013 წლებში. იმხანად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საქართველოს გავლით ნარკოტიკები გადაჰქონდათ, ხოლო 2013 წელს სპეცსამსახურებმა სამ ტონამდე თხევადი ჰეროინი აღმოაჩინეს. არ არის გამორიცხული, ლაბორატორიას სწორედ ამ მიზნით იყენებდნენ. დღეს ლაბორატორია სამოქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაშია, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობია, რა ხდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის მის გადაცემამდე...**

ექსპერიმენტების პოლიგონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# 2010 წელს ინდონეზია მოითხოვდა, დაეხურათ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო ქვედანაყოფი NAMRU-2, რომლის მუშაობასაც ვერ აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რომ განლაგებული იყო ინდონეზიის ჯანმრთელობის დაცვის შენობაში. ინდონეზიის მთავრობამ დაადგინა, რომ ამერიკული სამეცნიერო ქვედანაყოფი საიდუმლო ექსპერიმენტებს ატარებდა და ეწეოდა უსანქციო მონიტორინგს სოციალურ კვლევებზე.

◀ **ჰიბრიდული მიკროორგანიზმების შექმნაზე მუშაობენ, რომელთა საწინააღმდეგო საშუალებები კაცობრიობას არ აქვს. ამ მიკროორგანიზმების გავრცელების შემთხვევაში კი საქართველო პირველ პოლიგონად შეიძლება იქცეს ადამიანზე მათი ზემოქმედების შესწავლის მიზნით.** თანაც, აშშ მიიღებს უნიკალურ მონაცემებს მიკრობის შესაძლო გადამტანთა, ინფექციის გავრცელების სისწრაფის, ავადობის პროცენტის, მოკვდავობის შესახებ. ეს, რასაკვირველია, ამერიკელებს მისცემს საშუალებას, შეისწავლონ უცნობი ბაქტერიების გამომწვევი და დაცვის ზომები შეიმუშაონ. ამით ამერიკის მოქალაქეებს საფრთხეს ააცილებენ. ჩვენ?

მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტიც. **კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში უდიდესი ლაბორატორია მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე და წარმოადგენს აშშ-ის მიერ აშენებულ და ამ ქვეყნის თავდაცვის უწყების მიერ დაფინანსებულ ობიექტს. საქართველოს დედაქალაქიდან 30 კილომეტრში არის რუსეთის სამხედრო ბაზა. ათას კილომეტრში საქართველოს ჩრდილოეთით ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში, ათას კილომეტრში სამხრეთით იმავე ზესახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები მძვინვარებენ.** აქედან გამომდინარე, საქართველომ მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და, რაც მთავარია, გამჭვირვალობას მიმართოს, რათა რომელიმე ზესახელმწიფოს დაეჭვების (ან შეშფოთების) საბაბი არ მისცეს...

**კომპეტენტური ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, რა ხდებოდა ლუგარის ლაბორატორიაში 2011-2013 წლებში. იმხანად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საქართველოს გავლით ნარკოტიკები გადაჰქონდათ, ხოლო 2013 წელს სპეცსამსახურებმა სამ ტონამდე თხევადი ჰეროინი აღმოაჩინეს. არ არის გამორიცხული, ლაბორატორიას სწორედ ამ მიზნით იყენებდნენ. დღეს ლაბორატორია სამოქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაშია, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობია, რა ხდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის მის გადაცემამდე...**

საკითხი ასე დგას: საკმარისია თუ არა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის დონე რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, რათა დავიცვათ ლაბორატორია ტერორისტთა მცდელობისგან, დაუყოვნელ შტამებს და ეფექტიანად აღუდგეთ ტერორისტულ საფრთხეს?

**საკმარისად არის თუ არა დღეს დაცული ლუგარის ლაბორატორია? რა როლს ასრულებენ მის მუშაობაში ამერიკელი სამხედროები? რას და როგორ იკვლევენ ლაბორატორიაში ამერიკელი მეცნიერები და სამხედროები?** საზოგადოება ამის შესახებ ინფორმირებული არ არის, ხოლო ანალოგიური ლაბორატორიების მაგალითები, მათ შორის, თვით აშშ-ში, შეშფოთების საფუძველს ქმნის".

## ამერიკული ბიოლაბორატორიების თავისებურებები

აშშ-ის ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ობიექტები მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო დანიშნულებისაა და მათი მიზანი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, მაგრამ, ბევრი ექსპერტის აზრით, ეს ლაბორატორიები შეიძლება გამოიყენებოდეს ან უკვე იყენებენ რუსეთის წინააღმდეგ მტრული მიზნებისთვის. ამის ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

**1. ყველა ობიექტი აშენებულია აშშ-ის თავდაცვის და არა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაფინანსებით;** ხოლო უზარმაზარი თანხები, რომლებიც იხარჯება ამ ობიექტების ასაგებად, მიუთითებებს პროგრამის პრიორიტეტულობაზე ვაშინგტონისთვის;

**2.** ამერიკელების მიერ მსგავსი ობიექტების გამოყენების პრაქტიკა მიუთითებს, რომ **ამ ობიექტებს არ აკონტროლებს სახელმწიფო; ლაბორატორიები ფუნქციობენ დახურულ რეჟიმში და დაკომპლექტებულია უცხო ქვეყნის პერსონალით, მათ შორის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადამიანებით.** აშშ-ის მიერ დაფინანსებული, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედი ობიექტები, ნაწილია ლაბორატორიების გლობალური სისტემისა, რომელსაც ვაშინგტონი აფართოებს მსოფლიოში. ბევრ ქვეყანას, რომლებშიც ასეთი ლაბორატორიები მოქმედებს, მსგავსი პრობლემები შეექმნა. მაგალითად, **2010 წელს ინდონეზია მოითხოვდა, დაეხურათ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო ქვედანაყოფი NAMRU-2, რომლის მუშაობასაც ვერ აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რომ განლაგებული იყო ინდონეზიის ჯანმრთელობის დაცვის შენობაში. ინდონეზიის მთავრობამ დაადგინა, რომ ამერიკული სამეცნიერო ქვედანაყოფი საიდუმლო ექსპერიმენტებს ატარებდა და ეწეოდა უსანქციო მონიტორინგს სოციალურ კვლევებზე;**

**3.** ამერიკული ბიოლაბორატორიების ხელმძღვანელებად ხშირად ინიშნებიან ვაშინგტონისადმი ლოიალურად განწყობილი სამხედროები ან სპეცსამსახურების წარმომადგენლები;



საპროტესტო აქცია ერევანში აშშ-ის საელჩოს წინ

**4.** ლაბორატორიები განლაგებულია დიდ ქალაქებში (ოდესა, ხარკოვი, ალმა-ათა), საზღვაო პორტების (ოდესა), აეროპორტების (თბილისი) ახლოს ან სეისმურად სახიფათო (ალმა-ათა) ტერიტორიებზე. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ ლაბორატორიების ადგილმდებარეობა მოწყვლადია განსაკუთრებით, ყაზახეთის ლაბორატორიის, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა სატრანსპორტო და ლოჯისტიკის თვალსაზრისით, ამერიკელებისთვის მომგებიანია.

ექსპერტთა აზრით, ამერიკული ლაბორატორიების განლაგება რუსეთის საზღვრების პერიმეტრზე პენტაგონს რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას მისცემს. ესენია:

**1. ინფორმაციის შეგროვება** მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მიკროორგანიზმების, ენდემური პათოგენების, დაავადების გავრცელების არხებისა და ა.შ. შესახებ, რაც ახალი ბიოლოგიური იარაღის დამზადების საშუალებას მისცემს რუსეთის, ირანისა და ჩინეთის წინააღმდეგ გამოსაყენებლად;

**2. დივერსიული ოპერაციების განხორციელება** ეკონომიკის დასაზარალებლად (მსხვილფეხა პირუტყვის განადგურება, ქვეყნის პროდუქციის დისკრედიტაცია მსოფლიოს ბაზარზე). ასეთი რამ აშშ-ის პრაქტიკაში უკვე იყო — კუბის წინააღმდეგ;

**3. რუსეთის, ირანისა და ჩინეთის დამოკიდებულების გაძლიერება** დასავლეთის ქვეყნების ფარმაცევტული ინდუსტრიის მიმართ. მით უმეტეს, რომ გენურმა ინჟინერიამ აშშ-ში დიდ წარმატებებს მიაღწია;

**4. შეზღუდვების გვერდის ავლა,** რომლებიც დაწესებულია ჟენევის 1972 წლის კონვენციით ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამერიკელები უარს ეუბნებიან უცხო ქვეყნების ინსპექტორებს, შეამოწმონ ობიექტები, რომლებიც ნაციონალური ტერიტორიის გარეთ მდებარეობს.

## სახიფათოა თუ არა ამერიკული ბიოლაბორატორიები

* 2014 წლის 13 ივნისს ქალაქ ატლანტაში (აშშ) ბიოლოგიური ლაბორატორიის 75 თანამშრომელი, უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევის გამო, ციმბირის წყლულით დასნებოვნების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — სპეციალიზებული ლაბორატორიის პერსონალმა მასალა, რომელიც შეიცავდა ციმბირის წყლულის ბაცილებს, გაუგზავნა დაავადების კონტროლის ცენტრის ჩვეულებრივ ლაბორატორიებს, რომელთა თანამშრომლებს ასეთ სახიფათო ბაცილებზე მუშაობისთვის საჭირო არც აღჭურვილობა (კოსტიუმები, ნიღბები) ჰქონდათ და არც შესაბამისი მოწყობილობები.

ლაბორატორიის 75 თანამშრომლიდან 7-ს კონტაქტი ჰქონდა სიცოცხლისთვის ძალიან სახიფათო ბიომასალასთან. მათ 60 დღის განმავლობაში მკურნალობდნენ.

* 2015 წლის ივნისში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა სამხრეთ კორეაში მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზასა და ქვეყნის 9 შტატის ლაბორატორიებში შეცდომით გაგზავნეს ციმბირის წყლულის შემცველი მასალები. სახიფათო მასალასთან შეხების გამო დაავადდა 22 ადამიანი.

## შემაშფოთებელი სტატისტიკა

* აღსანიშნავია, რომ საქართველოში ციმბირის წყლულით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა სწორედ ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორიის ამოქმედების შემდეგ აღირიცხება: **დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2012-2013 წლებში ჯილეხის შემთხვევები აღირიცხა ქართლისა და კახეთის რეგიონებში. ქვემო ქართლში რეგისტრირებული იყო 138 შემთხვევა, კახეთში — 49. 2000-2010 წლებში ჯილეხის შემთხვევათა წლიური რაოდენობა მერყეობდა 15-დან 62-მდე. 2011 წლიდან დაიწყო შემთხვევათა რაოდენობის მატება და რეგისტრირებული იყო 81 შემთხვევა** („კახეთის საინფორმაციო ცენტრი". 27 სექტემბერი, 2013 წ.).

* 2001 წლის სექტემბერში აშშ-ის რამდენიმე ოფისმა და დემოკრატიული პარტიის ორმა წარმომადგენელმა მიიღეს წერილები, რომლებიც შეიცავდა ციმბირის წყლულის ბაცილებს. დაავადდა 17 ადამიანი, მათგან 5 დაიღუპა.

* 2016 წელს საქართველოში ე.წ. ღორის გრიპის 115 შემთხვევა აღირიცხა.

* 2011-2013 წლებში რუსეთში ციმბირის წყლულის დაავადების 17 შემთხვევა იყო რეგისტრირებული, ბელარუსში — არც ერთი (ბოლო 17 წლის განმავლობაში), ყირგიზეთში 2012 წელს — 9, მოლდოვაში 2013 წელს — 4, ტაჯიკეთში 2013 წელს — 18, სომხეთში — 13.

აშშ-ის სამხედრო უწყების დაფინანსებით, ევრაზიაში ბიოლოგიური ლაბორატორიების მშენებლობა მოწმობს, რომ აშშ-ს უარი არ უთქვამს ბიოლოგიური იარაღის (ბიოლოგიური ან ბაქტერიოლოგიური იარაღი — ეს არის მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას ანადგურებს ინფრასტრუქტურის დაუნგრევლად. ბიოლოგიურ იარაღს მიეკუთვნება ენტომოლოგიური იარაღი ინფიცირებული მწერების გამოყენებით) შექმნის პროგრამაზე.

აღსანიშნავია, რომ **აშშ-ის დაავადებებზე კონტროლის ცენტრმა (CENTER FOR DISEASE CONTROL) 1994 წლის მაისში აღიარა ბიოლოგიური იარაღის შექმნაში უშუალო მონაწილეობა. ეს ორგანიზაცია 1984-1989 წლებში ერაყში სამხედრო ოპერაციებისთვის ამზადებდა ისეთ აგენტებს, როგორიც არის ბოტულოტოქსინები, დასავლეთი ნილოსის ციებ-ცხელების ვირუსები, ჭირისა და დენგეს ციებ-ცხელების გამომწვევები. აშშ-ის დაავადებებზე კონტროლის ცენტრი თავის ლაბორატორიებში დღემდე ინახავს ყვავილის გამომწვევებს, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაანადგურეს.**

და, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ პოპულარულ ვერსიას ბიოლოგიური იარაღის შესახებ და ვიტყვით, რომ ამერიკელები უცხო სახელმწიფოების მოსახლეობის „სიყვარულითა" და „მშვიდობიანი მიზნებით" აშენებენ ბიოლოგიურ ლაბორატორიას არა თავიანთ, არამედ სხვის ტერიტორიებზე, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის „ბიოლოგიური მოღვაწეობა" სახიფათო ვირუსების უკონტროლო გავრცელების საფრთხეს ქმნის, რასაც ადასტურებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანებისა და ცხოველების აქამდე „ჩუმად მყოფი" დაავადებების მოულოდნელი აფეთქებები.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. 2017 წელს აშშ აზერბაიჯანში კიდევ ერთ ბიოლოგიურ ლაბორატორიას გახსნას აპირებს, ამჯერად — უსაფრრთხოების მესამე დონის, რომელიც განსაკუთრებით სახიფათო ბაქტერიებსა და ვირუსებთან მუშაობას გულისხმობს.**

**ცნობისთვის: ციმბირის წყლული, ანუ ჯილეხი (ანტრაქსი, ხუზარა) ცხოველებისა და ადამიანის მწვავე ბაქტერიული დაავადებაა, რომელსაც იწვევს ბაცილა (Bacillus antracis). ადამიანის დასნებოვნება ხდება დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით (შეხებით, შესუნთქვით) ან ასეთი ხორცის საკვებად გამოყენების შემთხვევაში. დაავადება შეიძლება გადაიტანოს სისხლისმწოველმა მწერებმა. დაავადება აზიანებს კანს, ლიმფურ ჯირკვლებს, შინაგან ორგანოებს. ციმბირის სპორები ნიადაგში წლობით ცოცხლობს. მაგალითად, საძოვარზე, რომელიც დაბინძურებულია დასნეულებული ცხოველის შარდით.**

«მშვიდობის მტრედები»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სი-ენ-ენი“ და სხვა მედიასაშუალებები ეყრდნობიან „თეთრი ჩაჩქნების“ წარმომადგენლობის მიერ გადაღებულ კადრებს, მაგრამ არც ერთ დიდ დასავლურ საინფორმაციო სააგენტოს არაფერი უთქვამს ბოლო ვიდეოებზე, რომლებზეც ასახულია დაჯგუფების წევრების მონაწილეობა სადამსჯელო ღონისძიებებში.**




# როგორ გახდნენ აშშ-ის მიერ დაფინანსებული და ტერორისტების ხელშემწყობი «თეთრი ჩაჩქნები» ნობელის პრემიის ნომინანტები

**აშშ-ის დანაშაულებრივ პოლიტიკასა და სირიაში განვითარებულ მოვლენებზე დასავლური მედიის ფარისევლურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს სტატია სათაურით „კიდევ ერთი ვიდეო წარმოაჩენს, როგორ ეხმარებიან საჯარო დასჯის განხორციელებაში აშშ-ის მიერ დაფინანსებული „თეთრი ჩაჩქნები“ ამბოხებულებს მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე სირიაში“ (Yet Another Video Shows U.S. — Funded White Helmets Assisting Public Executions in Rebel-Held Syria). ეს სტატია საინფორმაციო-ანალიტიკურმა რესურსმა Naked Capitalism-მა გამოაქვეყნა.**

სირიის სამოქალაქო თავდაცვის წარმომადგენლები, რომლებსაც ხალხი იცნობს, როგორც „თეთრ ჩაჩქნებს“, შეიძლება ნახოთ ახალ ვიდეოში, სადაც ისინი საჯარო დასჯის აღსრულებაში ეხმარებიან ამბოხებულებს სირიის ერთ-ერთ ქალაქში. ეს დასჯის, სულ ცოტა, მეორე ასეთი ვიდეოა წარმომადგენლებზე იმ ჯგუფისა, რომელიც 2016 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე იყო ნომინირებული.

**„თეთრი ჩაჩქნები“, სულ ცოტა, 23 მილიონი დოლარით დააფინანსა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფონდმა (USAID), რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ქვედანაყოფია. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ევროპის სხვა სახელმწიფოების მთავრობებმაც გაიღეს თანხები.**

დასავლეთის მსხვილი მასობრივი საინფორმაციო საშუალების მიერ ხშირად ინფორმაციის ფასდაუდებელ წყაროდ მოხსენიებული ჯგუფი დოკუმენტური ფილმის — Netfeix „თეთრი ჩაჩქნების“ — თემად იქცა. ეს ფილმი 2016 წელს „ოსკარის“ ლაურეატი გახდა, თუმცა მასობრივ მედიასაშუალებებს არაფერი უთქვამთ „თეთრი ჩაჩქნების“ ბნელ საქმეებზე, ასეთი ფილმები საზოგადოებრიობას უმალავს ინფორმაციას დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის შეიარაღებული ექსტრემისტული სალაფიტური და ჯიჰადისტური დაჯგუფებების დომინირებაზე, და, საერთოდ, ჭეშმარიტ ინფორმაციას სამოქალაქო კონფლიქტზე.

**CNN-ი და სხვა მედიასაშუალებები ეყრდნობიან „თეთრი ჩაჩქნების“ წარმომადგენლობის მიერ გადაღებულ კადრებს, მაგრამ არც ერთ დიდ დასავლურ საინფორმაციო სააგენტოს არაფერი უთქვამს ბოლო ვიდეოებზე, რომლებზეც ასახულია დაჯგუფების წევრების მონაწილეობა სადამსჯელო ღონისძიებებში.**

ვიდეოკადრებში ადვილია თეთრჩაჩქნიანი ადამიანების ამოცნობა, რომლებსაც აცვიათ ლოგოტიპიანი ჟილეტები ორგანიზაციისა „სირიის სამოქალაქო თავდაცვა“.

საჯარო დასჯა მოხდა პატარა ქალაქ ჯასიმში სირიის სამხრეთში მდებარე პროვინცია დარაში, რომელსაც „ზომიერი“ ამბოხებულების ცენტრს უწოდებენ.

ორი დღის შემდეგ სირიის სამოქალაქო თავდაცვამ გაავრცელა განცხადება, რომ მისი წევრები მართლაც იყვნენ ჩართული სასჯელის აღსრულებაში, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჯასიმის უხუცესთა საბჭომ სთხოვა „თეთრ ჩაჩქნებს“, ჰუმანურად მოეშორებინათ ადამიანის სხეული, რომელსაც მკვლელობისთვის სიკვდილი მიუსაჯა ადგილობრივმა სასამართლომ.

## პროფესიონალიზმი, რომელიც „ოსკარს“ იმსახურებს

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „თეთრი ჩაჩქნები“ საჯარო დასჯაში მონაწილეობენ. **ამბოხებულების მიერ დაკავებულ ქალაქ ჰარითანში 2015 წელს გადაღებულ სიკვდილით დასჯის კადრებში ჩანს, როგორ დგას სირიის სამოქალაქო თავდაცვის 2 წევრი კამერასთან, სანამ „ალ ქაიდას“ სირიული ფილიალის „ჯებჰათ ან-ნუსრას“ წევრი სიკვდილის განაჩენს კითხულობს, შემდეგ კი თავში ესვრის სამოქალაქო ტანსაცმლიან მამაკაცს. რამდენიმე წუთის შემდეგ „თეთრი ჩაჩქნების“ გუნდი საკაცეზე დებს გვამს და მიაქვს.** ეს ვიდეო ორგანიზაციამ ახსნა იმით, რომ მისმა წევრებმა, უბრალოდ, შეასრულეს დავალება — „სასწრაფოდ დაემარხათ მოკლული“.





დასავლელი საზოგადოებრიობისთვის „თეთრი ჩაჩქნების“ წარსადგენად ბრიტანელ-სირიელმა მილიარდერმა **აიმან ასფარიმ** დაიქირავა საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრიტანული ჯგუფი „სირიის კამპანია“. ეს ჯგუფი შექმნილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმა „მიზნის“ (Purpose) მიერ, რომელსაც ოფისები აქვს ნიუიორკსა და ლონდონში. მისი მთავარი მიღწევაა დოკუმენტური ფილმ Netflix-ისთვის თანხის შეგროვება.

დასჯის ამსახველი ვიდეოები ეჭვს აჩენს „თეთრი ჩაჩქნების“ განცხადების მიმართ, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც მიუმხრობილი სამაშველო ორგანიზაცია, და აჩენს კითხვებს მათი სპონსორების, აგრეთვე, პიარ-სააგენტოებსა და რედაქციებში მათი პრომოუტერების მიმართ.

## „ალ ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ ფარული მეომრები?

„თეთრი ჩაჩქნები“ მოქმედებენ მხოლოდ სირიის შეიარაღებული ოპოზიციის ჩარჩოებში, მჭიდროდ თანამშრომლობენ „ალ ქაიდას“ ადგილობრივ პარტნიორ „ჯებჰათ ან-ნუსრასა“ და თვით „ისლამურ სახელმწიფოსთანაც“ კი. ბრიტანელმა ჟურნალისტმა **ჯონ კანტლიმ**, რომელიც „ისლამურ სახელმწიფოს“ ჰყავდა დატყვევებული, შემთხვევით გამოააშკარავა „თეთრი ჩაჩქნების“ კავშირი „ისლამურ სახელმწიფოსთან“, როდესაც პროპაგანდისტულ ვიდეორგოლში „თეთრ ჩაჩქნებს“ „ისლამური სახელმწიფოს“ სახანძრო ბრიგადა უწოდა. ვიდეო და ფოტოები „თეთრი ჩაჩქნების“ წევრებისა, რომლებიც სირიელი ჯარისკაცების გვამებთან პოზირებენ, სოციალურ ქსელში გავრცელდა.

2015 წლის მარტში ექსტრემისტების მიმართ სიმპათიით განწყობილმა სააგენტო Sarmeen-მა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ასახულია, როგორ უერთდებიან „თეთრი ჩაჩქნების“ წევრები ჯიჰადისტ „ბოევიკებს“ იდლიბში, როდესაც ისინი ჰაერში ისვრიან. სირიის სამოქალაქო თავდაცვის წევრი ერთ-ერთ „ბოევიკს“ გამოართმევს დროშას და ააფრიალებს. ეს არის შავი დროშა თეთრი შაჰადით — სალაფიტი ჯიჰადისტების „ჯეიშ ალ-სუნას“ სიმბოლოთი. ეს ექსტრემისტული დაჯგუფება „ჯებჰათ ან-ნუსრას“ მოკავშირეა და ბავშვებს ჯარისკაცებად იბირებდა საუდის არაბეთის „ალ ქაიდას“ საველე მეთაურის — **აბდულა ალ-მუჰაისინის** მეშვეობით.

ალ-მუჰაისინის, სირიაში სალაფიტი ჯიჰადისტების იდეურ ბელადს, არაერთხელ შეუქია „თეთრი ჩაჩქნები“. საუდელმა სამხედრომ, რომელსაც მრავალ სამხედრო დანაშაულში სდებენ ბრალს, მათ შორის, დატყვევებული სირიელი ჯარისკაცების მასობრივ მკვლელობაში, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არანაირი განსხვავება არ არის მოჯაჰედებსა (სალაფიტი ჯიჰადისტების მებრძოლები) და „თეთრ ჩაჩქნებს“ შორის.

2015 წლის მაისში „თეთრი ჩაჩქნების“ წევრმა **მუავია ჰასან აღამ** „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა ვიდეო (მოგვიანებით წაშალა), რომელზეც სირიელი ამბოხებულები აწამებენ ორ სირიელ ჯარისკაცს, შემდეგ კი კლავენ. ის, აგრეთვე, ჩანს ვიდეოზე, რომელზეც ასახულია „ალ ქაიდას“ სირიული ფილიალის მიერ ქალაქ იდლიბის აღება. მიმდინარე წლის მარტში „ჰაიათ ტაჰრირ აშ-შამის“ (ამბოხებულების კოალიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს „ალ ქაიდა“) ლიდერმა სპეციალურ ვიდეომიმართვაში შეაქო „თეთრი ჩაჩქნები“ და მას „რევოლუციის ფარული ჯარისკაცები“ უწოდა“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# საჯარო მოხელეებს 1 ივლისიდან მოხელის კლასი მიენიჭებათ და საკლასო დანამატსაც მიიღებენ

**1 ივლისიდან ამოქმედდება მთავრობის დადგენილება „საჯარო მოხელისთვის მოხელის კლასების მინიჭების წესის“ შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებს მიენიჭებათ კლასი 1-დან 12-მდე. და ამ კლასების მიხედვით, ისინი შესაბამის დანამატსაც მიიღებენ. მოხელეს კლასი მუდმივად შეუნარჩუნდება და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია.**

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, მოხელისთვის კლასის მინიჭების მიზანია მოხელის მოტივაციის ამაღლება, მატერიალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და საჯარო სამსახურის სტაბილურობის უზრუნველყოფა. მოხელის კლასების რაოდენობა 12-ია, პირველი კლასი არის ყველაზე დაბალი, ხოლო მე-12 — ყველაზე მაღალი. მოხელის



კლასი განსაზღვრავს მოხელის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების დონეს.

აღსანიშნავია, რომ კლასი არ მიენიჭება მოხელეს, რომელიც დანიშნულია გამოსაცდელი ვადით, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ კი, მოხელეს კლასის მინიჭებისას, გამოსაცდელი ვადა სამსახურის სტაჟში ჩაეთვლება. მოხელეს, რომელსაც მოხელის კლასი მიენიჭა, ეძლევა თანამდებობრივი სარგოს დანამატი – საკლასო დანამატი, რომლის ოდენობა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგულირდება.

2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, საქართველოში 115 ათასი საჯარო მოსამსახურეა.

# ლიტვაში ნატოს მთვრალი სამხედროები გალახეს




**ლიტვაში დისლოცირებული ნატოს სამხედრო კონტინგენტის 4 გერმანელი სამხედრო მოსამსახურე ქალაქ იონავაში ადგილობრივებთან ჩხუბის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა.**

ლიტვის პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი მოხდა 3 ივნისს, ღამით. გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. გალახულ ნატოელებს ამბულატორული მკურნალობა ჩაუტარეს.

**საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც ფინიასავით ელაქუცება დასავლელ პატრონებს, ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და სლოვაკეთის ხელისუფლებები არ ემორჩილებიან ევროკავშირის დიქტატს და უარს ამბობენ თავიანთი ქვეყნების საზიანო გადაწყვეტილებების მიღებაზე.**

უარი დიქტატს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირი ლობიოობა არ არის!

**ევროპარლამენტმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, საქმეზე რამდენიმე დღის წინათ მოამზადა რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა საქართველოს, უზრუნველყოს სწრაფი, გამჭვირვალე გამოძიება, როგორ გაუჩინარდა საქართველოდან აფგან მუხთარლი და მოხვდა ბაქოში. ამასთანავე, ევროკავშირმა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას „შეახსენა", რომ ვალდებულია, აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის შექმნას უსაფრთხო ცხოვრების გარანტია.**

## ბუნტი ევროკავშირის გემზე — ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის ხელისუფლებები ევროკავშირის დიქტატს ეწინააღმდეგებიან

ამ დატუქსვის ელემენტების შემცველ რეზოლუციაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაქციიდან (თუ ურეაქციობიდან) ჩანს, რა დიდია მათი შიში საქართველოს ე.წ. სტრატეგიული მოკავშირეების მიმართ. საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც ფინიასავით ელაქუცება დასავლელ პატრონებს, ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და სლოვაკეთის ხელისუფლებები არ ემორჩილებიან ევროკავშირის დიქტატს და უარს ამბობენ თავიანთი ქვეყნების საზიანო გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც რამდენიმე დღის წინათაც დადასტურდა.

**ჟაბა იოსელიანის** ცნობილი ფრთიანი გამონათქვამის პერიფრაზირებით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი ლობიოობა არ არის! ეს არა მხოლოდ საერთო ეკონომიკური სივრცე და ბრიუსელიდან წამოსული დახმარებებია, არამედ სუვერენიტეტის რეალური დაკარგვაც, რაც შეიძლება გამოვლინდეს კულტურით უცხო მუსლიმი მიგრანტების მიღების ვალდებულებაში.

ევროკომისიამ (ევროკავშირის მთავარი აღმასრულებელი ორგანო) ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების მიღებაზე უარის თქმის გამო „დარღვევების აღმოფხვრის" პროცედურა აამოქმედა ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მიმართ. ეს პროცედურა, რომელიც ლისაბონში მიღწეული შეთანხმებით არის გათვალისწინებული, პირველად ამოქმედდა ევროკავშირის ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ევროკავშირის წევრებმა მოილაპარაკეს თავიანთ ტერიტორიებზე სირიიდან და მისი მეზობელი ქვეყნებიდან დევნილი 160-170 ათასი ადამიანის დასახლების შესახებ. კვოტები განაწილდა ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. **პოლონეთს** დაეკისრა ვალდებულება, 2017 წლამდე მიეღო 7000 მუსლიმი, **ჩეხეთს** — 1600, **უნგრეთს** — 1300, **სლოვაკეთს** — 900.

აღსანიშნავია, რომ სიაში ქვეყნებისა, რომლებსაც მიგრანტები კვოტების მიხედვით უნდა მიეღოთ, არ შეიყვანეს **დიდი ბრიტანეთი, ირლანდია** და **დანია.**

მიგრანტების დასახლება 2017 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პოლონეთს დღესაც არ მიუღია არც ერთი მიგრანტი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, შესაბამისად 16 და 12 ლტოლვილის მიღებით შემოიფარგლნენ. ჩეხეთს ჯერ კიდევ 2016 წელს უნდა მიეღო 2700 მიგრანტი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთიდან დევნილების პირველ ნაკადს ადგილობრივები ისეთი „სტუმართმოყვარეობით" დახვდნენ, რომ რამდენიმე ათეულმა, მათ შორის, ერაყელმა ქრისტიანმა, უკან მოუხედავად დატოვა ქვეყანა. 5 ივნისს კი ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მილან ხოვანეცმა** განაცხადა, რომ ჩეხეთი უარს ამბობს ახლო აღმოსავლელი და აფრიკელი მიგრანტების მიღებაზე: **„გვირჩევნია, ჯარიმა გადავუხადოთ ევროკავშირს, ვიდრე ქვეყანაში შემოვუშვათ შეუმოწმებელი ადამიანები".**

უფრო ნაციონალისტურად განწყობილ და კათოლიკურ პოლონეთში მიგრანტების მიღების საწინააღმდეგო აქციებისა და მიტინგების გამართვის შემდეგ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არც ერთ მიგრანტს არ მიიღებს ევროკავშირის კვოტით.

პოლონეთის პრეზიდენტმა **ანჯეი დუდამ** უკვე განაცხადა რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობაზე. სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგების მიხედვით განისაზღვრება, უნდა დაემორჩილოს თუ არა ქვეყანა ბრიუსელის ბრძანებებს მიგრანტების შესახებ. 2016 წლის ოქტომბერში ანალოგიური რეფერენდუმი ჩატარდა უნგრეთში და მონაწილეთა 90%-მა მხარი არ დაუჭირა ლტოლვილთა მიღებას ბრიუსელის მიერ დაწესებული კვოტით.




**«ჩვენ ჩართული ვართ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მაგრამ არ ვიღებთ გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარეობს ერთადერთი შესაძლო, ერთადერთი აუცილებელი დასკვნა: დადგა დრო, დავიწყოთ მომზადება ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად ევროკავშირიდან... ეს ერთადერთი გზაა, დავიცვათ და შევინარჩუნოთ ჩვენი სახელმწიფო, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო ჩვენი წინაპრებისგან და რომელიც, როგორც თვითმყოფადი იდენტურობა, უნდა გადავცეთ მომავალ თაობას»**




კიდევ უფრო რადიკალურად არის განწყობილი ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი **ვაცლავ კლაუსი:** „ევროკავშირის ხელმძღვანელების პოლიტიკა ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართ, — ამბობს ის, — ამ ქვეყნებს აიძულებს, გადახედონ თავიანთ წევრობას ევროკავშირში".

**„ჩვენ ჩართული ვართ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მაგრამ არ ვიღებთ გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარეობს ერთადერთი შესაძლო, ერთადერთი აუცილებელი დასკვნა: დადგა დრო, დავიწყოთ მომზადება ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად ევროკავშირიდან... ეს ერთადერთი გზაა, დავიცვათ და შევინარჩუნოთ ჩვენი სახელმწიფო, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო ჩვენი წინაპრებისგან და რომელიც, როგორც თვითმყოფადი იდენტურობა, უნდა გადავცეთ მომავალ თაობას",** — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა და დასძინა, რომ ჩეხეთს შეუძლია იარსებოს ევროპული ფონდების დახმარების გარეშეც, რომლის შეწყვეტითაც ევროკავშირი ემუქრება ჩეხეთს, უნგრეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს. სწორედ აბუნტებული ქვეყნების დასჯის მიზნით დაიწყო ევროკავშირმა „დარღვევების აღმოფხვრის" პროცედურა. და ეს ხდება ახალი მიგრაციული კრიზისის ფონზე. ისიც აღსანიშნავია, რომ **2015-2016 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში შესული მიგრანტების რაოდენობამ 2,5 მლნ-ს გადააჭარბა.**

წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიქმნა, ერთი მხრივ, დასავლეთი ევროპის, ხოლო, მეორე მხრივ, ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის, უფრო ღრმაა, ვიდრე კვოტების პრობლემა. **„ლტოლვილები, ნაწილობრივ, საბაბია, — აღნიშნავს The Bloomberg-ი, — სინამდვილეში ევროპის ის ქვეყნები, რომლებიც არ ყოფილან კომუნისტურ ბლოკის წევრები, თავიანთ მეზობლებს ადანაშაულებენ ევროპული ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების უარყოფაში. მათთვის უფრო მოსახერხებელია მიგრანტების საკითხის გამოყენება, ვიდრე აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების დადანაშაულება კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევაში".**

თუმცა ამ დაპირისპირებაში არც „კანონის უზენაესობაა" მთავარი. კვოტებზე კამათის უკან დგას ზენაციონალური მმართველობისა და ნაციონალური სახელმწიფოების ფასეულობების მანქანების შეტაკება.

ამ შეტაკებიდან კი ჩანს, რომ **„ევროპის ერთიანობა" მირაჟია.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# საარსებო მინიმუმმა მოიმატა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მაისში საარსებო მინიმუმმა მოიმატა და შრომისუნარიანი მამაკაცისთვის 173 ლარი და 20 თეთრი შეადგინა, რაც, აპრილთან შედარებით, 2,4 ლარით მომატებული მაჩვენებელია.**

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 153,5 ლარია, ხოლო ოჯახის — 290,6 ლარი.

რაც შეეხება ოჯახის ტიპებს, ორსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 245,5 ლარია, სამსულიანის — 276,2 ლარი, ოთხსულიანის კი — 306,9 ლარი.

# პროფესორ რევიშვილს რუსეთის სახელმწიფო პრემია გადაეცა

**12 ივნისს, რუსეთის დღეს, რუსეთის პრეზიდენტმა 2016 წლის სახელმწიფო პრემიები გასცა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სფეროში შეტანილი წვლილისთვის.**

**ვლადიმერ პუტინმა** რუსეთის ფედერაციის 2016 წლის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორ **ამირან რევიშვილს** გადასცა. ამირან რევიშვილს პრემია გადაეცა მეცნიერული დასაბუთებისა და კლინიკურ პრაქტიკაში ახალი კონცეფციის დანერგვის გამო, რომელიც გულის რიტმის დარღვევების მქონე პაციენტებში ავადობისა და მოკვდავობის შემცირებას ეხება.

„ჩვენი ლაურეატები: **ამირან რევიშვილი, ალექსანდრე კარასკოვი** და **ევგენი პოკუშალოვი** მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები არიან — თანამედროვე კარდიოლოგიის ლიდერები, მოაზროვნე ექიმები და ქირურგ-პრაქტიკოსები. მათი მოწოდებაა ბრძოლა გავრცელებულ, სიცოცხლისთვის საშიშ მტერთან — გულის რიტმის დარღვევასთან", — განაცხადა პუტინმა. თავის მხრივ, რევიშვილმა მადლობა გადაიხადა ჯილდოსთვის, რომლითაც რუსი მეცნიერი მედიკოსების შრომა აღინიშნა.

„სამწუხაროდ, მოკვდავობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში. უეცარი სიკვდილისგან ქვეყანა ასიათასობით მოქალაქეს კარგავს. გულის დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ახალი ტექნოლოგიების შემუშავება მთავარი მიზანია ჩვენი დიდი, კომპლექსური სამუშაოსი, რომელსაც 20 წელზე მეტი მივუძღვენით. ჩვენ, ანუ ორმა სამედიცინო ქირურგიულმა და არითმოლოგიურმა სკოლამ მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში", — განაცხადა რევიშვილმა. მისი თქმით, ამ სამუშაოში მედიკოსებთან ერთად მონაწილეობდნენ ინჟინრები, ბიოფიზიკოსები, მათემატიკოსები და პროგრამისტები, რომლებიც კლინიკურ პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებასა და დანერგვაზე მუშაობდნენ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2002 წელს არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა ამომრჩეველთა 64,41%-მა მიიღო, 2007 წელს — 60,44%-მა, 2012 წელს — 57,22%-მა, წელს კი — მხოლოდ 48,71%-მა (მეორე ტურში 42,64%-მა). ეს ყველა დროის ანტირეკორდია. მარინ ლე პენმა მას კატასტროფა უწოდა.**

# რატომ იმარჯვებს მაკრონი?

**საფრანგეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პარტიამ „წინ!“ (8 მაისიდან მას „წინ, რესპუბლიკა!“ ეწოდება) დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და, მოკავშირე „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ ერთად, 577 სადეპუტატო მანდატიდან 350 მიიღო. ამ შედეგმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ სიტუაცია ფრანგულ პოლიტიკაში ძირეულად შეიცვალა.**



საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ ხელისუფლებაში ერთმანეთს მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციები ცვლიდნენ. სისტემა ათწლეულების განმავლობაში ორპოლუსიანი იყო, დღეს კი საუბარია მინიმუმ ოთხ ძირითად ძალაზე – რესპუბლიკელებთან და სოციალისტებთან ერთად, ავანსცენას იკავებენ ლე პენის „ეროვნული ფრონტი“ და მაკრონის პარტია, რომელიც წელიწად-ნახევრის წინ საერთოდ არ არსებობდა. მართალია, ჟან-ლუკ მელანშონის „დაუმორჩილებელმა საფრანგეთმა“ ვერ აჩვენა საპარლამენტო არჩევნებში ისეთივე დამაჯერებელი შედეგი, როგორც მისმა ლიდერმა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ძალად რჩება. ლიდერი პარტიების კრიზისის ფონზე გავლენა შეიძლება სხვა „მცირე პარტიებმაც“ გაზარდონ. ყველასთვის აშკარაა, რომ ორპოლუსიანი სისტემა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ექსპერტებს უჭირთ იმის განსაზღვრა, რა მიმართულებით მიექანება ფრაგმენტირებული პოლიტიკური სპექტრი.

**ძველი პარტიებისგან გადაღლის ტენდენცია გავრცელებულია მსოფლიოში. ამომრჩეველი ხედავს, რომ პოლიტიკური გაერთიანებები დეიდეოლოგიზაციას განიცდიან და ოდესღაც დაპირისპირებულ ძალებს შორის ზღვარი მნიშვნელოვანწილად იშლება – ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ რესპუბლიკელები და სოციალისტები საფრანგეთში, რესპუბლიკელები და დემოკრატები შეერთებულ შტატებში და ა.შ. ამავე დროს, სწორედ „ძველი პარტიები“ აღიქმებიან გაუმაძღარი და თვალთმაქცი ბიუროკრატიის სამჭედლოდ. ამომრჩეველი ალტერნატივას ითხოვს და მაკრონის წარმატების საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოთხოვნას კარგად გააზრებული პასუხი გასცა.**

მაკრონის პარტია ხაზგასმით ცენტრისტულია და თავისუფლად იყენებს როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების საუკეთესო იდეებსა და ლოზუნგებს. საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა, იმ ოლქებში, რომლებშიც „მაკრონისტები“ მემარჯვენეებს უპირისპირდებოდნენ, არა მხოლოდ ცენტრისტები, არამედ მემარცხენეების უმრავლესობა ხმას მათ აძლევდა. ანალოგიური რამ ხდებოდა მაშინაც, როდესაც მთავარი, მეორე ტურში გასული ოპონენტი სოციალისტი იყო. მეტიც, ზოგ შემთხვევაში „მაკრონისტი“ კანდიდატების სასარგებლოდ ხმას აძლევდნენ მათი ოპონენტების თანაპარტიელებიც კი, თუ ის სხვა ფრაქციას ეკუთვნოდა.

საქმე ისაა, რომ ყოფილმა მინისტრმა და როტშილდების საინვესტიციო ბანკირმა, ემანუელ მაკრონმა, მომგებიანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც პრემიერმინისტრის პოსტი ქალაქ ჰავრის მერს, ედუარდ ფილიპს, შესთავაზა. საპრეზიდენტო არჩევნებში ის მხარს ალენ ჟიუპეს უჭერდა და მის კამპანიას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის რესპუბლიკელების შიდაპარტიულ პრაიმერში ფრანსუა ფიიონთან დამარცხდა, სხვა კანდიდატის მხარდაჭერაზე უარი თქვა. როდესაც მაკრონმა პრემიერმინისტრობა შესთავაზა, მან საუბარი იმაზე დაიწყო, რომ რესპუბლიკელები შეურიგებელ ოპოზიციაში არ უნდა გადავიდნენ, არამედ საზოგადოების გახლეჩის დასაძლევად პრეზიდენტს მხარში ამოუდგნენ. ამ იდეების გასაძლიერებლად მაკრონმა კიდევ ორი პორტფელი (ეკონომიკის მინისტრისა, ასევე, სახელმწიფო პოლიტიკისა და ბიუჯეტის მინისტრის) ორ რესპუბლიკელ კანდიდატს შესთავაზა. ამავე დროს, მთავრობაში სოციალისტური პარტიის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები შეიყვანა. ხაზგასმით ზეპარტიული კაბინეტის ფორმირებამ ამომრჩევლები დააბნია. ისინი, ვინც მიიჩნევდა, რომ მათი პარტია ახალ პრეზიდენტს ხისტად უნდა დაუპირისპირდეს, უმცირესობაში აღმოჩნდნენ. **„ჰარისის“ გამოკითხვის თანახმად, რესპუბლიკელთა მხარდამჭერების 88% მთავრობაში მათი პარტიის წარმომადგენლების შესვლას მოწონებით შეხვდა. ამის შემდეგ მაკრონმა კიდევ ერთი ძლიერი სვლა გააკეთა: მან არ დააყენა კანდიდატები 51 მაჟორიტარულ ოლქში, სადაც კენჭს იყრიდნენ მისი პოტენციური მოკავშირეები, როგორც სოციალისტური პარტიიდან, ისე მემარჯვენეთა ბანაკიდან. ამ „ორმაგმა დარტყმამ“ სერიოზული შედეგი გამოიღო და ორივე წამყვანი პარტიის შიგნით დესტრუქციული პროცესების პროვოცირება მოახდინა.**

რესპუბლიკელების ლიდერები სამ ჯგუფად დაიყვნენ. ჟიუპემ, ფილიპმა და მათმა თანამოაზრეებმა ახალ პრეზიდენტთან თანამშრომლობის

**დღეს საფრანგეთი სამი მთავარი გამოწვევის წინაშე დგას. ესენია: პოლიტიკური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული იდენტობის კრიზისი. შრომის კოდექსის რეფორმა და ლტოლვილების მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავება ახალი პრეზიდენტისა და მთავრობისთვის ტესტის როლს შეასრულებს, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მეტ-ნაკლებად წარმატებით ჩააბარებენ, პოლიტიკური პროცესის სტაბილიზაცია აშკარად გაუჭირდებათ**

სურვილი გამოთქვეს. ამავე დროს, ჩამოყალიბდა „შეურიგებელი“ და „კონსტრუქციული“ ოპონირების მოსურნეთა ჯგუფები. შიდაპარტიულმა დისკუსიამ, რომელიც დრო და დრო მწვავე კონფლიქტს ემსგავსებოდა, ნამდვილად არ შეუწყო ხელი რესპუბლიკელთა ამომრჩევლების კონსოლიდაციას 11-18 ივნისის არჩევნების წინ.

სოციალისტური პარტია ღრმა კრიზისშია. ყოფილი პრემიერმინისტრი მანუელ ვალსი ღიად აცხადებს, რომ მას და მის თანაპარტიელებს „აღარაფერი აერთიანებს“ და პარტიას „აღსასრული დაუდგა“. რაც შეეხება „ეროვნულ ფრონტს“, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მან პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა, მის წიაღში ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა — რადიკალური და ზომიერი. პირველს მარინ ლე პენის მოადგილე ფლორიან ფილიპო ხელმძღვანელობს, რომელიც ევროკავშირიდან გასვლას, ევროზე უარის თქმას და რადიკალური იზოლაციონისტური პოლიტიკის გატარებას ემხრობა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ფილიპომ შეიძლება „ეროვნულ ფრონტში“ განხეთქილების პროვოცირებაც კი სცადოს.

კიდევ ერთი ძლიერი სვლა, რომელიც მაკრონმა გააკეთა, სამოქალაქო აქტივისტების რეკრუტირებაა. მისი პარტიის დეპუტატობის 400-ზე მეტი კანდიდატიდან მხოლოდ 50 პროფესიონალი პოლიტიკოსია, რომელთაც არჩევით ორგანოებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ამომრჩევლეთა გადაღლა „ძველი სახეებისგან“, შესაბამისი რიტორიკისგან და პოლიტიკისგან. ეს ფაქტორი ხელს უწყობს ამომრჩეველთა აქტიურობის შემცირებასაც — **2002 წელს არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა ამომრჩეველთა 64,41%-მა მიიღო, 2007 წელს – 60,44%-მა, 2012 წელს — 57,22%-მა, წელს კი — მხოლოდ 48,71%-მა (მეორე ტურში 42,64%-მა). ეს ყველა დროის ანტირეკორდია. მარინ ლე პენმა მას კატასტროფა უწოდა**, შს მინისტრმა ჟერარ კოლონმა კი განაცხადა, რომ ეს „სხვა არაფერია, თუ არა მეხუთე რესპუბლიკის მოქალაქეთა ნდობის კრიზისი ხელისუფლების მიმართ“.

ოპონენტების დასუსტების ფონზე მაკრონმა მიიღო ის სასტარტო პირობები, რომლებიც ადრე მხოლოდ შარლ დე გოლს თუ ჰქონდა ხელისუფლებაში დაბრუნების და მეხუთე რესპუბლიკის დაარსების პერიოდში. თუმცა გარკვეული პრობლემები მას უკვე შეექმნა.

მაკრონის პარტიის გენერალურ მდივან რიშარ ფერანს, რომელიც მთავრობის შემადგენლობაში შევიდა, ქონების არენდასთან დაკავშირებულ მაქინაციებში ადანაშაულებენ. ამასთანავე, პრესაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ დეპუტატობის პერიოდში მან თანაშემწის პოზიციაზე საკუთარი ვაჟიშვილი დაასაქმა. შემდეგ „მონდმა“ გამოაქვეყნა მასალა, რომ ფერანი კერძო კომპანიის ხელმძღვანელობას პოლიტიკურ კარიერას უთავსებდა, აგრეთვე, არასწორად შეავსო ქონებრივი დეკლარაცია. 1 ივნისს პროკურატურამ ამ ფაქტების შესწავლა დაიწყო.

მაკრონმა ამ საქმისგან დისტანცირება ამჯობინა, თუმცა ფერანის მიმართ ნდობა გამოხატა. ამის შემდეგ გაზეთებში გაჩნდა პუბლიკაციების სერია მაკრონის პარტიის 7 კანდიდატის გადაცდომების შესახებ. ხელისუფლებამ ამ შეტევას ახალი კანონპროექტის პრეზენტაციით უპასუხა, რომელიც „პოლიტიკური ცხოვრების მორალიზაციას“ და ინტერესთა კონფლიქტის მიმართულებით კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ის იუსტიციის მინისტრმა ფრანსუა ბაირუმ წარმოადგინა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ბაირუ თავად გაეხვია სკანდალში, როდესაც „რადიო ფრანსის“ საგამოძიებო განყოფილების უფროსთან დარეკა, ჟურნალისტებს მუშაობის „მომაბეზრებელი მეთოდები“ დაუწუნა და განაცხადა, რომ ამას შეიძლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოჰყვეს. მოგვიანებით ბაირუმ თქვა, რომ დარეკა რედაქციაში „არა როგორც მინისტრმა, არამედ, როგორც მოქალაქემ“. იყო კიდევ ორი, ჟურნალისტებთან დაკავშირებული სკანდალი: „ლიბერასიონის“ ერთ-ერთი პუბლიკაციის შემდეგ, შრომის მინისტრმა მიურიელ პერიკომ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა, ხოლო „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“ და მასმედიის 15 საშუალების ჟურნალისტებმა პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მალიში მაკრონის გამგზავრების წინ თანმხლები ჟურნალისტები საკუთარი სურვილის მიხედვით შეარჩია. თითოეული ეპიზოდი, ერთი შეხედვით, კატასტროფული არაა, თუმცა მთლიანობაში ცუდ საინფორმაციო ფონს ქმნის და ახალი ხელისუფლების მედიასთან დაპირისპირებას აღრმავებს. ამან მაკრონს ისეთივე პრობლემები შეიძლება მიუტანოს, როგორიც დონალდ ტრამპს.

მიუხედავად იმისა, რომ მაკრონმა მოღვაწეობა ელისეს სასახლეში მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე დაბალი ნდობის რეიტინგით დაიწყო (45% „ელაბე“-ს მონაცემებით), მას ჯერ კიდევ აქვს საკმაო რესურსი იმისთვის, რომ სისტემური რეფორმები გაატაროს, რაც მის მთავარ წინასაარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა. **დღეს საფრანგეთი სამი მთავარი გამოწვევის წინაშე დგას. ესენია: პოლიტიკური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული იდენტობის კრიზისი. შრომის კოდექსის რეფორმა და ლტოლვილების მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავება ახალი პრეზიდენტისა და მთავრობისთვის ტესტის როლს შეასრულებს, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მეტ-ნაკლებად წარმატებით ჩააბარებენ, პოლიტიკური პროცესის სტაბილიზაცია აშკარად გაუჭირდებათ. ძველი სისტემის ნანგრევებზე ახალი პარტიებისა და ალიანსების გაჩენა, მოულოდნელი კომბინაციების გათამაშება, სავარაუდოდ, კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება. ფრანგული პოლიტიკის შემდგომი დესტაბილიზაცია, დიდი ალბათობით, გაგრძელდება და ამ მხრივ მაკრონისა და მისი პარტიის გამარჯვება დიდად არაფერს ცვლის.**

**ლუკა ნემსაძე**

**პაემანზე მისული პედოფილი მიხვდა, რომ „ჯესის“ „აკაუნტის“ უკან საინიციატივო ჯგუფი იდგა. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა დააკავეს იგი და პოლიციას გადასცეს. გამოძიების პროცესში დამნაშავეს ინსულტი და ინფარქტი დაემართა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვაჟებს შორის ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონი გაგვითხოვდა

**ცნობილმა კანადელმა ფიგურისტმა ერიკ რედფორდმა ხელი და გული შესთავაზა ესპანელ მოციგურავე ლუის ფენეროს.**

„როცა წარმოვიდგენ ლუისთან ერთად ცხოვრებას, — წერს „ინსტაგრამში“ ეს მამათმავალი მეორე მამათმავალზე, — სიმსუბუქის ისეთი განცდა მეუფლება, როგორიც გიჩნდება მთებზე გადაფრენისას. მსურს, რომ ამას ყოველთვის განვიცდიდე, ამიტომ ვთხოვე მას, გამომყვეს (ცოლად თუ ქმრად არ აზუსტებს) და ისიც დამეთანხმა“.

ეშმაკმა შეჰყარა ერთფერი.

რედფორდი ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ვინც მის გამოსვლებს უყურა, გაიხსენებს ამ მოციგურავის ნარნარ, ლამის ქალურ მოძრაობებს, რომლითაც მსაჯები განსაკუთრებით მოხიბლა. ამან და ტექნიკურმა შესრულებამ მას ორგზის ჩემპიონობა მოუტანა.

2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე გუნდურ ტურნირში მეწყვილესთან, **მეგენ დიუამელთან,** ერთად მეორე ადგილზე გავიდა.





## 25 წლის მათემატიკის მასწავლებელი ქალი მოსწავლეებთან ინტიმური კავშირის გამო დააპატიმრეს

**ეს მოხდა აშშ-ის შტატ ჩრდილოეთ კაროლინაში. ავხორც მასწავლებელს ბრალად წაუყენეს სამ მოსწავლესთან სექსუალური ურთიერთობა. მათ შორის ორი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილია, ერთი — თექვსმეტის.**

პოლიციამ **ერინ მაკოლიფი** სკოლის ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე დააპატიმრა. სკოლიდან, რა თქმა უნდა, მოიშორეს. ამჟამად აღვირახსნილი მასწავლებელი ციხეშია მოთავსებული.



გამომძიებელთა თქმით, იგი თავის მოწაფეებს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ იტოვებდა მათემატიკაში აკადემიური მოსწრების მიზნით დამატებითი მეცადინეობის ჩასატარებლად. იგი თურმე „ამუშავებდა ალტერნატიულ მეთოდებს, რომლებსაც უნდა აემაღლებინა მოსწავლეებში საგნის ათვისების ეფექტიანობა“. როგორც ჩანს, სექსუალური კავშირის დამყარება ყმაწვილებთან ამ „მეთოდის“ მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ელიტური კოლეჯის «ტრადიციული» ორგიები








**სიდნეის უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კოლეჯ St.Paul's College -ში სკანდალმა იფეთქა, რომლის მიზეზი მედიაში გაჟონილი ინფორმაცია გახდა ნარკოტიკული შეკრებებისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ, რომლებიც ამ სასწავლო დაწესებულებაში ყოფილა ფეხმოკიდებული.**

ამ კოლეჯის კურსდამთავრებულები უმსხვილესი კომპანიების ტოპმენეჯერები და მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსები არიან. დაარსებულია 1856 წელს სიდნეის შემოგარენში და მას შემდეგ მწვანე კონტინენტის პრესტიჟულ სასწავლებლებს შორის ყოველთვის მოწინავე პოზიციაზე რჩება. ერთი წლის სწავლების საფასური აქ 30 ათასზე მეტი დოლარია.

კოლეჯში, როგორც გაირკვა, დიდი ხანია, აირია მონასტერი. ზოგიერთი კურსდამთავრებული გოგონას მონაყოლით, კოლეჯი სახელგანთქმულია არა მხოლოდ თავისი მდიდარი ისტორიითა და სწავლების ხარისხით, არამედ სტუდენტური ცხოვრების სპეციფიკური ტრადიციებით. ერთ-ერთმა გოგონამ „დეილი მეილ ავსტრალიას“ მოუთხრო, რომ კამპუსის ტერიტორიაზე ხშირად იმართება დახურული შეკრებები, მოსწავლეები გონების დაკარგვამდე თვრებიან, ერთობიან სიძვით პრაქტიკულად ყველას თვალწინ. ამ ღონისძიებებზე იწვევენ მხოლოდ ისეთ ქალიშვილებს, რომლებიც გარკვეულ პარამეტრებს უპასუხებენ. უპირატესობას ანიჭებენ პირველკურსელებს და ეფექტიანი გარეგნობის გოგოებს.

სტუდენტმა, რომელიც კორესპონდენტს წარუდგა, როგორც **კეროლი**, განაცხადა, რომ კოლეჯში მოქმედებს ფაილების გაცვლის ქსელი. მისი მეშვეობით უფროსკურსელები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას გოგონებზე, რომლებთანაც ღამე გაატარეს, რასაც ეროტიკულ „რეცენზიებსა“ და დამამცირებელ კომენტარებს ურთავენ.

სქესობრივი დისკრიმინაციის მრავალი ფაქტის შეტყობის შემდეგ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ დაიწყო შემოწმება და გაავრცელა განცხადება, რომლითაც აღიარებს, რომ პრობლემა აუცილებლად გადასაწყვეტია.

ჯერჯერობით ამით კმაყოფილდებიან.

## 92 წლის პედოფილი მაშინ დააკავეს, როცა 11 წლის გოგონასთან პაემანზე მივიდა



**ბრიტანეთის უხუცესი პედოფილი მოქალაქეებმა დააკავეს მაშინ, როცა იგი შეეცადა, შეხვედროდა ბავშვს, რომელთანაც სექსუალური კავშირის დამყარებას გეგმავდა. სამხედრო-საჰაერო ძალების ეს გამოყეყეჩებული ვეტერანი ციხეში 18 თვით მოათავსეს.**

სამხრეთ უელსელი **ივორ გიფორდი** სოცქსელების მეშვეობით პორნომინიშნებითი ხასიათის ტექსტებს უგზავნიდა 12 წლის **ჯოდისა** და 11 წლის **ჯესის**. გამომძიებლების განცხადებით, ეს ბებრუხანა კარგად ერკვევა ინტერნეტტექნოლოგიებსა და თანამედროვე „ახალგაზრდულ ენაში“. თავის ცოდნას იგი ბინძურ ბადეში გოგონების გასაბმელად იყენებდა.

პედოფილმა „ჯესის“ წინასწარ შესთავაზა, სექსუალურ ტანსაცმელში გამოწყობილიყო. გოგონას „აკაუნტი“ შექმნა საინიციატივო ჯგუფმა, რომლის მიზანია სოცქსელებში პედოფილების პოვნა და მხილება.

სასამართლოს შენობაში ინვალიდის ეტლით მიყვანილ ივორს მოსამართლე **დენიელ უილიამსმა** ასე მიმართა: „თქვენ აპირებდით გოგონებისთვის თქვენი პენისის ფოტოსურათის გაგზავნას. თქვენ 92 წლის ხართ. წლოვანება აისახა თქვენს ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ არა გონიერებაზე“.

მოკლედ, გამოტვინებული ხარო.

პედოფილი რამდენიმე წლის განმავლობაში ურთიერთობდა „გოგონებთან“ სოცქსელების მეშვეობით, ეკითხებოდა, სურდათ თუ არა სექსუალური სიამოვნების მიღება. თავისი გარყვნილი სურვილები რომ გაანდო, პედოფილმა სთხოვა, მისთვის გაეგზავნათ თავიანთი „შიშველი“ ფოტოსურათები. როცა „ჯოდიმ“ უთხრა, რომ მისი ტელეფონის კამერა არ მუშაობს, ივორმა აღუწერა, რას ნიშნავს სქესობრივი აქტი. მოგვიანებით არ დაუმალავს, რომ ერთ-ერთი მათგანის ქალწულობის დაუფლება სურდა, და დაუნიშნა პაემანი.

პაემანზე მისული პედოფილი მიხვდა, რომ „ჯესის“ „აკაუნტის“ უკან საინიციატივო ჯგუფი იდგა. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა დააკავეს იგი და პოლიციას გადასცეს. გამოძიების პროცესში დამნაშავეს ინსულტი და ინფარქტი დაემართა.

ამ საზიზღრობის გამჟღავნების შემდეგ პედოფილს ოჯახი განუდგა.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კვირიკაშვილის განცხადება ნიშნავს, რომ კიდევ 25 წელიწადს უნდა გაგრძელდეს ამერიკისადმი მონური მორჩილება, ქართველთა შეურაცხყოფა და ლიბერასტების მიერ „მემკვიდრეობით“ მიღებული ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა თუ გადაცემა; კიდევ 25 წელიწადს უნდა გაგრძელდეს არაბების, ინდოელებისა თუ ჩინელების სოფლების მშენებლობა, ეროვნული მენტალიტეტის ნგრევა და ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან.**

# ქოცებო, ნაცობა გირჩევნიათ თუ კაცობა?!

**ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან შეხვედრით აღფრთოვანებულმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ქართველ ხალხს მიმართა: „ჩვენ მივიღეთ მყარი გარანტიები აშშ-თან პარტნიორობის გაღრმავების. 25 წლის მანძილზე ასე იყო და მომავალი 25 წლის განმავლობაში შევძლებთ, კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობა შევქმნათ აშშ-თან“, — ამაყად და თავმომწონედ განაცხადა პერმიერმა თავისი ოცნების შესახებ, რითაც ქართველ ხალხს იდეოლოგიურად დაუპირისპირდა.**



**ამ ხელისუფლებას ხალხის სოციალური ფონის გაუმჯობესებას ლიბერასტ-პედერასტი მომღერლების უკანალის დანახვა და მათთვის მილიონების გადახდა ურჩევნია. საქართველოს თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრს ერთი იდეა აერთიანებს — ამერიკული ოცნება, და ერთმანეთს მხოლოდ პირველობისთვის ექიშპებიან**

კვირიკაშვილის განცხადება ნიშნავს, რომ კიდევ 25 წელიწადს უნდა გაგრძელდეს ამერიკისადმი მონური მორჩილება, ქართველთა შეურაცხყოფა და ლიბერასტების მიერ „მემკვიდრეობით“ მიღებული ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა თუ გადაცემა; ეს ნიშნავს, რომ, თუ დღეს 2 მილიონით შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, 25 წლის შემდეგ იმ ნიშნულს მიაღწევს, როცა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა **მეფე ერეკლემ** და ქართველმა ხალხმა 600 000 ქართველისა და ქვეყნის გადასარჩენად ძალისხმევა რუსეთისკენ მიმართეს; 25 წელიწადს უნდა გაგრძელდეს არაბების, ინდოელებისა თუ ჩინელების სოფლების მშენებლობა, ეროვნული მენტალიტეტის ნგრევა და ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან. როგორ ფიქრობთ, 25 წლის შემდეგ ამ ღვთისგან ნაბოძებ ქვეყანას კვლავ საქართველო ერქმევა? ეს რეგრესი შევარდნაძე-სააკაშვილმა მოუვლინა ქვეყანას, რომელიც კვირიკაშვილმა „პროგრესად“ მონათლა. **ეს ის ხელისუფლება არ არის, სამშობლოს სიყვარული სისხლს რომ აუჩქროლებს, ქვეყანას და ქართველ კაცს ღირსებას რომ დაუბრუნებს. ეს ის ხელისუფლებაა, ფეხქვეშ რომ გაეგება უცხო ძალებს და ისტორიულ მტერს მეგობრად წარმოაჩენს.** საქართველოს პრემიერს ეამაყება, მსოფლიოს №1 ტერორისტი ქვეყნის პრეზიდენტმა დამამცირებელი შეხვედრის პატივი რომ დასდო! ამ შეხვედრამ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის მბრძანებლები გამახსენა, როცა მოხეტიალე დერვიშები შაჰისგან ნაბოძებ მცირე ნასუფრალსაც დიდ პატივად მიიჩნევდნენ.

არავინ ფიქრობს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თბილისში გამართვას, ამ პროვოკაციულ ნაბიჯს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რუსეთის მხრიდან, რომელიც თავისი ქვეყნის უსაფრთხოებას იცავს. რაც მეტ პროვოკაციულ ნაბიჯს გადადგამს საქართველო, მით სწრაფად მოახლოვდება დრო, როცა რუსეთიც გადადგამს გადამწყვეტ ნაბიჯს ამ მიმართულებით, მაგრამ მსხვერპლი, რომელიც ამ ნაბიჯს მოჰყვება, ჩვენი ხელისუფლების კისერზე იქნება. ქართველი ლიბერასტები კი კიდევ უფრო ამძიმებენ პოლიტიკურ ვითარებას. საქართველო თუ გადარჩა და დამოუკიდებლები ვართ, ეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობამ განაპირობაო, — განაცხადა ამერიკის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე **ზურაბ აბაშიძემ.** ჩვენ არც დამოუკიდებლები ვართ და არც გადარჩენა ჰქვია მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას ქვეყანაში, რაც ევროპული გზის დამსახურება და არა რუსული საფრთხეების:

„საშიში მტრისგან, როგორიც რუსეთია, უნდა დავიცვათ ქვეყანა“, — განაცხადა **ვახტანგ მაისაიამ;** „ქართული პოლიტიკა რუსეთის აგენტებისაგან სრულიად უნდა გაიწმინდოს“ — ეს **ზაალ კასრელიშვილის** ფრაზაა. როგორც ჩანს, რუსეთისადმი დამოკიდებულება ფსიქოზში გადაიზარდა და, თუ იუმორით მივუდგებით, ეს ადამიანები **ჯეჯელავას** სინდრომით არიან შეპყრობილნი — ვის კომბალი აშინებს, ვის — საფრთხე რუსეთიდან. **ხელისუფლების ბრიყვული პოლიტიკის მიუხედავად, ჩვენთან სირია ან ლიბია რომ არ განმეორდა, რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ.**

ამერიკა მზაკვრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, თავისი გავლენის გავრცელებაზე ოცნებობს, რათა რუსეთს უფრო მიუახლოვდეს. **პატრიოტული სულისკვეთებისგან დაცლილი, ფულსა და თანამდებობაზე ორიენტირებული ლიბერასტული ხელისუფლება ამერიკას თავისი ინტერესების გაფართოებაში ეხმარება, რაც ქართველი ხალხის ოცნებასთან შეუთავსებელია.** როგორ უნდა გაამწარო შენი ამომრჩეველი, რომ ნაცკრიმინალების აქციაზე მივიდეს?! ეს, რა თქმა უნდა, ქართველების არაპატრიოტიზმსა და პოლიტიკურ გაუნათლებლობაზეც მეტყველებს. **თუ ადრე მუსლმანური სახელმწიფოების გავლენას განიცდიდა საქართველო და ქართველები ფიზიკურად იღუპებოდნენ, ახლა გადასარჩენად გარბიან საქართველოდან და მოჯამაგირედ უდგებიან უცხოელებს.** ამასთანავე, ვკარგავთ სულიერ ღირებულებებს, ხელისუფლება მიწებს გვიყიდის, რაც ქართველების გადაშენების წინაპირობაა. **ველარ უნდა მივხვდეთ, რომ სამშობლოს ვკარგავთ?** ჩვენს სულიერებას, ეროვნულ ფასეულობებს ებრძვიან და ჩვენი გაქრობა უნდათ ამ ქვეყნიდან შავბნელ ძალებს. ვინ ვართ ჩვენ, მზაკვრობით მოსულ შენიღბულ მტერს ფეხქვეშ რომ ვეგებით? ვინ ვართ, ქვეყნისთვის სასურველი საგარეო კურსი რომ ვერ გაგვიტარებია ჩვენი მენტალობის გადასარჩენად?!

„ესენი, ევროპისკენ კი არა, ფულისკენ მიდიან, ლამის მთელი საქართველო ჯიბეში ჩაიდონ. კომუნალური გადასახადი მომსახურების დანამატის გარეშე რომ გადავიხადო, დიდი მანძილის გავლა მიწევს, ხოლო ხელფასი მინიმუმზე ნაკლები მაქვს“, — მითხრა ექიმმა-ინფექციონისტმა ქალბატონმა. **რისთვის გვახდევინებენ მომსახურების გადასახადს ყაჩაღი ბანკირები, ბანკის თანამშრომელთა ხელფასებიც ხალხის ჯიბიდან რომ დაფარონ?**

ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს პოზიციის საჯაროდ გამოხატვა ქვეყნის საგარეო კურსზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც სრულიად ეთანხმება საგარეო ვექტორის შეცვლას, თავისი ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს, — მე ახლა გავდივარ ცხოვრების ასპარეზზე და არ მინდა, პრობლემები შემექმნასო. მსგავსი თავშეკავება არაერთმა ზრდასრულმა პიროვნებამ გამოავლინა. როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოების ნაწილი კვლავ სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის ტყვეობაშია და თავისუფალი აზრის გამოხატვას უფრთხის. **ჩემო ძვირფასებო, მაშ, როგორ გავაგებინოთ ამ ხელისუფლებას, რომ მის მიერ არჩეულ ევროპულ კურსს მხარს არ ვუჭერთ? პრემიერის ოცნების ასრულებას შევუწყოთ ხელი და მუდმივ მონობაში ვიცხოვროთ?**

პოლიტოლოგმა **ვალერი კვარაცხელიამ** თავის საავტორო გადაცემაში წარმოგვიდგინა კადრი, როგორი შემართებითა და ემოციით უმღერის 4 წლის რუსი ეროვნების ბიჭი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს. სიმღერის ბოლოს კი განმარტავს: „დედამ მითხრა, ისე იმღერე, რომ ხალხი აღდგეს!“. ამ სიმღერამ ცხადყო, რა იდეოლოგიით იზრდებოდნენ და იზრდებიან დღეს თაობები რუსეთში, რამაც დიდი **ტიციანის** ლექსიდან გამახსენა: „რა მოკლავს ასეთ ქვეყანას?“ დიახ, ასეთ ქვეყანას „მოვა სიკვდილი შეხედავს და შერცხვენილი გაიარს“, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. სიკვდილი თავად ნადგურდება პატრიოტული სულისკვეთების წინაშე. მშურს იმ ქვეყნის, რომელიც ასეთი იდეოლოგიით იმართება, მაგრამ ჩვენი გაუნათლებელი განათლების მინისტრი, რომელმაც რუსთაველის აფორიზმებიც არ იცის, ამ იდეოლოგიას ვერ დაამკვიდრებს. **ალექსანდრე ჯეჯელავამ** სტუდენტებს გრანტით დაფინანსების ვადები შეუზღუდა, ხოლო სკოლებისთვის მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის მინიჭებაც დააანონსა. ამ „ინოვაციით“ ვისარგებლებ და ხელისუფლების წარმომადგენლებს (სიძულვილის ენით ლაპარაკი რომ არ დამწამონ) ბგერით კვალიფიკაციას მივანიჭებ. მგალითად, ალექსანდრე ჯეჯელავა „ჭ“ კვალიფიკაციის მქონე პოლიტიკოსია, დანარჩენი — მკითხველის გემოვნებისთვის მიმინდვია. სტუდენტებისთვის ლექციების გაცდენა და მუშაობა ოფიციალურად არის დაშვებული, რაც მხოლოდ სწავლის საფასურის გადახდისკენ არის მიმართული და არა ცოდნის შეძენისკენ. არავინ ფიქრობს სტუდენტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, როცა დღეში 2 გამოცდას უნიშნავენ. **ასეთი განათლების სისტემა შეგნებულად შექმნეს, რათა ახალგაზრდებმა სულიერი განვითარება ვერ მიიღონ და ვერ იაზროვნონ. არადა, მსოფლიო პოლიტიკა ცვლილებებს ითხოვს და საქართველოს ხელისუფლებამ თვალსაწიერი უნდა გააფართოვოს.** ბელარუსში უფასო განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემა შეინარჩუნეს, საქართველოში კი დღემდე გრძელდება სამედიცინო ობიექტების „პრივატიზაციის“ პროცესი, რაც პროფესიონალი ექიმის მომსახურების ფასებსაც ზრდის. **ადრეულ წლებში გასხვისებას გადარჩენილი ერთადერთი პოლიკლინიკა (№3 სამკურნალო ცენტრი 1970-იან წლებში რუსი კარდიოლოგის — ევგენი ჩაზოვის ინიციატივითა და ძალისხმევით აშენდა), რომელიც პროფესიონალი ექიმებითაა დაკომპლექტებული და სანიმუშო-საჩვენებელ ობიექტად ითვლებოდა, დღეს იყიდება.** მიუხედავად ექიმებისა და პაციენტების ძალისხმევისა, ამ დაწესებულებას არ აღირსეს გარემონტება, რათა პერსონალს მუშაობის ელემენტარული პირობები ჰქონოდა. სამაგიეროდ, ხელისუფლება თავისი ფუფუნებისთვის მილიონების დახარჯვას არ ერიდება.

ნიშანდობლივია, რომ იტალიამ, რომელიც თავის დროზე შეუერთდა ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, პოლიტიკა შეცვალა და რუსეთთან ერთად შავი ზღვის აუზში ენერგორესურსების მოპოვების შესახებ განაცხადა. ხელისუფლება ვერ აანალიზებს მოლდოვის პრეზიდენტ **იგორ დოდონის** გადაწყვეტილებას ევრაზიულ კავშირში დამკვირვებლის სტატუსის მოპოვებასა და ნატოში გაერთიანებაზე უარის თქმის შესახებ. ამ გადაწყვეტილებისთვის ეს ქვეყანა არავის აუფეთქებია და, თუ მის მიმართ აგრესიას არ მოერიდებიან, რუსეთი დაიცავს, ამიტომ დიპლომატიური პოლიტიკაა საჭირო, რათა ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღოთ. თუ ადრე გარე ძალები უქმნიდნენ საფრთხეს ჩვენს სამშობლოს, ახლა თვითონ ქართველები ახორციელებენ ქვეყნისთვის მავნებელ პოლიტიკას. ხელისუფლებას მძლავრი იარაღი აქვს ხალხის წინააღმდეგ: ტყუილი დაპირებები, რომლებისაც თვითონვე არ სჯერათ და დასავლეთიდან მიღებული ფინანსები, რომელთა გამოც ანგარიშვალდებულად თავს დასავლელი პატრონების წინაშე თვლიან და არა ქართველი ხალხის.

„საქართველო აქციეს ტერორისტების, ნარკოტიკების, კრიმინალური დაჯგუფებების სატრანზიტო დერეფნად“, — ამბობს ინტერვიუში ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი.** აი, ეს არის შედეგი იმ ერთობლივი პროექტისა, რომელიც განახორციელეს საქართველოს შინაურმა და გარეულმა მტრებმა. ოპოზიციური პარტიები, რომლებიც დღეს მმართველ პარტიას უპირისპირდებიან და თავიანთი „ეროვნულობით“ სპეკულირებენ, მხოლოდ ქულების ჩაწერაზე არიან ორიენტირებული და არა საგარეო ვექტორის შეცვლაზე — ყველა ცდილობს დასავლელი პატრონების კეთილგანწყობის მოპოვებას მომავალი ფინანსური კეთილდღეობის იმედად. ნაცებთან მებრძოლი **ირმა ინაშვილი** ქართველთა მაგინებელი პრეზიდენტის ლობისტადაც მოგვევლინა: **„ზოგჯერ არასამთავრობოებსაც** (ქართული იდეოლოგიის მტრებს — ი.თ.), **ზოგჯერ პრეზიდენტსაც უნდა დაუჯეროთ, ის ხომ ხალხმა აირჩია“** (?!) — მიმართავს იგი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სწორედ ხალხის არჩეულმა ხელისუფლებამ გაწირა ხალხი და ახლა კომუნალური გადასახადების გაზრდას აანონსებს. **ამ ხელისუფლებას ხალხის სოციალური ფონის გაუმჯობესებას ლიბერასტ-პედერასტი მომღერლების უკანალის დანახვა და მათთვის მილიონების გადახდა ურჩევნია.** საქართველოს თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრს ერთი იდეა აერთიანებს — ამერიკული ოცნება, და ერთმანეთს მხოლოდ პირველობისთვის ექიშპებიან. დასასრულ, რიტორიკულ შეკითხვას დავსვამ: „ამერიკულ ოცნებას — რაა?“

პასუხი ქართველ ხალხს კარგად ახსოვს სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის პერიოდიდან.

**ქოცებო, ნაცობა გირჩევნიათ თუ კაცობა?!**

**იზა თამაზაშვილი**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურმე რუსული პროპაგანდა ყოფილა ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის, პენსიონერთა შიმშილით ამოწყვეტის, საბიუჯეტო თანხების მითვისების, უცხოელი გადაკრუხებული მომღერლებისთვის მილიონების ჩუქების, ქართველი მწერლების აბუჩად აგდების, სქესობრივი გაუკუღმართების, პედერასტების აღვირახსნილი პარპაშისა და სამარცხვინო აღლუმის მოწყობის წინააღმდეგ ხმის ამოღება და მართლმადიდებლური რწმენის შესალახავად აყიყინებულთა წინააღმდეგ გაბრძოლება. ან იქნებ ამერიკელებთან სტრატეგიულ პარტნიორობის ბოდვაზე მწარე გაღიმებაა რუსული პროპაგანდა?**

# ჩვენი ყოფა ჰგავს მარიონეტების თეატრის წარმოდგენას, სადაც ამერიკის ელჩის თითზე გამობმულ თოჯინას დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია

**დღევანდელობა ხვალ ისტორიად იქცევა და მომავალი თაობები ისეთი გულისტკივილით წაიკითხავენ საქართველოს ამჟამინდელი ყოფის შესახებ, როგორც ჩვენ გვზარავს ეგოიზმით, შურით, მომხვეჭელობით, კარიერიზმით, ღალატით დაავადებული უგუნურების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ჭრილობების გახსენება.**



წარსულში ჩადენილი მუხთლობის ექო ისტორიის გახუნებულ ფურცლებში არ ჩერდება, ცოფიანი ძაღლის ყმუილით გვიტევს და გვაშფოთებს საქართველოს მოსპობისა და ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშების პერსპექტივით.

როცა კაცს საკუთარი ხალხის ერთგულება და სიყვარული არ აქვს, მომხვეჭელის თვალით უყურებს ყველაფერს. ის მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ადამიანს. გაუმაძღრობაშეყრილს, უწინარესად, ადამიანური სპეტაკი გრძნობები უქრება. **იფიქრებდა კი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით გულანთებული ქართველობა, რომ, ლაღი და ბედნიერი ცხოვრების ნაცვლად, გოლგოთისკენ მიემართებოდა, სადაც გაუსაძლისი გაჭირვების, დამცირების, ზნეობრივი დაკნინების, გადაგვარება-გადაჯიშებისა და მოსპობის ურჩხულის ყბა ელოდებოდა?**

დუღდა ეროვნული მოძრაობა, რომელშიც თბილი ადგილის მაძიებელი, ყოველგვარი მუხთლობის მკადრებელი, დემაგოგი, ყბედი და დილეტანტი ავანტიურისტი მიძვრებოდა და მრავალი ანტიეროვნული პარტია იჩეკებოდა. სწორედ ეს ნაგავია, ქართული პოლიტიკური სამზარეულოს ყველა კერძში ჭარბად მოხვედრით რომ წამლავს ყველაფერს. **ინფორმაციის, აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებებზე ბატონობის პირობებში დემაგოგიური ყბედობით ცდილობენ ალგეთის ლეკვებად შობილი, ამაყი ქართველების ცხვრის ფარად გადაქცევას, „სტრატეგიულ პარტნიორად“ წოდებულ ურჩხულს როცა მოესურვება, მაშინ რომ გარეკავს სასაკლაოზე.**

ქართველ ერს სისხლითა და ცრემლით მორწყულ გზაზე, ყველაზე უმძიმესი განსაცდელის ჟამს, განგებამ მხსნელად **დავით აღმაშენებელი** მოუვლინა. სწორედ მან შემოიფერთხა მტაცებელთა ხროვა და საქართველო არნახულად გააძლიერა; დღეს კი უდიერად ექცევიან მის ხსოვნას — თბილისის ცენტრიდან გაძევებულ დავითის ძეგლს, ალბათ, დიღომშიც აღარ გააჩერებენ. თუმცა, დიდგორის ომში გამარჯვების დღის საზეიმოდ აღნიშვნა კი არა, თურქების საამებლად ილღაზის ძეგლი რომ დაუდგან დიდგორში, გასაკვირი არ იქნება.

შეშფოთდნენ, — თურქეთში პრემიერის მიღებისას საქართველოს დროშა როგორ არ გამოფინესო. სად აქვს საქართველოს დროშა?! ტამპლიერების ხუთჯვრიანი დროშა, ჯვაროსნული ლაშქრობების სიმბოლო, ქართული დროშაა?! ცენტრში დიდი და ოთხივე მხარეს ჯვრები რას ნიშნავს? ნაციონალებმა შეიძლება არც იციან, დროშაზე ამდენი ჯვარი რას ნიშნავს, თუ იციან, აფერუმ მათ მუხთლობას, ამ დროშას მუსლიმურ სამყაროს გამომწვევად რომ უფრიალებენ, როგორც ხარს — წითელ ნაჭერს. ამჟამინდელი ხელისუფლებაც იწონებს თავს ევროკავშირისა და ჯვაროსნების დროშების ფრიალით.

ფარეხში შიმშილით აბღავლებულ ცხვარს ტომარაში აჩხავლებულ კატას რომ დაუკიდებს მეცხვარე, ასე გაოცებული შეჰყურებენ ამ ევროატლანტიკური გადაგვარების სიმბოლიკას. ის კი ავიწყდებათ, რომ ქართველი ხალხი ცხვარი არ არის და იმ ტომარაში მათ მოუწევთ აჩხავლება, ვინც ხალხს კი არა, უცხოეთის ინტერესებს ემსახურება ასე ვერაგულად.

გაზულუქებულთა ასეთი საქციელი რატომ უნდა გაგვიკვირდეს, როცა მინისტრის სავარძელში ჩასკუპებულმა ქალბატონმა განაცხადა, ჩემს შვილს სამშობლოს სიყვარულს არ ვასწავლი, თვითონ აირჩიოს თავის საკეთილდღეოდ საცხოვრებელი ქვეყანაო.

ამერიკის ელჩის პარპაში აღარ ჰყოფნით და საქართველოს დაბინძურებას ითხოვენ ამერიკული სამხედრო ბაზებით. თბილისის ახლოს ბიოლოგიური ლაბორატორია ააშენეს და, თუ იქიდან საშინელმა უბედურებამ გამოჟონა, ამერიკას არაფერი დაუშავდება, მის საცეცებში მოფართხალე საქართველოს კი კატასტროფა არ აცდება.

**ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ევროატლანტიკურ „სამოთხეზე“ ქადაგებაა დაშვებული, საწინააღმდეგო აზრის გამოსათქმელად ყველა საინფორმაციო საშუალება დახურულია. თუ რამე ისეთი ითქვა, რაც ქართველთა დაკნინების ევროპულ რეკომენდაციებში არ ჯდება, რუსულ პროპაგანდად ითვლება, რომლის კანონით აკრძალვას ასე გაავებით ითხოვს დასავლური დემოკრატიის სიყალბენაყლაპი ევროატლანტიკური ჭიაღუა. ვინც რამის თქმას გაბედავს, ისე ესხმიან თავს, როგორც ინდაურები თამამად აყივლებულ მამალს.**

თურმე რუსული პროპაგანდა ყოფილა ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის, პენსიონერთა შიმშილით ამოწყვეტის, საბიუჯეტო თანხების მითვისების, უცხოელი გადაკრუხებული მომღერლებისთვის მილიონების ჩუქების, ქართველი მწერლების აბუჩად აგდების, სქესობრივი გაუკუღმართების, პედერასტების აღვირახსნილი პარპაშისა და სამარცხვინო აღლუმის მოწყობის წინააღმდეგ ხმის ამოღება და მართლმადიდებლური რწმენის შესალახავად აყიყინებულთა წინააღმდეგ გაბრძოლება. ან იქნებ ამერიკელებთან სტრატეგიულ პარტნიორობის ბოდვაზე მწარე გაღიმებაა რუსული პროპაგანდა? ან დავით აღმაშენებლის ძეგლის ღირსეულ ადგილზე დაბრუნება და სამამულო ომში დაღუპული ბიჭების ობელისკების ვანდალურად დამაქცევართა პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნა? ან კიდევ — მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის განვითარება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენით? მხოლოდ გარყვნილების პროპაგანდაა დასაშვები? რუსეთის სიძულვილმა და მისი სიმდიდრეების დატაცების სურვილმა **ნაპოლეონსა** და **ჰიტლერს** რაც დამართა, მსოფლიომ იცის. ახლა ევროპელ ლიბერასტებს შეჰყრიათ ყალბი ძლიერების ბაცილა და, დემოკრატიის დაცვის საბაბით, ბოროტად როკავენ რუსეთის საზღვრებთან. ის კი თანდათან მხრებში იმართება და ევროამერიკულ გარყვნილებას ქვეყანაში ცხვირს არ აყოფინებს.

რამდენიც უნდა მოიხვეჭონ, უზნეობა და გარყვნილება აბარტყონ, მილიარდერთა ბოროტი ხრიკები ისე ვერ შეაჩერებს კაცობრიობის სწრაფვას სოციალური კეთილდღეობისკენ, როგორც ბატონყმობის გადავარდნა ვერ შეაჩერა ლუარსაბ თათქარიძის მსგავსთა ლაქლაქმა ბატონყმობის მუდმივად არსებობაზე.

წლები გადის. ნაციონალების ავანტიურის ნაყოფი — ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა — ღრუბელივით იბერება და ისედაც სულშეხუთულ საქართველოს ჩიყვივით ახრჩობს. უცხოტომელებით ივსება ქართველთა ნაფერები კარმიდამო. ერისა და ბერის უპირველესი საზრუნავი, ქართველთა თავიანთ კერაზე დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ძილის წინ ბებოს მიერ მოყოლილ ზღაპარს დაამსგავსეს.

ღირსეულ მამულიშვილთა გულისტკივილად ქცეულა მამა-პაპის კერიდან ძალადობით აყრილი ლტოლვილების მოთქმა, რაც უცხოეთის ლაქია ქართველების დამსახურებაა. **რამდენს წაართვეს ნალოლიავები ცხოვრება, რამდენი ოჯახი მოსპეს, რამდენი ქართველი აქციეს უცხოეთში ცრემლითა და გოდებით ლუკმაპურის მომპოვებლად, ქართული მიწის გაყიდვაზე კი სამარცხვინო გაწევ-გამოწევაა გამართული.**

განა ის, ვინც ქართულ მიწას ყიდის და საქართველოს მოქალაქეობას ურიგებს მათ, ვინც დედაბუდიანად სამუდამოდ მკვიდრდება საქართველოში, სამშობლოს მოღალატე არ არის?! **შაჰ-აბასიც** ცდილობდა საქართველოდან ქართველთა გასახლებასა და უცხოტომელების ჩამოთესლებას. ეს პროცესი საშინელი სისხლისღვრით მიმდინარეობდა — ქართველობა თავდადებით ებრძოდა ბოროტებას და დიდი მსხვერპლის ფასად ასუფთავებდა თავის მიწას შემოჭრილი უწმინდურებისგან.

დღეს მუხთლობა, თვალთმაქცობა, სიცრუე, გარყვნილება და ათასი სიბინძურე სამშობლოს ზრუნვაზე დემაგოგიური ყბედობით ინიღბება. უსმენ მიწის გაყიდვის აუცილებლობას როგორი ლაქლაქით ასაბუთებენ და უცხოეთის ლაქია, ნამუსგარეცხილი მოღალატე წარმოგიდგება თვალწინ. **დღეს საქართველოს წინააღმდეგ შაჰ-აბასის ძალადობრივი აგრესია საჭირო აღარ არის, ამას ერისკაცისნიღბიანი, ლიბერასტი, ევროატლანტიკური რეკომენდაციების გოშიას ერთგულებით შემსრულებელი ქართველთმოძულე კარიერისტები აკეთებენ.** ჩვენი ყოფა ჰგავს მარიონეტების თეატრის წარმოდგენას, სადაც **ამერიკის ელჩის თითზე გამობმული თოჯინას დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია.** დაკნინებულ-დაბეჩავებულები კუდს ვუქიცინებთ ევროპარლამენტს, სტრასბურგის სასამართლოს ხომ შიშით შევყურებთ. ნატოს ველრიჭებით, რომ წევრად მიგვიღოს, ვენეციის კომისიის ნებართვის გარეშე ძროხა საბალახოდ ვერ გაგვყავს, კოლოსავით მომრავლებული არასამთავროების შიშით ხარაბუზას ვერ მოაშორებ მისი კბენით შეწუხებულ სახედარს.

**სასაცილოა, რომ ამ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება ამაყად ამბობს, საქართველო ნატოსკენ მიისწრაფისო. ქართველ ხალხს თუ ჰკითხეს, საით მიისწრაფვის?! ოდესმე დაინტერესებულან, რას ფიქრობს ამ საკითხზე ქართველობა?**

საქართველოს ხელისუფლებად წოდებული თავკაცების რუსეთის გამაღიზიანებელ ყოველ განცხადებაზე ცხინვალიდან მავთულხლართები მოცოცავს. მერე რა, ევროატლანტიკური „თანამეგობრობა“ ხომ საქართველოს ერთიანობას აღიარებს. თუმცა, უნდა იჩქარონ, სანამ საქართველო სულ არ შემოუღობიათ, მისი მიწების გაყიდვა და უცხოელებით დასახლება მოასწრონ.

ისე, ქართველები ყველაფერში ორიგინალურები ვართ: გვყავს ვეტოქექია პრეზიდენტი, არაფერი რომ არ ეკითხება, არც არაფერს აკეთებს და თავის მუშაობაზე ანგარიშს პარლამენტს აბარებს; გვყავს მთავრობა და მილიონერებით გაძეძგილი პარლამენტი; გვყავს სახალხო დამცველად წოდებული, რომელიც მხოლოდ ეროვნულ თუ სექსუალურ უმცირესობებს იცავს. გაღმა ზის ქვეყნის ხელისუფლების პატრონი — ამერიკის ელჩი, გამოღმა კი მილიარდერი **ბიძინა ივანიშვილი** ასწლოვან ხეებს დაათრევს. სცენაზე მხოლოდ მარიონეტი ხელისუფლებაა, რომლის წევრებსაც ევროატლანტიკური გემოვნებით არჩევენ, რაც მათ ქართველთა სასიცოცხლო ინტერესებთან შენიღბული შერკინებით დაიმსახურეს. საქართველოს დასავლელ “მეგობრებს” მხოლოდ ერთმა გაუცრუათ იმედი — აწ უკვე ყოფილმა პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა,** რომელმაც ჯერ ამერიკელთა გამოზრდილი მოხსნა თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, შემდეგ კი საჯაროდ განაცხადა, ოჯახი მხოლოდ მამაკაცისა და ქალის ერთობააო; ამით ყველა ევროამერიკული სიბინძურის დაკანონება გამორიცხა ამერიკელთა მიერ მსოფლიოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების მოთხოვნის პირობებში.

პრემიერმინისტრის მუშაობა წარმატებულად რომ შეფასდა, გაბრაზდა მარიონეტთა თეატრის მთავარი რეჟისორი და ღარიბაშვილს გადადგომაზე განცხადება დააწერინეს. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საქართველოს ხელისუფლებად წოდებულ ქოთანზე ამერიკელი მექოთნის მიერ ყურის წალმა-უკუღმა შებმის შესაძლებლობა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა წარსულის ყველაზე მძიმე განსაცდელს გაახუნებს. დროის ბორბალი ქართველთა სასიკეთოდ არ ბრუნავს. არავინ იცის, მეორედ მოგვივლენს თუ არა განგება დავით აღმაშენებლის მსგავს მხსნელს. ხელები გაატოკე და გეშველებაო, — ბრძანა უფალმა. ქართველ ხალხს კი უფლის ამ რჩევის ერთგულება ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც უნდა ჰქონდეს.

**გივი სოშხიშვილი,**
მწერალი

უცხოური პრესა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც უფრთხიან შრომითი და ჩვეულებრივი მიგრანტების მოძალებას უკრაინიდან, სერიოზულ წინაღობებს უქმნიან ევროპაში ჩასვლის მსურველებს.

**Die Presse:**

## მობრძანდით ევროპაში... ოღონდ — თეორიულად



**უკრაინელებს უკვე მისცეს უფლება, გაემგზავრონ ევროპაში, მაგრამ ამ სიკეთით უმეტესობა ვერ ისარგებლებს უსახსრობის გამო, — წერს ავსტრიული Die Presse.**

ამ გაზეთის კორესპონდენტი უკრაინაში ესაუბრა რამდენიმე ადგილობრივ მოქალაქეს და მათთან ერთად განიხილა შექმნილი ვითარება.

58 წლის კიეველი მასწავლებლის — **ოლგა სტეცენკოს** თქმით, როცა **პეტრე პოროშენკომ** გამოაცხადა ვიზების გაუქმების ამბავი, ამ ქალბატონმა, როგორც ბევრმა სხვა უკრაინელმა, უცებვე გადაწყვიტა, წასულიყო ბიომეტრიული პასპორტების გამცემ დაწესებულებაში, ჩადგა უგრძეს რიგში და ერთი თვის შემდეგ მიიღო სასურველი დოკუმენტი. პასპორტი 31 ევრო დაუჯდა, რაც უკრაინაში მასწავლებლის ხელფასის მეოთხედია.

გაიხარა: „ბედნიერი და კმაყოფილი ვარ იმით, რომ ეს ეტაპი უკან მოვიტოვე. ახლა უკვე შემიძლია მოვიარო მთელი ევროპა — თეორიულად", — განაცხადა მასწავლებელმა.

„პრაქტიკაში როგორღაა? პრაქტიკულად **უკრაინელების უმეტესობა ვერ შეძლებს ევროპაში ხანგრძლივ მოგზაურობას, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ცხოვრება იაფი არ არის"**, — წერს Die Presse.

გამოცემა აღნიშნავს, რომ **ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც უფრთხიან შრომითი და ჩვეულებრივი მიგრანტების მოძალებას უკრაინიდან, სერიოზულ წინაღობებს უქმნიან ევროპაში ჩასვლის მსურველებს. რუმინეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი მოითხოვს, საზღვარზე მისულმა ვიზიტორებმა დაადასტურონ, რომ აქვთ საჭირო თანხა, რაც ყოველდღიურად 50 ევროს დახარჯვის შესაძლებლობას გულისხმობს.** „ავსტრიას არ დაუდგენია კონკრეტული ტარიფები, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე განიხილავს შეშვება-არშეშვების საკითხს", — აუხსნეს Die Presse-ს კიევში, ავსტრიის საელჩოში.

ძალაგამოლეული კიევის ხელისუფლებისთვის უვიზო რეჟიმი ისედაც მცირე წარმატებულ ინიციატივებს შორის ერთ-ერთია. მოლაპარაკება ამ რეჟიმის შემოღებაზე ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. კიევსა და უკრაინის სხვა ქალაქებში, უხვადაა გამოფენილი პლაკატები, მათ შორის, პოკროვსკოეშიც კი, რომელიც დონბასში მდებარეობს.

ამ ქალაქში ცხოვრობს 29 წლის **ნიკოლაი**, რომელიც დღისით ტელეფონების შეკეთებითაა დაკავებული, საღამოობით კი — რეპით და ოცნებობს, დასავლეთში ჩასვლაზე. მაგრამ შევბულება ოცნებად ექცა, რადგან ოჯახის ახალგაზრდა მამა იძულებულია, უპირველეს ყოვლისა, შემოსავალზე იზრუნოს. იგი ვალდებულია, გადაიხადოს ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის გადასახადები, იმ ტარიფების მიხედვით, რომლებიც საერთაშორისო კრედიტორებმა უკრაინას დაუწესეს. ასეთ ვითარებაში უნდა ვიფიქრო არა მოგზაურობაზე, არამედ სიცოცხლის გადარჩენაზე, — აუხსნა ჟურნალისტს ნიკოლაიმ.

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების დოკუმენტს ხელი მოაწერეს 17 მაისს, 11 ივნისს იგი ძალაში შევიდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სამუშაოდ მიღების უფლებას არ იძლევა. ზუსტად ისეა, როგორც საქართველოს შემთხვევაში.



**Contra Magazin:**

## გერმანელები აღარ მიიჩნევენ, რომ აშშ რუსეთზე უპირატესია

**ისტორიაში პირველად ხდება, რომ ასე ცოტა გერმანელი ენდობა შტატებს, — წერს Contra Magazin-ი. Deutschlandtrend-ის გამოკითხვის თანახმად, გერმანიაში მცხოვრებთა მხოლოდ 21 პროცენტი მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი ნდობის ღირსი პარტნიორია. ზუსტად ასეთივე დამოკიდებულებაა რუსეთის მიმართ (21 პროცენტი), რაც, აპრილთან შედარებით, ერთი პროცენტითაა გაზრდილი, — აღნიშნავს გამოცემა.**

გერმანულენოვანი გამოცემა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მცხოვრებთა მხოლოდ 5 პროცენტია კმაყოფილი აშშ-ის პრეზიდენტის — **დონალდ ტრამპის** საქმიანობით. ამასთანავე, ის მკითხველების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანელების უმეტესობა საფრანგეთს ენდობა. ასეთებმა 94 პროცენტს მიაღწიეს. ყველაზე არასაიმედო პარტნიორად თურქეთი დაასახელეს (მხოლოდ 3-პროცენტიანი ნდობით).

**РИА Новости:**

## ლესოტოს პრემიერის ცოლი ქმრის ინაუგურაციის შემდეგ მოკლეს



**ლიპოლელო ტაბანე ტომა ქმრის ინაუგურაციიდან რამდენიმე საათში მოკლეს.**

პოლიციის ცნობით, ქალბატონი ქვეყნის დედაქალაქ მასერუს მახლობლად იმყოფებოდა. იგი შინ მეგობარ ქალთან ერთად ბრუნდებოდა, როცა უცნობმა თავდამსხმელმა ორივე ქალს ესროლა. ლიპოლელო ადგილზევე დაიღუპა, მისი მეგობარი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თავდამსხმელის მოტივები უცნობია, მიმდინარეობს გამოძიება.

**ტომ ტაბანემ** და მისმა ცოლმა განქორწინებაზე განცხადება 2012 წელს შეიტანეს და მას შემდეგ ერთად არ უცხოვრიათ. 2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ლესოტო არასტაბილური ქვეყანა გახდა. მიმდინარე წლის მარტში ყოფილ პრემიერ **პაკალიტე მოსისილის** უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს, გასულ კვირაში კი ბოლო 5 წლის განმავლობაში მესამე არჩევნები გაიმართა.

**The Sun:**

## რუსები ამერიკელ მფრინავებს აშინებენ



**ამერიკული ბომბდამშენის მფრინავმა გადაიღო, როგორ მიუახლოვდა რუსული Су-27 მის თვითმფრინავს ბალტიის ზღვის თავზე. ვიდეორგოლზე ჩანს, რომ რუსული გამანადგურებელი ამერიკელს 30 მეტრზე მიუახლოვდა და რამდენიმე წამის შემდეგ მანევრი განახორციელა.**

პენტაგონის წარმომადგენელმა **ჯეფ დევისმა** 9 ივნისს განაცხადა მეორე ფაქტის შესახებ: Су-27-მა იგივე მანევრი განახორციელა ამერიკული KC-135R-ის მიმართ, რომელიც სამ ბომბდამშენს აცილებდა.

ინციდენტი მოხდა Baltops-ის სამხედრო-საზღვაო სწავლების დროს, რომელიც პირველი ივნისიდან 18 ივნისამდე მიმდინარეობდა, მონაწილეობდა 14 ქვეყანა, მათ შორის — ნიდერლანდის სამეფო, ბელგია, დანია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, გერმანია, პოლონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და აშშ.

## ხანძრის სავალალო შედეგები



**გასული კვირის მონაცემებით, ლონდონში 27-სართულიან სახლში გაჩენილ ხანძარს 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ათობით ადამიანი დაკარგულად ითვლება, დაშავდა არანაკლებ 70 ადამიანისა, — იუწყება BBC, რომელიც იმოწმებს ლონდონის სახანძრო კომისრის განცხადებას.**

ლონდონის ცენტრში წამომართულ Grenfell Tower-ში ხანძარი 14 ივნისის ღამით გაჩნდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ხანძარს ებრძოდა 200 მეხანძრე, გამოიყენეს 40 ერთეული სპეცტექნიკა, მობილიზებული იყო 20-ზე მეტი სასწრაფო დახმარების ბრიგადა. მედიის მონაცემებით, სახლში დაბლოკილი იყვნენ ადამიანები, რომლებიც შველას ითხოვდნენ, მაგრამ ოფიციალურად ეს ცნობა არ დასტურდება.

**Le Parisien:**

## ანა კარენინა ქალდატანებით

**საფრანგეთში კაცმა ცოლი ლიანდაგს „სკოჩით" მიაბა. ქალის დაღუპვის შემდეგ კი თავი მოიკლა.**

ეს მოხდა ერ და ლუარის დეპარტამენტში 12 ივნისს, ღამით, გამჟღავნდა კი მხოლოდ ახლა.

პოლიციელებმა აღმოაჩინეს ქალის სხეულის ფრაგმენტები. იქვე მამაკაცის გვამიც იპოვეს. ლიანდაგთან მეუღლეების მანქანა იდგა. დადგინდა დაღუპულების ვინაობა: ისინი იყვნენ 34 წლის **ემილი** და 37 წლის **გიიომი,** ორი წლის წინათ დაქორწინებული წყვილი. ჰყავდათ ერთი საერთო შვილი და სამი — სხვადასხვა ქორწინებიდან.

გამოცემა იტყობინება, რომ კაცი სამი წლის განმავლობაში უმუშევარი იყო და დეპრესიას განიცდიდა. 12 ივნისს დაურეკა ნათესავებს და სთხოვა, მიეხედათ ბავშვებისთვის.

გამოძიება მკვლელობის მოტივებს ადგენს.






**რუსეთის პრეზიდენტის აზრით, სტალინის ზედმეტი დემონიზაცია საბჭოთა კავშირისა და რუსეთის წინააღმდეგ შეტევის ერთ-ერთი გზა და საშუალებაა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინი — როგორიც არის

**დღეს ჩვენს მკითხველებს კვლავ შევთავაზებთ ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, სამგზის ოსკაროსანის — ოლივერ სტოუნის მიერ რუსეთის პრეზიდენტზე გადაღებული ოთხსერიანი ფილმის ფრაგმენტულ მიმოხილვას.**
**უცხოური პრესის პუბლიკაციებიდან ამოკრეფილი რამდენიმე შტრიხი ახალი, ზოგჯერ მოულოდნელი კუთხით წარმოაჩენს ვლადიმერ პუტინს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენას მასზე.**

რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობის შესახებ საუბრისას პუტინმა სტოუნს განუცხადა, რომ იგი კარგი თვალით უყურებს **დონალდ ტრამპს** იმიტომ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მზადაა, მოაგვაროს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, სიმპათიურად ვიყავით განწყობილი ბატონ ტრამპის მიმართ და ახლაც ამას ვამჟღავნებთ, იმიტომ, რომ მან საჯაროდ განაცხადა თავისი მზადყოფნისა და სურვილის შესახებ, აღადგინოს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა. როცა სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ცდილობდნენ, ჩემთვის დაესვათ „ჩამჭრელი“ შეკითხვები, მათ ყოველთვის ასე ვუპასუხებდი: თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს? იგი (ტრამპი) ლაპარაკობს ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე, ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლაზე, განა ეს ცუდია?“

პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ ახლა თვალი უნდა მივადევნოთ, რეალურად როგორ განვითარდება ურთიერთობა აშშ-სა და რუსეთს შორის.

შეკითხვები იყო მწვავე და პირდაპირი, პასუხებიც გულახდილი — არაფერი დაფარული, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ყირიმისა და უკრაინის შესახებ.

**პუტინს არ დაუმალავს, რომ „მას შემდეგ, რაც ყირიმი რუსეთის სრულფასოვანი ნაწილი გახდა, ჩვენი დამოკიდებულება ამ ტერიტორიის მიმართ კარდინალურად შეიცვალა. თუ დავინახავთ, რომ ჩვენს ტერიტორიას საფრთხე ემუქრება (ყირიმი კი ჩვენი ტერიტორიაა), როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, დავიცავთ მას ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობით“.**

შეკითხვას — ხომ არ ჰგავს ყირიმის გარშემო შექმნილი ვითარება 60-იანი წლების კარიბის კრიზისს იმით, რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსანი „დონალდ კუკი“ ყირიმთან ახლოს იმყოფება, პუტინმა უპასუხა, რომ იგი არ შეადარებდა ერთმანეთს ამ ორ სიტუაციას იმიტომ, „რომ იმხანად მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე იდგა, აქ კი, მადლობა ღმერთს, საქმე ამ ზომამდე არ მისულა“. რუსეთის პრეზიდენტმა შეახსენა სტოუნს, რომ მოსკოვმა ყირიმში ახალი თავდაცვითი კომპლექსები — „ბასტიონი“ — განალაგა და ამ სარაკეტო სისტემების წინაშე ისეთი ხომალდი, როგორიც „კუკია“, უძლურია.

სტოუნის რეპლიკას, რომ იგი ვერ ხედავს რაიმე მუქარას „უკრაინისა და ნატოს დაახლოებაში“, რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა: „მე კი ვხედავ“.

„ეს მუქარა გამოიხატება იმაში, რომ, **როგორც კი ნატო დამკვიდრდება რომელიმე ქვეყანაში, ამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ქვეყნის მოსახლეობა გავლენას ვერ ახდენს ნატოს გადაწყვეტილებებზე, მათ შორის — სამხედრო ინფრასტრუქტურის, შეიარაღების ძალიან მგრძნობიარე სისტემების განლაგების თაობაზე, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა“.** როგორც ცნობილია, 8 ივნისს უკრაინის რადამ მიიღო კანონი №6470 „უკრაინის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ნატოში გაერთიანებას აღიარებს.

პუტინი რეგულარულად ეკონტაქტებოდა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** უკრაინის აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების თაობაზე. შეკითხვას, ახერხებდნენ თუ არა შეთანხმებას, რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა: „არა“, მაგრამ ობამასთან საუბარს ყოველთვის საქმიანი ხასიათი ჰქონდა.

**„ჩვენ განსხვავებულად ვაფასებდით უკრაინის კრიზისსა და მის მიმდინარეობას. დიალოგს საქმიანი ხასიათი ჰქონდა. იყო დაინტერესებული დიალოგი და არა კონფრონტაციული“.**

პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს „უკრაინასთან ათასობით ძაფი აკავშირებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, უკრაინელები და რუსები ახლო ნათესავები არიან. ეს პრაქტიკულად ერთი და იგივე ხალხია.“

ამასთანავე, მან გაიხსენა, რომ ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირს მეთაურობდნენ უკრაინიდან გამოსული პოლიტიკოსები.

ამავე ინტერვიუში მან თქვა, რომ **აშშ ეწინააღმდეგება უკრაინისა და რუსეთის დაახლოებას: „მავანს მიაჩნია, რომ ეს (დაახლოება) არის რუსეთის ძლიერების წყარო და საჭიროა, რადაც უნდა დაუჯდეთ, ხელი შეუშალონ რუსეთისა და უკრაინის ნებისმიერ დაახლოებას“.**

დასავლეთის პარტნიორები, მათ შორის აშშ, სთხოვდნენ პუტინს, გავლენა მოეხდინა კიევის მაიდნის ამბოხის დროს უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩზე**, რათა მას არ გამოეყენებინა შეიარაღებული ძალები 2014 წელს მაიდანზე შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ.


საუბარი კრემლში

**პუტინმა დააზუსტა, რომ ტერორისტული დაჯგუფება «ისლამური სახელმწიფოს» მხარეს მებრძოლი «ბოევიკების» საერთო რაოდენობა 80 ათასს აღწევს. ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. «მათგან 30 ათასი დაქირავებული უცხოელია, რომლებიც 80 ქვეყნიდან ჩავიდნენ, მათ შორის, რუსეთიდანაც»**


ოლივერ სტოუნი და ვლადიმერ პუტინი

**„გვითხრეს: ძალიან გთხოვთ, არ დაუშვათ იანუკოვიჩის მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება, ჩვენ კი გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ოპოზიციამ მოედნები და ადმინისტრაციული შენობები გაათავისუფლოს“.**

**პუტინმა ეს თხოვნა შეაფასა, როგორც „კარგი წინადადება“, პარტნიორებმა კი დაპირება არ შეასრულეს. უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს.**

ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რეჟისორისა და რუსეთის პრეზიდენტის საუბრების ერთ-ერთი ცენტრალური თემა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი, კოორდინირებული ბრძოლა იყო. პუტინმა დააზუსტა, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს მებრძოლი „ბოევიკების“ საერთო რაოდენობა 80 ათასს აღწევს. ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. „მათგან 30 ათასი დაქირავებული უცხოელია, რომლებიც 80 ქვეყნიდან ჩავიდნენ, მათ შორის, რუსეთიდანაც“. რუსეთის ლიდერს ადრეც აღუნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ტერორისტული დაჯგუფებების მიზანი არის ვითარების დესტაბილიზაცია ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში. მაშასადამე, ცხადია, რომ რუსეთი უკან არ დაიხევს ამ ჭირის ამოსაძირკვად.

მსოფლიოში დღეს არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე საუბარში რუსეთის პრეზიდენტის პასუხებში აშკარად გამოიკვეთა დიპლომატიური მიდგომის, მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და კონსესუსის მიღწევის პრიორიტეტი.

**დაბოლოს ერთი თემა, რომელიც, ალბათ, ქართველ მკითხველს განსაკუთრებით დააინტერესებს.**

სტოუნის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში პუტინმა თქვა, რომ მას რთული დამოკიდებულება აქვს საბჭოთა ლიდერის — **იოსებ სტალინის** მოღვაწეობის მიმართ. ბელადს მან „რთული ფიგურა“ უწოდა. აქვე ვთქვათ, რომ სტალინის ფენომენისადმი თავისი დამოკიდებულება ასე დაწვრილებით რუსეთის ლიდერს არასოდეს გაუსაჯაროებია.

სტოუნი დაინტერესდა, როგორ შეაფასებდა პუტინი ფაშიზმზე სტალინის გამარჯვებას.

„ვფიქრობ, ძალიან ეშმაკი ადამიანი ხართ“, — მიუგო რუსეთის ლიდერმა.

პუტინმა აღნიშნა, რომ სტალინი „თავისი ეპოქის პროდუქტი“ იყო. მის შესახებ შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს — დემონიზაციიდან ნაციზმთან ბრძოლის საქმეში მის დამსახურებამდე.

„რაც შეეხება დემონიზაციას, ინგლისის ისტორიაში იყო ისეთი მოღვაწე, როგორიცაა **კრომველი.** იგი სისხლისმსმელი ადამიანი იყო. მოვიდა რევოლუციური გარდაქმნების ტალღაზე, გადაიქცა დიქტატორად და ტირანად. მისი ძეგლები დიდ ბრიტანეთში დღემდე ყველგან დგას. ნაპოლეონს საერთოდ აღმერთებენ. რა გააკეთა მან? ხელისუფლებაში რევოლუციის ტალღაზე ამხედრებული მივიდა და არა მხოლოდ აღადგინა მონარქია, არამედ თავი იმპერატორად გამოაცხადა და საფრანგეთი ეროვნულ კატასტროფამდე, სრულ დამარცხებამდე მიიყვანა. ასეთი პერსონაჟები, ასეთი სიტუაციები მსოფლიო ისტორიაში საკმარისზე მეტია“, — აღნიშნა მან.

**რუსეთის პრეზიდენტის აზრით, სტალინის ზედმეტი დემონიზაცია საბჭოთა კავშირისა და რუსეთის წინააღმდეგ შეტევის ერთ-ერთი გზა და საშუალებაა.**

დღევანდელ რუსეთს სტალინიზმის რაღაც ნიშნები რომ შემორჩა, პუტინის აზრით, არაფერს ნიშნავს, რადგან „ჩვენ, ყველას, რაღაც ნიშნები გვეტყობა. რა მოხდა მერე?!“ — თქვან მან და დასძინა, რომ რუსეთი კაპიტალურად არის შეცვლილი.

„რა თქმა უნდა, ზოგიერთების შეგნებაში რაღაც რჩება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ის საშინელებანი, რომლებიც კონცენტრაციულ ბანაკებთან არის დაკავშირებული“, — აღნიშნა პუტინმა.

რუსეთის ლიდერის თქმით, ისეთი პირწავარდნილი ანტისაბჭოელიც კი, როგორიც **უინსტონ ჩერჩილი** გახლდათ, სტალინის მიმართ „მოქნილ“ პოლიტიკას განახორციელებდა, რადგან მოქნილი პოლიტიკოსი იყო, „თუმცა, ვფიქრობ, გულის სიღრმეში სტალინისადმი მისი დამოკიდებულება არასოდეს შეცვლილა“.

„მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, იგი საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის მხურვალე მომხრე იყო, სტალინს კი დიად სარდლად და რევოლუციონერად მოიხსენიებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ცნობილია, სწორედ ჩერჩილი იყო „ცივი ომის“ ინიციატორი. ხოლო, როცა საბჭოთა კავშირმა პირველი ატომური ბომბი გამოსცადა, უინსტონ ჩერჩილმა და არა სხვა ვინმემ განაცხადა ორი სისტემის თანაარსებობის აუცილებლობის შესახებ“, — დააზუსტა მან.

ინტერვიუს ჩამორთმევის დროს სტოუნმა პუტინს ჰკითხა, იყვნენ თუ არა მისი მშობლები სტალინით აღფრთოვანებულები.

„რა თქმა უნდა, იყვნენ. ვფიქრობ, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეების უმრავლესობა აღფრთოვანებული იყო სტალინით“, — უპასუხა ვლადიმირ პუტინმა.

**არმაზ სანებლიძე**

**ცნობისთვის: „პუტინთან ინტერვიუს“ გადაღება ორ წელიწადს გრძელდებოდა. რეჟისორი რუსეთში ოთხჯერ ჩავიდა. პუტინს, საერთო ჯამში, 20-ჯერ შეხვდა. საეთეროდ დამონტაჟებული მასალის ქრონომეტრაჟი 4 საათია.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო სალეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო!**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

**ილია ჭავჭავაძის „უმეცრობის ფართი-ფურთი“ გაგვახსენებს ბევრ ადამიანს, რომლებსაც დღეს ქვეყნის ბედ-იღბალი აბარიათ და მათი უმეცრებითა და უჭკუობით ქვეყანა განვითარებისა და პროგრესის გზას ვერა და ვერ დაადგა, მოსახლეობა კვლავაც გაუსაძლის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებშია, ხალხს სული კბილით უჭირავს და ხსნასა და საშველს არსაიდან ელოდება.**

## «უმეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია»

## «უმეცრობის ფართი-ფურთი»

**უმეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია.**

**ჭკუიანი უცოდინარი** ყოველთვის თავისს ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონის და ამნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

**ჭკუიანი უცოდინარი** თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხის, თითონ ზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.

სულ სხვაა **უჭკუო უმეცარი**, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. **უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია.** მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო სალეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. **რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო!** ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს-კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის.

ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბატონმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულა თავის თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებისა და ნებისაებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა.

აქ გამოსაკიდებელი მარტო მისი ქადილი და თანხებია. ქვეყნის აშენებას გვიქადის ბატონი ჟორდანია და მისი აიარები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თვითონ მამალსავით ხეზე შემომჯდარა და იძახის, მე აქ ვიყივლებ და თქვენ მანდ ქვემოთ იყეფეთ და სოფელი აშენდებაო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბატონი ჟორდანია და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუღარ დამიდებენ, არ დავემდურები. **ბაქიაობა, კვეხნა, თავის თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავის თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია რა.** ამისი დრო როცა იქნება მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბატონი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშის ცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისმხრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა თუ ჭკუა.

**ბაქიაობა, კვეხნა, თავის თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავის თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია რა**

# უკვდავი სახელები: რუსუდან ნიკოლაძე

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, რომელშიც თავიდან 369 სტუდენტს 18 პროფესორ-მასწავლებელი ასწავლიდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიაში არსებულმა უნივერსიტეტებმა. პეტერბურგის, მოსკოვის, ყაზანის, ტომსკის, კიევის, ოდესის, ხარკოვისა და იურევის (ტარტუს) უმაღლეს სასწავლებლებში განსწავლული ქართველობა, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები გახდნენ. ერთ-ერთი მათგანია პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე, ქართველი ქიმიკოსი, რუსეთის იმპერიაში პირველი ქალი, რომელმაც „საუნივერსიტეტო ნიშანი“ მიიღო.**



## პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც «საუნივერსიტეტო ნიშანი» მიიღო

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე მხატვარ დავით გურამიშვილის დის — ოლღა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქალიშვილი იყო. მთელი მისი ცხოვრება და უმწიკვლო მოღვაწეობა 70 წლის განმავლობაში უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის მრავალათასიანი კადრების მომზადებასა და აღზრდასთან.

რუსუდან ნიკოლაძემ მეტად საინტერესო სკოლა გაიარა, ჯერ თავის სახლში, მერე კი რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში ქალისთვის უმაღლესი განათლების მიღება და ისიც უნივერსიტეტის დამთავრება ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. რუსუდანი კი 1896-1898 წლებში სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, შემდეგ (1898-1904 წწ.) — თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა. 1909 წელს პეტროგრადის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1913 წელს — პეტროგრადის უნივერსიტეტი ფიზიკა-ქიმიის განხრით და იქვე დატოვებს სამეცნიერო მუშაობისთვის.

**რუსუდან ნიკოლაძე პირველი ქალი იყო რუსეთის იმპერიაში, რომელმაც 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა მამაკაცებისთვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკერდე ნიშანი.**

მშობლების წყალობით რუსუდანი ბავშვობიდანვე ეზიარა ევროპულ კულტურას, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მან შემოიარა ევროპის დიდი ქალაქები — პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ჟენევა, ვენა და სხვ. შინ შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, აგრეთვე, იტალიური და ჩეხური ენები.

რუსუდანი პარიზში ყოველ ჩასვლაზე სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა მარიამ კიურის, მასტანისა და ლეშატელიეს ლექციებს, ბერლინში თავის ძმა გიორგისთან ერთად — ზომბარტისა და სხვა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს. შვეიცარიაში ხვდებოდა და მეგობრობდა ცნობილ ფილოსოფოს ციგლერთან და ლაპშინთან, ჟენევის უნივერსიტეტში ისმენდა ქიმიკოს გრებესა და კერმანის ლექციებს.

რუსუდან ნიკოლაძის ბიოგრაფია მამამისის, ნიკო ნიკოლაძის, ბიოგრაფიის გაგრძელებაა. ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგაც (1928 წ.) მის სახლში რუსუდანის წყალობით არ ჩამქრალა დიდი შემოქმედებითი ძიება, კამათი და აზრთა ჭიდილი. აქ მსჯელობდნენ ძველსა და ახალ ლიტერატურაზე, თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებზე, ისმოდა გარდასულ დროთა საინტერესო მოგონებები. ისევ გრძელდებოდა ნიკოს მიერ დაწყებული მეგობრობის დიდი ტრადიციები.

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საგანმანათლებლო მუშაობაში — ჯერ დიდი ჯიხაიშის სკოლებში (1921 წლამდე), შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთქმული ქიმიკოსის — პეტრ მელიქიშვილის ლაბორატორიაში და ითვლებოდა მის ნიჭიერ მოწაფედ.

**მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძემ სოფელ დიდ ჯიხაიშში მოაწყო საცდელი მეურნეობა, გაიყვანა გზები, სარწყავი არხები, დააარსა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო და სხვა კულტურული დაწესებულებანი, ჯიხაიში გახდა დასავლეთ საქართველოს კულტურის ცენტრი, სადაც ჩამოდიოდნენ დიდი ქართველი მწერლები.** ჯიხაიშში მოწყობილ ნიკოს საცდელ მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და რომში, ჟენევასა და მადრიდში, სადაც ნიკო ნიკოლაძეს მრავალი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. **ნიკომ, აგრეთვე, პირველად მთელ საქართველოში სოფელ დიდ ჯიხაიშში გიმნაზია გახსნა, სადაც მოიწვია საუკეთესო მასწავლებლები.**

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე პეტერბურგიდან დიდ ჯიხაიშში ჩამოვიდა თავის მამასთან და იქ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

1921 წლიდან რუსუდან ნიკოლაძე განათლების კომისარიატში იწყებს მუშაობას და მთელი ენერგიით ხელმძღვანელობს დაწყებითი შრომის სკოლებისა და საბავშვო ბაღების მუშაობას. ის კომისარიატში ეწევა დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობა,. მუშაობს საბავშვო ბაღებისა და შრომის სკოლების შესაფერისი სახელმძღვანელოების შედგენისთვის.

1933-1974 წლებში რუსუდან ნიკოლაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდა, იყო ამ კათედრის გამგე. მუშაობდა არაორგანული ქიმიის საკითხებზე. ავტორია მრავალი სამეცნიერო, მეთოდური და მემუარული ნაშრომისა. 1970 წელს დ. გვარამაძესთან ერთად შეადგინა ქიმიის ტერმინოლოგია.

რუსუდან ნიკოლაძე გარდაიცვალა 1981 წელს, 96 წლისა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**მომზადდა ალექსანდრე სიგუას ნარკვევის „მეცნიერი და მოქალაქე“ (1975წ.) მიხედვით**

**75 წლის ერეკლემ ბაირაღი აიტაცა, იშიშვლა ხმალი და მომხდური მტრის რაზმების შუაგულში შევარდა. მას შვილიშვილი სოლომონ მეორეც მიჰყვა. მეფეების თავგანწირვით აღფრთოვანებული ქართველები ლომებად იქცნენ და საღამოსთვის მრავალრიცხოვან მტერს დიდი დანაკარგით უკან დაახევინეს.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მკითხველს შევახსენებთ კრწანისის ბრძოლას, უსასტიკესს გადარჩენისთვის ბრძოლის გზაზე; ბრძოლას, რომელიც, ქართველთა არნახული თავგანწირვის მიუხედავად, მარცხით დამთავრდა, რადგან საქართველო მარტო აღმოჩნდა იმხანად გაძლიერებული ირანის პირისპირ, რომელსაც თურქეთიც აქეზებდა. რუსეთმა კი, რომელიც ტრაქტატის პირობების მიხედვით უნდა დაგვხმარებოდა, არაფერი მოიმოქმედა. გავიდა საუკუნეები, ყველას, ვინც „სრულად ქართლის მტერნი იყვნენ“ და „ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი“, ყველაფერი შევუნდეთ: თბილისის გადაწვა, მოსახლეობის ამოწყვეტა, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ცოცხლად დაწვა, სიწმინდეების განადგურება... სტრატეგიულ და ისტორიულ მეგობრებადაც კი მოვნათლეთ, ფართოდ გავუღეთ ქვეყნის კარი და, რასაც ადრე ცეცხლითა და მახვილით ართმევდა ჩვენს წინაპრებს, ჩვენ საკუთარი ხელით სინით მივართვით — დედაქალაქის შუაგულში ბორდელები გავახსნევინეთ, ბათუმში მართლმადიდებელი ეკლესიის ზარების ხმა მოლას რუპორით ლოცვით გადავაფარვინეთ... მაგრამ რუსეთი, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ერის აღგვას პირისაგან მიწისა ხელი შეუშალა, დაუძინებელ მტრად მოვნათლეთ, ხოლო ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება — ერის მოღალატედ და რუსეთუმედ. არადა, ერის მოღალატე სწორედ ისინი არიან, ვინც შთამომავლობისთვის თვალში ნაცრის შეყრას და ისტორიული სიმართლის დამახინჯებას ცდილობს.**

# კრწანისის ბრძოლა



კრწანისის ბრძოლა, სევერიან მაისაშვილი

**სპარსელებმა თბილისი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს, ათასობით ადამიანი ტყვედ წაასხეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისგან დაიღუპა. ქართლის სოფლებს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ. კრწანისის ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს**

ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ურთიერთობა 1790 წლიდან კიდევ უფრო გართულდა. აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე II-ს მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა. აქეთკენ აქეზებდა ირანის მმართველს თურქეთიც. რუსეთმა საქართველოს დახმარების ხელი არ გამოუწოდა. აღა მაჰმად ხანმა 1795 წლის ზაფხულში ჯარების შეკრება დაამთავრა და სექტემბრის დასაწყისში 35-ათასიანი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. ერეკლემ კი, ნავარაუდევი 56 000 მებრძოლის ნაცვლად, ომის დასაწყისისთვის მხოლოდ 5 000 მოლაშქრეს მოუყარა თავი, რომელთაგან 3 000 იმერეთის სამეფოდან იყო, მათ იმერეთის მეფე სოლომონ II სარდლობდა.

1795 წლის 8—11 სექტემბერს ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის კრწანისის ველზე ბრძოლა გაიმართა. კრწანისის ბრძოლამ ძალიან დააზიანა აღმოსავლეთი საქართველო.

ქართველთა სარდლობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა მისადგომების რელიეფი და მტერი იძულებული შეიქნა, ებრძოლა ისეთ პირობებში, რომ ვერ მოეხერხებინა ჭარბი ძალების გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა. ქართველებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს, ასევე, თავდაცვითი ზღუდეებისა და პოზიციების შესაქმნელად.

9 სექტემბერს, დილით, ქართველთა ნაწილების დასაზვერად და ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოსატყუებლად ირანელთა ავანგარდი სოღანლუღიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე. ქართველთა მოწინავე რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა და მოულოდნელი შეტევით უკუაქცია.

10 სექტემბერს სპარსელებმა ჩათვალეს, რომ სოღანლუღის მხრიდან ვიწრო საქარავნე გზით წასვლა თბილისისკენ რთული იქნებოდა და ამიტომ, სომეხი მელიქების რჩევით, გადაწყვიტეს თელეთიდან შინდის-ტაბახმელისკენ ასვლა, იქიდან კი კრწანისის ველზე დაშვება, საიდანაც სეიდაბადის გავლით იოლად მიადგებოდნენ თბილისს. მტრის რაზმმა (3-4 ათასი კაცი) მძლავრად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელასა და შინდისს შორის.

ერეკლეს ბრძანებით, 10 სექტემბერს ბრძოლას **დავით ბატონიშვილი** სარდლობდა. მისი რაზმი და არტილერია თაბორის ქედის სამხრეთ ფერდობებთან, შინდისის მიდამოებში, განლაგდა და მიზანში თელეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობები ამოიღო, რადგან მტერი აქედან უნდა დაშვებულიყო კრწანისის ველისაკენ. კრწანისის ველის მიდამოებში (დაახლოებით იქ, სადაც ახლა ე.წ. სამთავრობო აგარაკები, ოფთალმოლოგიური კლინიკა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებია), მოხერხებულად განლაგდნენ **ოთარ ამილახვრის, იოანე მუხრანბატონის, ზაქარია ანდრონიკაშვილის** რაზმები, იმერელთა რაზმი **ზურაბ წერეთლის** მეთაურობით. ერეკლე თავისი მებრძოლებით სეიდაბადის ბოლოს, კრწანისის ველის განაპირას იდგა. როდესაც მტერმა თელეთის ქედზე გადმოსვლა დაიწყო, დავითმა მათ მეწინავე რაზმებს ზარბაზნებიდან ცეცხლი გაუხსნა და რამდენიმეჯერ უკუაქცია, მაგრამ სპარსელებს ახალი, დასვენებული დიდი ძალა ემატებოდა თელეთის ქედის მეორე მხრიდან.

**ბოლოს 75 წლის ერეკლემ ბაირაღი აიტაცა, იშიშვლა ხმალი და მომხდური მტრის რაზმების შუაგულში შევარდა. მას შვილიშვილი სოლომონ მეორეც მიჰყვა. მეფეების თავგანწირვით აღფრთოვანებული ქართველები ლომებად იქცნენ და საღამოსთვის მრავალრიცხოვან მტერს დიდი დანაკარგით უკან დაახევინეს. მათი განახევრებული რაზმები თელეთის ქედის მეორე მხარეს, მათი ბანაკისკენ გადადევნეს. 10 სექტემბერს ქართველები გამარჯვებული მობრუნდნენ თბილისში.**

აღა-მაჰმად-ხანი თურმე გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა დაარწმუნა ქართველთა სისუსტეში, თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი ისტორიკოსი არ იზიარებს.

აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ჯარი 14 ნაწილად დაჰყო. მისი ჯარი, წინა დღის მარცხის მიუხედავად, რაოდენობრივად 6-ჯერ თუ 7-ჯერ მეტი იყო ქართველთა ჯარზე. შაჰმა თავის ჯარს უკან 6 ათასი თურქმენი ჩაუყენა და უბრძანა — უკანდახეული სპარსელი მებრძოლები იქვე დაეხოცათ.

11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, ირანელთა ლაშქარი მტკვარ-შავნაბადის ვიწროებით თბილისისკენ დაიძრა და საათ-ნახევრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციებს შეუტია. **ამ დღეს ქართველთა ჯარს ერეკლე სარდლობდა.** დაცვის მარჯვენა ფრთაზე, შინდისტაბახმელადან გადმოსასვლელ გზებზე მდგარ ჯარს **დავით ბატონიშვილი** მეთაურობდა, მეწინავე რაზმს **იოანე ბატონიშვილი** ჩაუდგა სათავეში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიდამოებში განლაგებულ ქართველთა მარცხენა ფრთას **იოანე მუხრანბატონი** უფროსობდა. თვით ერეკლე, ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გარდა, იცავდა სეიდაბადისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას. ის თავისი რაზმით შემაღლებულ ადგილზე დადგა. ოთარ ამილახვრისა და ვახტანგ ბატონიშვილის რაზმები, როგორც სარეზერვო, თავისთან ახლოს იახლა მეფემ. იმერელთა ათასკაციანი რაზმი ერეკლესგან მარჯვნივ განლაგდა, ხოლო 500 იმერელი მებრძოლი აბანოს კარის მიდამოებში დარჩა, რათა საჭიროების შემთხვევაში მეზარბაზნეებს დახმარებოდნენ. ამინდი ღრუბლიანი და წვიმიანი იყო.

სოღანლუღის გზით წამოსული მტერი თბილისისკენ მომავალ საქარავნე გზის მთიან ნაწილს მოადგა (დაახლოებით იქ, სადაც დღეს მარნეულისა და რუსთავის გზები იყოფა). გზის ერთ მხარეს თელეთის ქედის კლდოვანი ფერდობები იყო, მეორე მხარეს — ადიდებული მტკვარი. მთებზე ჩასაფრებულმა ქართველებმა ასეულობით მებრძოლი დაუხოცეს მტერს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს. აღა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ წინსვლა ამ გზით შეუძლებელი იყო, მაგრამ უკანდახევას არ აპირებდა, უეცრად მან ცხენი შეაბრუნა ადიდებული მტკვრისკენ და თავისიანებს შესძახა: „ვინც ჩემი ერთგულია, მომყევით. თუ მტკვარმა წამიღო, ჩემი გვამი ამოიღეთ და მიწაში დაფალითო“. მდინარე გადაცურეს, თუმცა 300-მდე სპარსელი დაახრჩო ადიდებულმა მტკვარმა. ნავთლუღისკენ გასული აღა მაჰმად ხანი რამდენიმე ათასი კაცით მტკვრის მარცხენა ნაპირს აღმა აჰყვა და გაღმიდან თელეთის ქედის ფერდობები დაათვალიერა. ნახა, რომ ქართველებს ძალზე ცოტა მებრძოლი ჰყავდათ. ქართველთა მეწინავე რაზმმა კი, რომელიც საქარავნე გზას იცავდა, ჩათვალა, რომ ალყაში ექცეოდა და უკან, თბილისისკენ, დაიხია. გზა განთავისუფლდა და მტკვრის მარჯვენა მხარეს დარჩენილი სპარსელთა ჯარის ნაწილიც ამ გზით დაიძრა. მტერი კი უკან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მოღალატეების მიერ ნაჩვენები ფონით გადმოვიდა ორთაჭალის მიდამოებში და აქ გაერთიანებული სპარსელები ბრძოლით წამოვიდნენ სეიდაბადისკენ.

იმ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისგან ერთი პატარა ხევი და ბაღნარები ჰყოფდათ, სეიდაბადის სამხრეთი კალთებიდან შეტევაზე გადავიდა **ვახტანგ ბატონიშვილის** 2-ათასიანი რაზმი, რომლის ამოცანა იყო სპარსელთა ჯარის შუაზე გაკვეთა. მტერმა მთავარი ძალები ამ რაზმის წინააღმდეგ გამოიყენა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. აღა-მაჰმად-ხანის ცხენს ზარბაზნის ტყვია მოხვდა. ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა ომის ბედი, ტყვია რომ მის მხედარს მოხვედროდა.

ერეკლე II კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში ქართველთა ისედაც მცირე ძალები თანდათან ამოიწურა და ნელნელა უკან დახევა დაიწყეს. ქართველთა ჯარი თავის პირველ პოზიციას, მესამე სანგრის მიდამოს დაუბრუნდა და იქ სცადა გამაგრება.

დაცვის მარჯვენა ფრთაზე თელეთის მიდამოდან შინდისტაბახმელასთან ამოსულმა სპარსელებმა უეცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზე, ქართველთა ხანგრძლივი და თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, დაძლიეს ეს წინააღმდეგობა. დავით ბატონიშვილმა, მტერს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, ზარბაზნები წყლიან ხევში გადაყარა და მისმა რაზმმა პოზიცია დატოვა. ამის შემდეგ ქართველებისათვის ზურგიდან შემოსავლელად და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი შინდისის მიმართულებიდან თავისუფლად დაიძრა, რათა თაბორის ქედით პირდაპირ აბანოთუბანში დაშვებულიყო. მტრის ეს მანევრი ქართველთა სარდლობამ შენიშნა და იმერელთა ათასეულის მეთაურისა და არტილერიის უფროსის — გურამიშვილის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაგზავნა, მაგრამ იგი გზაში მოკლეს. ქართველები ალყაში ექცეოდნენ.

გმირულად იბრძოდნენ ქართველები. ვახტანგ ბატონიშვილის რაზმის წევრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ 300 არაგველი, ქიზიყელნი, თბილისელი მებრძოლები... თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ სიმღერით შეხვდნენ სიკვდილს. ერეკლეს ერთგული 200 თათარი განსაკუთრებული სისასტიკით დახოცა მტერმა. **არაგველები იქით მიიწევდნენ, სადაც აღა-მაჰმად-ხანის ბანაკი იყო, თვალწინ დაუხიეს დროშები.** საკვირველი გმირობა გამოიჩინეს ქართველმა არტილერისტებმა მაიორ გურამიშვილის მეთაურობით. ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრიდან მეოთხეში გადავიდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ უკან დახევა დაიწყო.

დღის მეორე ნახევარში აღა-მაჰმად-ხანმა რეზერვი ბრძოლაში ჩააბა და ქართველებს დევნა დაუწყო. ქართველთა მეზარბაზნეებმა მოახერხეს მტრის შეტევის დროებით შეკავება. **ერეკლე ალყაში ექცეოდა, მტერი დაატყვევებდა ან მოკლავდა მეფეს, მაგრამ ერთგულმა თანამებრძოლებმა, მათ შორის, შვილიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა, მედგარი ბრძოლით მოაშორეს სპარსელები და ძალით გამოიყვანეს მეფე ბრძოლის ველიდან.** მან 150-მდე მხედრის თანხლებით საგურამოსკენ გასწია და შემდეგ მთიულეთს შეაფარა თავი. მტერი ქალაქში შევიდა. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, **სპარსელებმა თბილისი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს, ათასობით ადამიანი ტყვედ წაასხეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისგან დაიღუპა. ქართლის სოფლებს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ. კრწანისის ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს.**

**P.S. „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,**
**თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა...“**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უახლოეს მომავალში, როცა პლანეტის მოსახლეობა მოხმარების მომდევნო საფეხურზე გადავა, მოსალოდნელია ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების მკვეთრი ზრდა, ამასთანავე — ამ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზეზით ვითარების გართულება. სერიოზული კონფლიქტების თავიდან აცილება ძალიან ძნელი იქნება, ეს უეჭველია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა თვალშისაცემი არ არის, მსოფლიო სახელმწიფოების კულისებში უკვე მიმდინარეობს მზადება ამ მასშტაბური შერკინებისთვის.**

# მსოფლიო მარაგებისთვის საბრძოლველად ემზადება

**„მთავარია, მოვიკრიბოთ გამბედაობა და განვმარტოთ, რომ „ეკოლოგიური ბიზნესის“ უკან დღეს კოლოსალური ინტერესები დგას“.**

**პედრუ ჟორდაუ**

**ცნობილია, თუ რა ურთიერთკავშირია ენერგეტიკას, ბუნებრივ მარაგებსა და კონკრეტულ რეგიონში ან მსოფლიოში პოლიტიკურ გაბატონებას შორის. ასე გვიყალიბდება წარმოდგენა მრეწველობაგანვითარებულ დასავლეთზე, რომელიც, ამასთანავე, უაღრესად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის არასტაბილური ქვეყნების მიერ გაკონტროლებულ ნავთობის მარაგზე.**

მსოფლიოში არსებული დისბალანსი, რომლის დროსაც რეგიონების ერთი წყება აკონტროლებს ენერგეტიკულ რესურსებს, სხვები კი მწვავედ განიცდის ამ რესურსის ნაკლებობას, მომავალშიც შეინარჩუნებს მნიშვნელობას ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების განაწილებისა და სტრატეგიული გავლენის მოპოვების საქმეში.

უახლოეს ათწლეულებში მოხმარებისა და წარმოების ჩვენთვის ცნობილი მოდელები მნიშვნელოვნად შეიცვლება. იმაზე, თუ როგორ შევაფასებთ ამ მოვლენებს, დამოკიდებულია, შორსმჭვრეტელური თუ იქნება ენერგეტიკის დარგში ევროპის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დღეს ნაწილობრივ გონივრულია, ნაწილობრივ — სიბეცით დაღდასმული.

**მომავალი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა 1,2 მილიარდი ადამიანით გაიზრდება, რაც უდრის, მაგალითად, პორტუგალიის მოსახლეობის დღევანდელ რაოდენობას გამრავლებულს 120-ზე ან ევროკავშირში მცხოვრებთა 2,5-ჯერ გაზრდილ რაოდენობას. ამასთანავე, ამ ზრდის მხოლოდ სამი პროცენტი მოდის დასავლეთზე. მსოფლიოში ყოველდღიურად 400 ათასი ადამიანი იბადება.**

ეს ახალი მოსახლეობა დემოგრაფიული მატების უბრალო მაჩვენებელი არ არის. აქ იგულისხმება მოსახლეობის ზრდა განვითარებად ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა, როგორც წესი, დასავლეთისაზე გაცილებით სწრაფია. უახლოეს 40 წელიწადში ეკონომიკის ერთობლივი მოცულობით ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია მდიდარი ქვეყნების დონეს გაუთანაბრდება, კერძოდ, G7-ში გაერთიანებულ ქვეყნებს — აშშ-ს, იაპონიას, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, იტალიას, საფრანგეთსა და კანადას.

უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში საშუალო კლასის წარმომადგენელთა რაოდენობა სამჯერ გაიზრდება იმ ქვეყნებში, რომლებიც დღეს „განვითარებად“ ქვეყნებად არის მიჩნეული. ევროპა თანდათან დაკარგავს მსოფლიო მასშტაბის გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი, საკუთარ თავში დარწმუნებული უვიცები, როგორც ჩანს, მიიჩნევენ (და ამ მოსაზრებას თავს ახვევენ მოქალაქეებს), რომ კონტინენტის უნიფიკაცია (რაც არ ნიშნავს გაერთიანებას) მომავალი წარმატების საწინდარია. 15 წლის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკა ევროკავშირში გაერთიანებული 27 ქვეყნის ერთად აღებულ ეკონომიკებზე უფრო დიდი იქნება (გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის ეკონომიკა ასევე დისტანცირდება ევროპის ეკონომიკისგან).

ხარისხობრივი ცვლილებები უკვე მრავალ დონეზე ვლინდება. ადვილად ხელმისაწვდომმა განათლებამ და შრომით ბაზარზე ქალების მასობრივმა შესვლამ სტრუქტურული ცვლილებები შეიტანა თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში. დღეს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ქალაქებში ცხოვრობს.

ეკონომიკური ზრდის პირობებში განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო მეტ საქონელს დაამზადებენ, განვითარდება მომსახურების სფერო, რაც გამოიწვევს ადგილებზე კეთილდღეობის ამაღლებასა და მოხმარების ზრდას. გარდაუვალია ენერგიისა და ნედლეულის მოხმარების გაზრდა. განვითარებადი ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც დღეს კაცობრიობის 85 პროცენტი ცხოვრობს, კვლავაც მოიმატებს, ისევე, როგორც მათი მოქალაქეების მსყიდველობითი უნარი, გაუმჯობესდება ცხოვრების ხარისხი. გარდაუვალია სატრანსპორტო გადაზიდვების ინტენსიფიკაცია. მნიშვნელოვნად იმატებს ენერგოეფექტიანობა სატრანსპორტო სფეროში (და სხვა დარგებში).

**20 წლის შემდეგ პლანეტის მოსახლეობას დასჭირდება იმაზე 50 პროცენტით მეტი ენერგია, რამდენსაც დღეს ხარჯავს. 10 წლის შემდეგ ენერგიაზე მოთხოვნის დაახლოებით 90 პროცენტი დასჭირდება განვითარებად ქვეყნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, უახლოეს ათწლეულებში, ენერგიის წყაროების ზონებზე კონტროლის დაწესებიდან გამომდინარე, გავლენის სფეროების მასშტაბური ცვლილების მოწმენი გავხდებით.**

დღეს ინდოეთში ჩასული ადამიანი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ქალაქში მოძრაობის ინტენსივობას, მაგრამ არანაკლებ შთაბეჭდილებას დაუტოვებს ტვირთის ნაკადების სიმჭიდროვე სოფლად. სიღარიბე ამ ქვეყანაში უწინდებურად ყოვლისმომცველი მოვლენაა, მაგრამ ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება. ეს მხოლოდ ერთი უბრალო მაგალითია, რომელიც ადასტურებს განვითარებადი ქვეყნების აღმასვლას. ეკონომიკური სტარტის დაბალი დონიდან ისინი წინ მიიწევენ ისეთი შთამბეჭდავი ტემპით, რომ უახლოეს ათწლეულებში უეჭველად გაგვისწრებენ ბევრ დარგში. მიუხედავად ამისა, ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებსაც თავი პროგრესულ ადამიანებად მიაჩნიათ, უიმედოდ ჩამორჩნენ და ისეთი საკითხების განხილვით არიან დაკავებულნი, რომლებსაც რეალურ პრობლემებთან კავშირი არ აქვს.



**მომავალი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა 1,2 მილიარდი ადამიანით გაიზრდება, რაც უდრის, მაგალითად, პორტუგალიის მოსახლეობის დღევანდელ რაოდენობას გამრავლებულს 120-ზე ან ევროკავშირში მცხოვრებთა 2,5-ჯერ გაზრდილ რაოდენობას. ამასთანავე, ამ ზრდის მხოლოდ სამი პროცენტი მოდის დასავლეთზე. მსოფლიოში ყოველდღიურად 400 ათასი ადამიანი იბადება**

**მომავალში კამათის მთავარი საგანი იქნება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების საკითხი. ცენტრალური აზია, კერძოდ, კასპიის ზღვის აუზი, იქნება დაძაბულობის მთავარი კერა, რომელმაც შეიძლება სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს. ზონები, რომლებიც დღევანდელ სტრატეგიულ თამაშში ჩვენი თვალთახედვის მიღმა რჩება, უმკაცრეს პირობებში მიმდინარე ანალიზის ობიექტებად იქცა.** მაგალითისთვის დავასახელებ არქტიკას. ხელისუფლების კულუარებში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მთავარი საზღვაო არტერიების პრობლემა, რომლებითაც ნავთობის, საქონლისა და ნედლეულის გლობალური გადაზიდვები მიმდინარეობს. დღეს ორმუზის სრუტით ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 16 პროცენტი გადის, 20 წლის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 30 პროცენტს მიაღწევს.

მაშინ, როცა ნავთობის მომპოვებელი ბევრი ქვეყანა მოპოვების მოცულობას ამცირებს, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საუდის არაბეთი, ერაყი და რუსეთი, უახლოეს ათწლეულებში განაგრძობენ თავიანთი პოტენციალის გაზრდას ამ მიმართულებით. **ბრაზილია იქნება ერთ-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა ნავთობითა და გაზით უმდიდრესი საბადოს სანტუსის აუზის წყალობით.** ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სექტორის მწარმოებლური ძალა დღევანდელისგან განსხვავებით იქნება განაწილებული. ევროპელი მწარმოებლები აშკარად დაკნინდებიან. ფრიად მნიშვნელოვანია წიაღისეული საწვავის მოპოვებაზე უარის თქმა. მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობისა და საყოველთაო მხარდაჭერის პირობებშიც კი პრობლემის გადაწყვეტას წლები დასჭირდება.

**ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის განპირობებული ენერგეტიკისა და ბუნებრივი მარაგების მომავალი მოთხოვნილებით. იმავე გზას ადგას ინდოეთიც. კვებისა და წყლის მარაგებს გაცილებით მეტი საშიშროება ემუქრება, ვიდრე წარმოგვიდგენია. თუმცა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სიტუაცია უფრო კეთილსასურველი მიმართულებით ვითარდება.**

მაგალითად, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს თევზის რესურსების პრობლემა. ბოლო 30 წლის განმავლობაში თევზჭერის დარგში სიტუაცია სტაბილური რჩებოდა, მაგრამ სულ უფრო ხშირდება დასაშვები ოდენობით თევზჭერის მოცულობის დარღვევის შემთხვევები, რაც თევზის მარაგის შემცირების მიზეზი ხდება. მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვაში სამრეწველო ვირთევზას 93 პროცენტს იჭერენ მანამდე, სანამ თევზი გამრავლებას დაიწყებს.

**20 წლის შემდეგ პლანეტის მოსახლეობას დასჭირდება იმაზე 50 პროცენტით მეტი ენერგია, რამდენსაც დღეს ხარჯავს. 10 წლის შემდეგ ენერგიაზე მოთხოვნის დაახლოებით 90 პროცენტი დასჭირდება განვითარებად ქვეყნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, უახლოეს ათწლეულებში, ენერგიის წყაროების ზონებზე კონტროლის დაწესებიდან გამომდინარე, გავლენის სფეროების მასშტაბური ცვლილების მოწმენი გავხდებით**

**1950 წელს მსოფლიოში თევზის წარმოების საერთო მოცულობამ 19 მილიონი ტონა შეადგინა. თუ გვსურს, შევინარჩუნოთ მსოფლიოში მოსახლეობის ერთ სულზე თევზის მოხმარების დღევანდელი მაჩვენებელი, უახლოეს 20 წელიწადში დაგვჭირდება წარმოების გლობალური გაზრდა. იგულისხმება რეწვის ათობით მილიონი ტონით მატება, რის განხორციელებაც თევზჭერისთვის აბსოლუტურად შეუძლებელია.**

მაგრამ ბოლო წლებში თევზის მოშენებას აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვნად დიდი წვლილი შეაქვს, რის შესახებაც ბევრს წარმოდგენაც არ აქვს. **თუ 1970 წელს მსოფლიოში მოშენებული თევზის წილი საერთო მოცულობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა, 2006 წელს 25 პროცენტს მიაღწია.**

უაღრესად მნიშვნელოვანია, მოვიკრიბოთ გამბედაობა და განვმარტოთ, რომ „ეკოლოგიური ბიზნესი“ დღეს მავანთა ანგარებას ემსახურება.

დახმარება, რომელსაც ხელისუფლება საქმიანობის ამ სფეროს გადამხდელთა ფულით უწევს, ყოველთვის როდი არის გამჭვირვალე. ბიზნესი, რომელიც ენერგიის განახლებად წყაროებთან არის დაკავშირებული, კორუფციის ფრიად ბარაქიან ნიადაგად შეიძლება იქცეს, რადგან ამ დარგის გამოსაცოცხლებლად ბიუჯეტებიდან უზარმაზარი თანხები გამოიყოფა.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მარტივი მაგალითი განვიხილეთ, რომლებითაც ასე თუ ისე ნათლად წარმოვადგინეთ ენერგეტიკისა და ნედლეულის გეოპოლიტიკაში არსებული ძირეული ტენდენციები. უახლოეს მომავალში, როცა პლანეტის მოსახლეობა მოხმარების მომდევნო საფეხურზე გადავა, მოსალოდნელია ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების მკვეთრი ზრდა, ამასთან ერთად კი — ამ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზეზით ვითარების გართულება.

სერიოზული კონფლიქტების თავიდან აცილება ძალიან ძნელი იქნება, ეს უეჭველია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა თვალშისაცემი არ არის, მსოფლიო სახელმწიფოების კულისებში უკვე მიმდინარეობს მზადება ამ მასშტაბური შერკინებისთვის.

**მომზადდა პორტუგალიური გამოცემა Publico-ს მიხედვით**

**მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობა ხარობს, მათგან 5 ენდემური. ასეთებია მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური, ქართული ასლი და დიკა. ამით დასტურდება, რომ საქართველო ხორბლის კულტურის წარმოშობის კერაა.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ხორბლის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

**მარცვლეულ და საბურღულე კულტურების ჯგუფში გამორჩეული ადგილი უკავია სასურსათო კულტურას — ხორბალს. იგი სასურსათო კულტურათა ოქროს ფონდშია შესული და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის არსებობასა და საქმიანობაში. სხვა პურეულთან შედარებით მას ახასიათებს ნახშირწყლებისა და ცილების ყველაზე სასარგებლო შეფარდება მაღალხარისხოვანი წებოგვარათი. ამით არის განპირობებული მისი განსაკუთრებული პოლიმორფიზმიც-ფორმათა იშვიათი სიმრავლე, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე დამოკიდებულებით.**



საქართველოს პურეულის ნათესებში ხორბალი, სიმინდის შემდეგ მეორე ადგილზეა, ხოლო თავთავიანებს შორის — პირველზე. ხორბლის ნათესი ფართობები საქართველოში, ძირითადად, არის საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გორის, ხაშურის და ქარელის რაიონებში.

**მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობა ხარობს, მათგან 5 ენდემური. ასეთებია მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური, ქართული ასლი და დიკა. ამით დასტურდება, რომ საქართველო ხორბლის კულტურის წარმოშობის კერაა.**

## საქართველოში გავრცელებული ხორბლის ჯიშები

**ბეზოსტაია1.** გამოყვანილია კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტში ჰიბრიდიზაციის გზით — ლუტესცენს-17-ისა და სკოროსპელკა-2-ის შეჯვარებით. მიეკუთვნება სახესხვაობა ლუტესცენს, თავთავი გრძელი, მკვრივი, კომბლისებური ფორმის, საშუალო სიმაღლისაა. არის საშემოდგომო, ნაკლებად ზამთარგამძლე. კარგად იტანს გვალვას, საკმაოდ გამძლეა ყვითელი და მურა ჟანგას მიმართ. არ ახასიათებს მარცვლის ცვენა. მარცვალი მსხვილი, ნახევრადრქისებური. 1000 მარცვლის მასა 45 გრამია. ხასიათდება კარგი დაფქვისა და პურცხობის თვისებებით. არის უხვმოსავლიანი, მძლავრი ჯიში.

**ვარძია.** გასავრცელებლად დაშვებულია 1993 წლიდან აღმოსავლეთი საქართველოს ხორბლის მწარმოებელი ყველა რაიონისთვის. გამოყვანილია საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტში ჯიშ ხულუგოზე ქიმიური მუტაგენეზით. სავეგეტაციო პერიოდი 230 -235 დღეა, მცენარის სიმაღლე — 76-80 სმ, თავთავის სიგრძე — 8-9 სმ. შეფერილობა — წითელი. მარცვლის რაოდენობა თავთავში 60-72-ია, საშუალო მოსავლიანობა 3,5-4,5 ტ/ჰა-ზე, მარცვალი წითელი, მსხვილი, მკვრივი, გამძლეა სოკოვანი დაავადებებისა და ჩაწოლისადმი. გამოირჩევა გვალვაგამძლეობით. მარცვალი არ ცვივა, ადვილად ილეწება.

**დოლის პური 35-4** (თეთრი დოლი 35-4). გამოყვანილია საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში, გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში, ადგილობრივი პოპულაციიდან გამორჩევის გზით. რბილი ხორბლის ჯიშია, ძირითადი სახესხვაობაა ერითროსპერმუმი. თავთავი — თითისტარისებრი, საშუალო სიმკვრივის, კბილაკი — წაგრძელებული. არის საადრეო, ზამთარგამძლე და გვალვაგამძლე. ავადდება ყვითელი და მურა ჟანგათი. ცვენა არ ახასიათებს. მარცვალი, ძირითადად, რქისებრი.

**წითელი დოლის პური** — საშემოდგომო ადგილობრივი ჯიშპოპულაცია. დარაიონებულია 1933 წლიდან. საშუალო სიმკვრივის, კბილაკი წაგრძელებული. არის საადრეო. ზამთარ და გვალვაგამძლეა. არ ახასიათებს ცვენა, მარცვალი, ძირითადად, რქისებრია.

**შავფხა ადგილობრივი.** ადგილობრივი ჯიში. არის ორი სახესხვაობა — ცერულესცენსი (თავთავი და ფხები — შავი, მარცვალი — თეთრი) და ლობიკუმი (თავთავი და ფხები — შავი, მარცვალი — მოწითალო). ჭარბობს პირველი სახესხვაობა. ითესება შემოდგომასა და გაზაფხულზე. გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ. მარცვალი დიდი ზომის, წაგრძელებული, რქისებრი კონსისტენციისაა. დაფქვისა და პურცხობის თვისებები საშუალოზე მაღალია.

**სპარტანკა** — დარაიონებულია 1990 წლიდან ქართლის, გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, ხაშურის რაიონების სარწყავი ნაწილისთვის, აგრეთვე, ახალგორისა და ცხინვალის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის, თრიალეთის მთა-ტყიანი (ბოლნისის, დმანისის და თეთრიწყაროს) რაიონების ნაწილისთვის, გარე კახეთის ზეგნის (გურჯაანიის რაიონის უკანა მხარე), საგარეჯოს რაიონის დაბლობისა და სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონის —შირაქის ველის (უკანა მხარის) ტერიტორიისთვის, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის, ახმეტისა და თელავის რაიონებისა და ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების ნაწილისთვის. ჯიში მიეკუთვნება ძლიერი ხორბლების ჯგუფს — სახესხვაობა ლუტენსცენსს. თავთავი მარაოსებრი ფორმისაა, საშუალო სიგრძის, საკმაოდ მჭიდრო. მარცვალი მოგრძოა, ოვალური, მცირე სიღრმის ღარით. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით საშუალო საადრეო ჯიშების ჯგუფს მიეკუთვნება. მცენარის საშუალო სიმაღლე 65-85 სმ-ია, 1000 მარცვლის მასა 39-45 გრამია. არის საკმაოდ მაღალმოსავლიანი. 1987-1988 წლებში გორის, დმანისის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე მოსავალი 3,3-8,1 ტ/ჰა იყო. Aქედან, მაქსიმალური მოსავალი—8,13 ტ/ჰა მიღებულია დმანისის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, ხოლო დედოფლისწყაროს ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე მიღებულია 5,26 ტ/ჰა.

## საგაზაფხულო ჯიშები

**დიკა 9/III.** ხაზოვანი ჯიში, გამოყვანილია საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში, ინდივიდუალური გამორჩევით წალკის რაიონის ჯიშ დიკის პოპულაციიდან. მიეკუთვნება დიკის სახესხვაობა სტრამინეუმს. თავთავი სწორი ან თითისტარისებრია.ითესება გაზაფხულზე, გამძლეა სიცივისა და გვალვის მიმართ.., მარცვალი რქისებრია. 1000 მარცვლის მასა 27-31 გრამია. დაფქვისა და პურცხობის თვისებები ნორმალურია.

**დიკა ჯავახეთური** — ადგილობრივი ჯიში, დარაიონებულია 1939 წლიდან. არის დიკა ხორბლის, ქართლიკუმისა და რბილი ხორბლის ნარევი. ძირითადი სახესხვაობაა რუბიგინოზუმი (წითელი დიკა). ითესება გაზაფხულზე, ადრეულია და გვალვაამტანი. გამძლეა ჟანგა და გუდაფშუტოვანი დაავადებების მიმართ. ჩაწოლისადმი გამძლეა. მარცვალი რქისებურია.



## ხორბლის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

საქართველოში ხორბლის კულტურა ძირითადად წარმოდგენილია აღმოსავლეთ ნაწილში. ითესება შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, აგრეთვე, ადრე გაზაფხულზე. ძირითადად გავრცელებულია საშემოდგომო ხორბლის ჯიშები: **ბეზოსტაია (უფხო)-1, ვარძია, დოლის პური 35-4, ადგილობრივი თეთრი და წითელი დოლის პური, შავფხა, კოპერი, ჯაგერი** და სხვ. საგაზაფხულო ხორბლებიდან კი გავრცელებულია **დიკა 9/14, დიკა ჯავახეთის,** შესაძლებელია კოპერისა და ჯაგერის ჯიშების დათესვაც.

ხორბლისთვის ნიადაგის მოსამზადებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წინამორბედ კულტურას. აღმოსავლეთი საქართველოს სარწყავ მიწებზე ხორბლის შემოდგომით დასათესად სასურველი წინამორბედებია მოკლე ვეგეტაციის სამარცვლე სიმინდი, სასილოსე სიმინდი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, მრავალწლოვანი ბალახების კორდი, სამარცვლე-პარკოსანი კულტურები — სოია, ლობიო, მუხუდო.

ურწყავ პირობებში სასურველი წინამორბედებია: სამარცვლე პარკოსანი კულტურები, სასილოსე სიმინდი, ერთწლოვანი პარკოსნებისა და მარცვლოვნების (შვრიანარევი ბარდა ან ცერცველა) ნარევი, მრავალწლოვანი პარკოსნების კორდი. დასაშვებია ხორბლის ერთი და იმავე ჯიშის ორ წელიწადს ზედიზედ დათესვა. რეკომენდებულია შავი და მოთესილი ანეული.

**ნიადაგის დამუშავება.** დათესვამდე ნიადაგი უნდა დამუშავდეს არანაკლებ 15-20 დღით ადრე. საშემოდგომო ხორბლისთვის ნასიმინდარი უმჯობესია, ჯერ მძიმე დისკოებიანი იარაღით დამუშავდეს და შემდეგ 22-25 სმ-ზე მოხდეს წინმხვნელიანი გუთნით ჩახვნა. ხნულის დასარევლიანების შემთხვევაში საჭიროა კულტივაცია-დაფარცხვა.

**სარეველებიანი მინდორი უნდა დამუშავდეს 14-16 სმ სიღრმეზე საოში გუთნით, ზედმიბმული ფარცხით. ანალოგიურად უნდა დამუშავდეს ნამზესუმზირალი მინდვრები გარე კახეთში, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების უკანა მხარეში. ნამზესუმზირალი და ნასიმინდარი მინდვრები თესვის წინ უნდა დამუშავდეს მხოლოდ დისკოებიანი ფარცხით, ზედმიბმული ზიგზაგით. რეკომენდებულია ხორბლის ზედიზედ ორ წელიწადს თესვა. ასეთი მინდვრიდან აღებული მოსავლის მარცვლის სათესლედ გამოყენება დაუშვებელია.**

საშემოდგომოდ დათესილი ხორბლის აღების შემდეგ ნაწვერალი ნახევრად ანეულის წესით უნდა დამუშავდეს. ნაწვერალი იხვნება წინასწარი აჩეჩვის გარეშე, თავთავიანი კულტურის აღებისთანავე, 22-25 სმ სიღრმეზე. სარეველების გამოჩენისთანავე უნდა ჩატარდეს დაფარცხვითი კულტივაცია. ასეთივე წესით უნდა დამუშავდეს სამარცვლე პარკოსანი კულტურები — ლობიო, სოია და მწვანე საკვებად ან თივად ნათესი ერთწლიანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურებით დაკავებული მინდორი.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი ბალახების კორდის მოხსნა რეკომენდებულია 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე წინმხვნელიანი გუთნით — 25-27 სმ სიღრმეზე. ურწყავ ადგილებში კორდი უნდა მოიხნას ბალახნარის პირველი გამოჩენისთანავე. კორდის თესვისწინა დამუშავება, ნასიმინდარის მსგავსად, უნდა ჩატარდეს მხოლოდ მძიმე დისკოებიანი ფარცხით. საგაზაფხულო ხორბლის დასათესად მზრალი უნდა დაიფარცხოს ხნულის გარდიგარდმო.

ქარისმიერი ეროზიის ზონების (დედოფლისწყარო, სიღნაღის უკანა მხარე, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მცხეთის, საგარეჯოს რაიონები) სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი ბალახების კორდი უნდა დამუშავდეს ბელტის გადაუბრუნებლად ბრტყელმჭრელი კულტივატორით 8-10 სმ სიღრმეზე, ზედაპირზე ნაწვერალის შენარჩუნებით — აგვისტოს მესამე დეკადიდან სექტემბრის მეორე დეკადამდე. 6-8 დღის შემდეგ უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებელით 25-27 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ნიადაგი მუშავდება ფარცხით.

ურწყავ მიწებზე კორდი პირველი გათიბვისთანავე უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი კულტივატორით 8-10 სმ სიღრმეზე.

ნასიმინდარ და ნამზესუმზირალ მინდორში ჯერ უნდა ჩატარდეს სიმინდისა და მზესუმზირის ღეროების დაქუცმაცება დისკოებიანი ფარცხით, ხოლო შემდეგ დამუშავდეს ღრმადგამაფხვიერებლებით 22-25 სმ სიღრმეზე. თესვის წინ ტარდება ფარცხვა. თავთავიანების ნაწვერალი უნდა დამუშავდეს ბრტყელმჭრელი ღრმად გამაფხვიერებელით 22-25 სმ სიღრმეზე, ხოლო თესვამდე — ბრტყელმჭრელი კუტლივატორით 8-10 სმ-ზე. თესვის წინ უნდა დაიფარცხოს. წყლისმიერი ეროზიის ზონებში ხვნა, თესვა და ნათესის მოვლის სამუშაოები ტარდება ფერდობის გარდიგარდმო მიმართულებით. 3(-4( დახრილობის ფერდობებზე ნიადაგის დაცვისათვის რეკომენდებულია განივი კონტურული დამუშავება. 5( დახრილობის ფერდობზე უფრო ეეფქტიანია ღრმად ხვნასთან ერთად ბაზოების გაკეთება გუთნის ბოლო ტანზე დაყენებული დაგრძელებული თათით, რომელიც ხნულის ზედაპირზე ყოველ 150 სმ-ის შემდეგ წარმოქმნის შემაღლებულ ბაზოს.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ოთარ ლიპარტელიანი,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გულნარი ჩხუტიაშვილი,**
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

# პოტენციური მიგრანტების რაოდენობამ მსოფლიოში 700 მილიონს გადააჭარბა



**ვირუსებმა, კონფლიქტებმა და უამრავმა სხვა რეგიონულმა უბედურებამ ბიძგი მისცა ხალხებს, დაძრულიყვნენ სხვა ქვეყნებისკენ. 2013 და 2016 წლებში პოტენციური მიგრანტების რაოდენობამ 710 მილიონს მიაღწია. ამას ადასტურებს Gallup-ის გამოკითხვის მონაცემები.**

მთელ მსოფლიოში ზრდასრული მოსახლეობის 14 პროცენტს ემიგრირების სურვილი აქვს. ყველაზე დიდი მაჩვენებლით გამოირჩევა აფრიკა — საჰარიდან სამხრეთისკენ (30 პროცენტი) და ევროპის რაიონები ევროკავშირის საზღვრებს მიღმა (21 პროცენტი), შემდეგ — ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი (18 პროცენტი), ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა (19 პროცენტი), ევროსაბჭო (20 პროცენტი), დსთ (15 პროცენტი), ავსტრალია, ახალი ზელანდია, ოკეანია (9 პროცენტი) და ჩრდილოეთ ამერიკა (10 პროცენტი).

ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა აზია: სამხრეთ აზიაში 8 პროცენტია, აღმოსავლეთ აზიაში — 8 პროცენტი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 7 პროცენტი.

მიგრანტების ყველაზე დიდი ტალღა მიაწყდა ევროპის რაიონებს ევროკავშირის მიღმა, სადაც პროცენტული მაჩვენებელი 6 პუნქტით გაიზარდა, ასევე, კარიბის აუზისა და ლათინური ამერიკის რაიონებს — ზრდა 5 პუნქტით, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას.

ზოგიერთ რაიონში მიგრირების მსურველთა რაოდენობა გაიზარდა ეკონომიკის პოსტკრიზისული აღდგენის ტემპის შენელების გამო.

**გამოკითხვის მიხედვით, მსოფლიოს 31 ქვეყანაში 10 ზრდასრული ადამიანიდან, სულ ცოტა, სამს სურს, მუდმივად გადადიოდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში, ამის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს. ასეთი ქვეყნები ყველა რეგიონშია, აზიის, ოკეანიისა და ჩრდილოეთ ამერიკის გარდა.**

გამოკითხვით დადგინდა, რომ არსებული პირობებით უკმაყოფილო ყველაზე მეტი სიერა-ლეონეში იყო (62 პროცენტი), როგორც ჩანს, ებოლას ვირუსის გავრცელების გამო 2014 წელს. ჰაიტი და ალბანეთი მეორე და მესამე ადგილებზეა (56 პროცენტი), მეოთხეზე — ლიბერია (54 პროცენტი).

ბოლო 10 წლის განმავლობაში აშშ კვლავ რჩება პოტენციური მიგრანტების ყველაზე სასურველ ადგილად.

ყოველი ხუთი მიგრანტიდან ერთი აშშ-ს მიიჩნევს თავისი მომავალი რეზიდენციის შესაძლო ადგილად, შემდეგ — გერმანიას, კანადას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ავსტრალიასა და საუდის არაბეთს.

**მაშინ, როცა პოტენციური მიგრანტების რაოდენობა, რომლებსაც სურთ ამერიკაში ჩასახლება, არ შეცვლილა, გერმანიაში წასვლის მსურველთა რაოდენობამ შესამჩნევად მოიმატა — 28 მილიონიდან 39 მილიონამდე. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, არის კანცლერ მერკელის დაპირება, რომ გერმანია მიიღებს ლტოლვილებს.**

ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილების განხორციელებამ გერმანიაში მიგრანტების მიერ ჩადენილ დანაშაულის რაოდენობის 50 პროცენტით გაზრდა გამოიწვია.

დიდმა ბრიტანეთმა ბრექსიტის შემდეგ დაკარგა მიმზიდველობა, როგორც მიგრანტებისთვის სასურველმა ქვეყანამ. გამოკითხვის მიხედვით, პოტენციური მიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც დიდი ბრიტანეთი სასურველ ქვეყნად მიიჩნიეს (43 მილიონიდან 2010 წელს), 2012 წლის მონაცემებით, 35 მილიონამდე შემცირდა.

**სავსებით შესაძლებელია, რომ აშშ-მა ტრამპის პოლიტიკის გამო სასურველი ქვეყნის ხიბლი დაკარგოს, მაგრამ Gallup-ის მონაცემები საწინააღმდეგოს ამტკიცებს: 147 მილიონი პოტენციური მიგრანტი აცხადებს, რომ აშშ კვლავ რჩება უპირატეს რეგიონად.**



# ამერიკაში კვლავ ისვრიან

**„როიტერი“ იუწყება, რომ სანფრანცისკოში ბოროტმოქმედის მიერ ატეხილი სროლის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა.**

ბოროტმოქმედმა ადგილობრივი დროით 9 საათზე საფოსტო კომპანია UPS-ის შენობას ტყვია დაუშინა. მასმედიის ცნობით, თავდამსხმელი ამ ფირმის თანამშრომელია. საპასუხო ცეცხლისას პოლიციელებმა იგი დაჭრეს და შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

14 ივნისს, დილით, ამერიკის ქალაქ ალექსანდრიაში (ვირჯინიის შტატი) ვინმე **ჯეიმს ჰოდგკინსონმა** დაცხრილა ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი, რომელიც ბეისბოლის მოედანზე წვრთნას გადიოდა რესპუბლიკელების და დემოკრატების მოყვარულთა გუნდების ტრადიციული შეხვედრის წინ.

გავრცელებული ცნობით, თავდამსხმელმა კონგრესმენებს 100 ტყვია ესროლა. დაიჭრა 5 ადამიანი, მათ შორის — ერთი პოლიციელი. საპასუხო გასროლით დამნაშავე დაჭრეს. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ ის გარდაიცვალა.

# სამხრეთკავკასიური საერთაშორისო მედიაფორუმი

# «მედია, პოლიტიკა, ფასეულობები: დავძლიოთ «პოსტსიმართლე»

**2017 წლის 29-30 ივნისს თბილისში, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მოწვევით, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წამყვანი მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორები, ჟურნალისტები და მედიასფეროს ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ უკვე ტრადიციადქცეულ სამხრეთკავკასიურ საერთაშორისო მედიაფორუმში.**

რუსეთის მხრიდან ორგანიზატორები არიან: პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი — სამხრეთი“, პრესკლუბი „თანამეგობრობა“, დსთ-ს სახელმწიფოთა ჰუმანიტარული თანამშრომლობის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით.

წელს ფორუმის თემაა **„მედია, პოლიტიკა, ფასეულობები: დავძლიოთ „პოსტსიმართლე (Post-truth)“.**

ღონისძიებას გახსნის მედიაფორუმის საპატიო სტუმარი — ჰუმანიტარული თანამშრომლობის საერთაშორისო ფონდის თანათავმჯდომარე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში **მიხეილ შვიდკოი.**

მედიაფორუმის მონაწილეებისთვის პროფესიულ ტრენინგებს ჩაატარებენ: ინტერნეტგაზეთ „ვზგლიადის“ მთავარი რედაქტორი **ალექსეი შარავსკი**, რადიოსადგურ „ვესტი FM“-ის წამყვანი **გიორგი სარალიძე**, მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ ყიფშიძე**, ჟურნალ „ფორბსის“ კოლუმნისტი **ალექსეი ფირსოვი.**

საქმიანი ლანჩის ფორმატში სამხრეთკავკასიური მასმედიის მთავარ რედაქტორებს არაფორმალურ ვითარებაში შეეძლებათ გამოცდილების უგაზიარება და კითხვების დასმა რადიოსადგურ „ლაპარაკობს მოსკოვის“ გენერალურ დირექტორ **ვლადიმერ მამონტოვისთვის,** საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელ **მიხეილ შვიდკოისა** და სხვებისთვის.

თითოეული სტუმარი შეძლებს მონაწილეობას ღია დისკუსიაში **„სამხრეთი კავკასია არქაიკასა და მოდერნს შორის“.**

მედიაფორუმის მიმდინარეობისას მთავარი თემა იქნება — რა არის და როგორ დავძლიოთ **„პოსტსიმართლე“**? მსოფლიოს მედია, მასთან ერთად საზოგადოებრიობაც, ბოლო ათწლეულებია, ეჩვეოდნენ ამ ახალ საინფორმაციო რეალობას.

ეჩვეოდნენ, როდესაც ბომბავდნენ იუგოსლავიას, ანგრევდნენ ერაყს, ლიბიას, სირიას... „პოსტსიმართლესთან“ შეჩვევა კი სახიფათოა. როგორი მაცდუნებელიც უნდა მოგეჩვენოთ ლაპარაკი, სავსე დაუსრულებელი აზრებითა და არაგულწრფელი ემოციებით, მის საფუძველზე შეუძლებელია აგება პატიოსანი და პირდაპირი მრავალმხრივი შეთანხმებებისა, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო სამართლიან წესრიგს მსოფლიოში, მის ყველაზე მშფოთვარე რეგიონებში.

„პოსტსიმართლის“ მოდა, რომელიც წამყვანმა გლობალურმა მედიამ შექმნა, აუცილებლად დასაძლევია, თუ გვსურს, უფრო უსაფრთხო მსოფლიოში ცხოვრება, თუ მივისწრაფვით ჟურნალისტის პროფესიის საზრისის შენარჩუნებისკენ.

**მედიაფორუმში მონაწილეობისთვის ვიწვევთ ქართული მედიასაშუალებების 35 წლამდე მთავარ რედაქტორებსა და ჟურნალისტებს.**

**ღონისძიების სამუშაო ენებია ქართული და რუსული.**

**მონაწილეებს, მედიაფორუმის შედეგების მიხედვით, გადაეცემათ სერტიფიკატები.**

**მედიაფორუმი გაიხსნება 2017 წლის 29 ივნისს, 10 საათზე, „კოპალა წყნეთის“ საკონფერენციო დარბაზში (რუსთაველის ქუჩა №3).**

**ფორუმის მონაწილეთათვის ორგანიზებული იქნება ტრანსფერი ჭავჭავაძის პროსპექტიდან, ვაკის პარკის ცენტრალური შესასვლელიდან.**

**საკონტაქტო პირები რეგისტრაციისთვის:**
**ტარიელ გაგნიძე (საქართველოში):**
**+995 597 70 20 73, tarasgagnidze@mail.ru**
**ვალერია რომაშჩენკო (რუსეთში):**
**+7(915) 239-92-49, Var_rus@mail.ru**

# სამი საუკეთესო ავტომობილი მსოფლიოში



**სააგენტო AutoPacific-მა ჩაატარა გამოკითხვა მსოფლიოში საუკეთესო ავტომანქანების გამოსავლენად. მონაწილეობდა 54 ათასი ამერიკელი ავტომფლობელი, რომლებმაც მანქანები რამდენიმე პარამეტრის მიხედვით შეაფასეს. კერძოდ, შეფასებული იქნა შიგა კომფორტი, სტილი, საწვავის ხარჯვა, სიმლავრე და ა.შ.** პრემიუმკლასის ყველაზე ხარისხიან ბრენდად დასახელდა Lincoln-ი, რომელმაც აჯობა Tesla-სა და Cadillac-ს. მასობრივ სეგმენტში საუკეთესო ხარისხის ავტომობილად დაასახელეს GMC. 2017 წლის ავტომობილებს შორის გაიმარჯვა სამხრეთკორეულმა Genesis G90-მა. თავიანთ კატეგორიებში საუკეთესოებად დაასახელეს Nissan Maxima, KSA Cadenza, Mini Clubman, Porshe 911 და Dodge Challenger.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894